

ზურაბ ჯგუბურია

Oqumel Ta  
aseul i

Зураб Джгубурия

Окумская  
СОТНЯ

**„უნდა ყყურადღებობა აფხაზეთისადმი მოის-  
პოს ანი მაინჯ, როგორც ამას მოითხოვს  
აფხაზეთ-საქართველოს საერთო ინტერესი.“**

არზაყან ემხვარის მიმართვა აკაკი ჩხენკელს,  
პრალა, 1935 წელი

## **მადლობის ბარათი ავტორისაგან**

წიგნის გამოცემაში განეული თანადგომისათვის მადლობას ვუხდით ბატონ როლანდ ბენიას – პროფესორს, მოსკოვის ოლქის მთავარ კარდიოქირურგს.

დოკუმენტური მასალების მოძიებისა და ფაქტების დადგე-  
ნაში ხელშეწყობისათვის მადლობით მოვიხსენიებ:

პუბლიცისტ ნატო კორსანტიას,  
ნათელა რიგვავას,  
სოსო წირღვავას,  
აკაკი შონიას,  
ედიშერ ჯანჯულიას,  
ბიჭიკო ჯგუბურიას,  
ვახტანგ და თენგიზ ჯგუბურიებს.

წიგნის გამოცემის პროცესში გამოჩენილი გულისხმიერები-  
სათვის, განეული საქმიანი და პროფესიული რჩევებისათვის,  
ჩემს პატივისცემას ვუდასტურებ გამომცემლობა „საარის“ დამ-  
ფუძნებელ-დირექტორს, ლევან თითმერიას.

© ზურაბ ჯგუბურია, 2014



გამომცემლობა „საარის“

ISBN: 978-9941-427-79-4

## ავტორის ბიოგრაფია

ზურაბ გრიგოლის ძე ჯგუზურია დაიბადა 1952 წლის 1 ოქტომბერს აფხაზეთში, ოქუშში. 1970 წელს დაამთავრა თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატი.

1975 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი.

1980-1981 წლებში სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში (დღევანდელი-რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტი), ქვეყანათმცოდნეობის სპეციალობით, ფრანგულ სექტორზე.

1988-1991 წლებში დაუსწრებლად სწავლობდა ყაზანის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში, იყო ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატობის მაძიებელი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები ფიზიკისა და ტექნიკის საკითხებზე (8 სტატია). საზღვარგარეთ, კონგოს რესპუბლიკაში (ქ. ბრაზავილი), ფრანგულ ენაზე გამოცემული აქვს ზოგადი ფიზიკის დამხმარე სახელმძღვანელო.

1975-1978 წლებში ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას სოხუმის აკად. ი.ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში. 1978-1980 წლებში მუშაობდა ოქუშის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლად. 1981-1985 წლებში მუშაობდა საზღვარგარეთ, კონგოს რესპუბლიკაში (ქ. ბრაზავილი), ნაციონალური განათლების სამინისტროს ექსპერტად, ბრაზავილის პატრის ლუმუმბას ლიცეუმის პროფესორად, ფიზიკის და ქიმიის მეცნიერებათა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ. 1986-1992 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის, შემდეგ კი საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების გამგედ. ამავდროულად ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას აფხაზეთის ა.მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1992 წლიდან დღემდე არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. 1999 წლიდან 2004 წლის აპრილამდე მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის მრჩეველად.

2004-2008 წლებში არჩეული იქნა საქართველოს პარლამენტის

წევრად, იყო პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის წევრი.

2008-2009 წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, საგანგებო დავალებათა ელჩის თანამდებობაზე.

2000-2014 წლებში გამოქვეყნებული აქვს როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის (ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი) პერიოდულ ბეჭდურ მედიაში 20-ზე მეტი სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის სტატია კონფლიქტოლოგიის (აფხაზეთის) საკითხებზე.

არის ორი წიგნის: „აფხაზეთის კონფლიქტი – მითი და რეალობა“ (2004 წ.) და „ქართული ისტორიულ-კულტურული ფასეულობები აფხაზეთში“ (2007 წ.) პროექტის ხელმძღვანელი და ავტორი.

აფხაზეთში ომის დროს მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. იყო თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის (ქ. სოხუმი) მეთაურის მოადგილე პირად შემადგენლობასთან მუშაობის (პოლიტიკურ) საკითხებში.

მეუღლე – გუნჯუა ცისანა, 1953-2013 წ.წ.

ქალიშვილები: ჯგუბურია სოფიკო, დაბ. 1977 წ. ინგლისური ენის სპეციალისტი; ჯგუბურია ნათია, დაბ. 1980 წ. ბიოლოგი;

მამა – ჯგუბურია გრიგოლი, დაბ. 1926 წ. აფხ. დამს. მასწავლებელი, გარდაიცვალა 1997 წელს.

დედა – გამისონია ნათელა, დაბ. 1932 წ. აფხ. დამს. მასწავლებელი, პენსიონერი.

## წინასიტყვაობის მაგიერ

1992-1993 წლების აფხაზეთისთვის ომში ქართველთა უმეტესობამ არც კი იცოდა, თუ რომელი სიმართლით უპირისპირდებოდა იგი იმ სასტიკ სინამდვილეს, რომელსაც ვინ – „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი“, ვინ – „რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი აფხაზეთში“, ვინ – „ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის“, ვინ – „სამამულო ომი“ და ვინ „კომერციული ომიც“ კი უწოდა.

სამწუხაროდ, იმ ველური ბაკქანალიის, რელიგიური (მუსულმანური) ფანატიზმისა, თუ სისხლიანი გენოციდის წინა პერიოდში ერის ისტორიული მახსოვრობიდან „ამოვარდა“ ერთიანი საქართველოს სამეფოს შექმნის ბრწყინვალე ისტორია და ამ ისტორიის შემოქმედნიც. მიწელდა გათავისება იმ ფაქტისა, რომ სწორედ აფხაზეთის სამეფო და, სახელდობრ, საბედიანოს საერისთავო თამაშობდა უმნიშვნელოვანეს როლს, როდესაც X ს. ბოლოს, ბაგრატ III-ის მიერ, საქართველოს გაერთიანება და ერთიანი, ცენტრალიზებული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება ხორციელდებოდა.

საბედიანო (ბედია) – XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე ასე მოიხსენიებოდა - ტერიტორია „ენგურიდან ვიდრე კელასურამდე“, რომლის ერთი ნაწილიც შემდგომ, მე-20 საუკუნის ოციან წლებამდე, სამურზაყანოდ იყო ცნობილი (ძირითადად - გალის რაიონი).

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ინტენსიური ხასიათი მიიღო აღნიშნული რეგიონის ე.წ. „გააფხაზების“ ანტიქართულმა პროცესმა. ამ კუთხის გამორჩეულ შვილებს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და თავდაუზოგავად ილაშქრებდნენ მის წინააღმდეგ. იგივეს ვერ ვიტყვით საბჭოთა პერიოდის ბევრ მოღვაწეზე, რომლებმაც ვერ გაითვალისწინეს სამურზაყანოს და, საერთოდ, სამეგრელოს ფაქტორის გადამწყვეტი როლი აფხაზეთის ქართულ სამყაროში მყარად შენარჩუნების საქმეში. ეს მაშინ, როცა ამ ფაქტორის მნიშვნელობა ზუსტად გათვალეს მეფისა და საბჭოთა იმპერიების რუსმა მოხელეებმა, აფხაზმა მარიონეტმა ლიდერებმა და გულდასმით იმუშავეს მისი საპირწონე სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.

დასანანია, რომ ისტორიული საბედიანოს, როგორც აფხაზურ-ქართული მიმართების განმსაზღვრელი რეგიონის ჭეშმარიტი როლი საქართველოს სინამდვილეში ჯეროვნად შესწავლილი არ არის. უფრო მეტიც, ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების საქმიანობაში, მეცნიერთა ნაშრომებში, მწერლების ნაწარმოებებში

საერთოდ არ ჩანს მასზე მინიშნებაც კი, რაც აფხაზურ საკითხში ქართული მხარის მიერ დაშვებული შეცდომებიდან, ალბათ, ერთ-ერთ ყველაზე საბედისწეროდ შეიძლება ჩაითვალოს.

სამწუხაროდ, დღემდე არ არის შემუშავებული მწყობრი მეცნიერული თეორია აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე, საბოლოოდ არ არის გაშიფრული მისი ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი ხასიათი. აფხაზეთის ტრაგედიის ობიექტურ მიზეზებზე სრული წარმოდგენა არ გააჩნიათ მსოფლიო თანამეგობრობის პოლიტიკურ ინსტიტუტებს. უფრო მეტიც, ჩვენმა უშუალო მეზობლებმა კავკასიის რეგიონში ბოლომდე ჯერაც ვერ გაითავისეს რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებზე აფხაზეთის მოვლენების დამანგრეველი ზემოქმედების არსი.

ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე თუ პოლიტიკოსი სათანადოდ ვერ აღიქვამს აფხაზეთს ქართული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად და, შესაბამისად, აფხაზური საკითხის ეროვნულ მნიშვნელობასაც ვერ ითვალისწინებს.

ქართველისთვის ბრძოლა აფხაზეთისათვის არ ყოფილა მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა. „ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის“ თეზისის წინ წამოწევა ჩვენ, სამწუხაროდ, რუსეთის – ჩეჩნეთში, ან ინგლისის ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედების რანგში გვაყენებს, რაც, სხვა ყველაფერთან ერთად, ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის ისტორიის სრულ იგნორირებადაც შეიძლება ჩაითვალოს.

აფხაზურ საკითხს დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი აღმოცენება განაპირობა ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლამ, საქართველოს შემადგენელი სამეფო-სამთავროების არაერთიან პოლიტიკურ სივრცეში ყოფნამ და ამ ნიადაგზე წარმოქმნილმა ურთიერთგაუცხოების სინდრომმა; მმართველი ძალების ფეოდალურმა მენტალიტეტმა და მათში კუთხური ცნობიერების წარმოჩინებამ; აფხაზეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, რაც მას, არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში, მრავალი უცხო სახელმწიფოს მძაფრი ინტერესის საგნად აქცევდა. ამ ჩამონათვალს უნდა დაემატოს ის არასწორი შეხედულებებიც, რაც ქართული საზოგადოების ნაწილშია დამკვიდრებული აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის, უძველესი აფხაზების შთამომავლების – ჩრდილო-დასავლელი მეგრელების (ბუდიანელ-სამურზაყანოელების) ეთნოგენეზისთან მიმართებაში.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა რუსეთის იმპერიამ გადანყვიტა საქართველოსგან აფხაზეთის ფაქტობრივი ჩამოშორება, აფხაზეთის საკითხმა მხოლოდ ანტიქართული დატვირთვა მიიღო და საფუძველი ჩაეყარა ე.წ. „აფხაზურ პროცესს“, რომელიც გაგრძელდა კომუნისტური და თვით „პერესტროიკისა“ და „დემოკრატიზაციის“ ეპოქაშიც, რადგან რუსეთში მხოლოდ სახელმწიფოებრივი ფორმაცია და მმართველები შეიცვალნენ, ხოლო რუსეთის „ველიკოდერჟავული“ მიზნები უცვლელი დარჩა.

შედეგად, აფხაზეთში განვითარებული ანტიქართული პროცესი საშინელი კატასტროფით დამთავრდა, რისი ანალოგიც ცივილიზებულ მსოფლიოს ბოლო პერიოდში არც ჰქონია და, სამწუხაროდ, მისგანვე დღემდე სათანადოდ შეუფასებელიც დარჩა.

წინამდებარე ისტორიულ-პუბლიცისტურ ნარკვევებში განხილულია სამურზაყანოელ-ოქუშმელთა ბოლო ოთხი თაობის იმ ღირსეულ წარმომადგენელთა ნამოღვანარ-ნაამაგარის მცირე მიმოხილვა, რომლებმაც გარკვეულწილად შეუწყვეს ხელი ისტორიულად ახლობელი და ნათესავი ხალხების – ქართველებისა და აფხაზების მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის საკმაოდ რთული, მაგრამ მნიშვნელოვანი პროცესის შენარჩუნებას.

ისტორიას მკვეთრი შემობრუნებებიც ახასიათებს. ქართველი კაცი, ყოველივე იმის შემდეგაც კი, რაც მას აფხაზეთში გადახდა, ამ კუთხეში მცხოვრებ ვერც ერთ მოსახლეს, რა ტომისაც არ უნდა იყოს იგი, ვერ გაიმეტებს საკუთარი კარ-მიდამოდან ასაყრელად. ამის უფლებას მას კაცთმოყვარეობისა და ადამიანობის მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიცია არ მისცემს.

„განამტკიცნის უფალმან ყოველნი დაცემადნი და აღჰმართნის ყოველნი დაცემულნი“.

ზურაბ ჯგუბურია,  
2000-2014 წ.წ.

## მოქმედი ასაული

**ქმევევა:**

მამის, დამსახურებული ჰედაგოგის, ისტორიკოსის, დეენილონაში გარდაწვლილი გრიგოლ ივანეს ძე ჰგუბურიას ნათელ სსოვნას;

მთელი ჩემი შეგნებული რხოვრების ერთგული თანამგზავრის და თანამოაზრის, სანიმუშო მეუღლის, დედის და ზეზის, უფროოდ გარდაწვლილი წიერო გუბუა-ჰგუბურიას მარადიულ მოგონებას. ავტორისაგან

*„მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არა სჩვევია.“  
კონსტანტინე გამსახურდია,  
„მთვარის მოტაცება“*

### I. მამეპი (ერამხუტისძენი)

უკანასკნელი ნარმატებული ომი, სადაც ქართველები თავინთი სახელითა და დროშებით, სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის და, იმავდროულად, ღირსეული რევანშისა და ისტორიული სიმართლის დასამტკიცებლად იბრძოდნენ, გახლდათ რუსეთ-თურქეთის ბოლო ომის (1877-1878წწ.) კავკასიის ფრონტის აფხაზეთ-სამეგრელოს საომარი ასპარეზი.

1878 წელს კოდორსა და ღალიძგას შორის, დღევანდელი ოჩამჩირისა და გალის რაიონების, ტყვარჩელის მიმდებარე ტერიტორიებზე, რუსულ-ქართულმა გაერთიანებულმა მხედრობამ რუსეთის არმიის ქვეითთა დივიზიის, კაზაკთა პოლკის, „სამეგრელოს მილიციის“ (მეთაური-გენერალი, თავადი კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი) და სამურზაყანოს ცხენოსანთა ნახევრადრეგულარული პოლკის ანუ ხშირად „აფხაზურ მილიციად“ მოხსენიებული შენაერთის (მეთაური-პოლკოვნიკი თავადი შერვაშიძე) ცალკეულ ცხენოსანთა ესკადრონით, რომელიც 500 ცხენოსანს ითვლიდა, სასტიკი ბრძოლა გაუმართა კოდორის ზღვაში შესართავთან, დღე-



ვანდელი გულრიფშის რაიონის სოფელ ხურჩასთან, დესანტად გადმომსხდარ თურქეთის რეგულარული ჯარისა და მოლაღატი აფხაზურ-აფსუურ გაერთიანებულ სამხედრო ძალას და შეაჩერა მათი წინსვლა დასავლეთ საქართველოს სიღრმისაკენ – ზუგდიდის, ფოთისა და ქუთაისის დასაკავებლად და ხელი შეუშალა მათ შეერთებას აჭარაში განლაგებულ თურქულ მხედრობასთან. ამ გამარჯვებით დასავლეთ საქართველო ფაქტიურად სრულ განადგურებას და მასზე თურქეთის ხელახალი გავლენის აღდგენა-განმტკიცებას გადაურჩა.

გართიანებული, ერთმორწმუნე რუსულ-ქართული ჯარის გამარჯვების მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ თურქულ მხედრობას იმ დროს სარდლობდა შემდეგში თურქეთში ლეგენდარულ სამხედრო მოღვაწედ შერაცხული მხედართმთავარი ომერ-ფაშა (I მსოფლიო ომის პერიოდში თურქული სამხედრო ძალების მთავარსარდალი).

დიდი და მძიმე იყო ამ ომში გაერთიანებული რუსულ-ქართული ძალების დანაკარგები – ბრძოლაში თითქმის მთლიანად, მხოლოდ რამდენიმე ათეული კაცის გარდა, დაიღუპა სამურზაკანოელ ცხენოსან მოხალისეთა (მილიციელთა, როგორც მაშინ მათ ეწოდებოდათ) ესკადრონი, ასევე უმძიმესი დანაკლისი განიცადეს თანამებრძოლებმა და მოკავშირეებმაც – „სამეგრელოს მილიციამ“ და რუსულმა უსტ-ლაბინსკის კაზაკთა მე-6 პოლკმა.

ომში გადარჩენილთა შორის იყვნენ უძველესი ქართული (საბედნიანოელ-სამურზაკანოული) თავადური გვარის წარმომადგენელი, **ოქუმის ასეულის (ОКУМСКАЯ СОТНЯ)** მეთაური, პორუჩიკი, თავადი მელიტონ ემუხვარი (ემხვარი) და მისი თანატოლი და ძიძიშვილი, თავისუფალი („ფიოს“ – მიწათმფლობელი) გლეხი, „ურიადნიკი“ (ოცმეთაური) მიხეილ ციოყის ძე ჯგუბურია.

სწორედ „სამურზაკანოს პოლკის – აფხაზური მილიციის“ (Самурзаканский конно-ирегулярный полк) ოქუმის ასეულმა, მოკავშირე ლაბინსკელ კაზაკებთან და ოქუმის მამასახლისის პეპუ რიგვავას ხელმძღვანელობით მოსულ ადგილობრივ, დამხმარე ძალასთან ერთად, შეძლო მოეგერიებინა თურქ-აფსუათა შეტევა სამურზაკანოს მაზრის ცენტრის – ოქუმის დასაკავებლად და სასტიკად დაამარცხა ისინი „მაღალჯალას“ გორაზე აშენებულ ციხესიმაგრესთან. ხალხში შემორჩენილი გადმოცემით, ოსმალების დანაკარგი ამ ბრძოლაში იმდენად დიდი ყოფილა, რომ თურქთა დამარხვის ადგილს ვრცელი ტერიტორია მოუცავს. საინტერესოა, რომ „უსჯულოთა“ ნეშთით

გავსებულ მინას ადგილობრივი მოსახლეობა ჩვენს დროშიც ერიდებოდა და სამეურნეო თვალსაზრისით არ იყენებდა.

შემდგომში „ოქუმის ასეულმა“, კვლავ ლაბინსკის კაზაკთა პოლკთან ერთად, წარმატებული სამხედრო ოპერაცია განახორციელა დღევანდელი ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე, რის შედეგადაც განადგურებულ იქნა ხერიპს მაანის (მარლანიას) აფსუური სამხედრო დაჯგუფება. ხერიპს მარლანია პირადად ტყვედ აიყვანა თავადმა მელიტონ ემუხვარმა, რითაც წერტილი დაუსვა ე.წ. „ხერიპის პარტიის“, ანუ მოლაღატეთა პარტიისა და საერთოდ პანთურქისტების ზეობას იმდროინდელ აფხაზეთში.

მემატიანე აღნიშნავს:

**„9 июня 1878 г. выступили из Поквешского лагеря 2-я и 6-я сотни лабинского казачьего полка и 6 сотен Самурзаканского конно-иррегулярного полка, под начальством полковника Шервашидзе. Переправившись через Галидзгу у Беслахубы, отряд приблизился к Очамчирам....“**

Абхазцы (Апсиуцы) бежали в рассыпную, но во время преследования сам Херипс был достигнут сотнею Эмухвари (**ОКУМСКОЙ**) и взят в плен, а три его приверженца попали в руки казаков. Партия Херипса Маргани окончательно рассеялась...“

**– 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს აფხაზეთის სამთავროს გაუქმებით და ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიის პოლიტიკით, განსაკუთრებით – რელიგიის საკითხებში, უკმაყოფილო აფსუებმა, თურქეთის ნაქეზებით და მათი მატერიალური მხარდაჭერით, მონაწილეობა მიიღეს რუსეთის წინააღმდეგ ჩატარებულ სამხედრო მოქმედებებში. აღნიშნული ქმედებებისთვის რუსეთის იმპერიამ ომის დამთავრებისთანავე მკაცრად დასაჯა ისინი – ნაწილი, დაახლოებით 30 ათასი კაცი, გადაასახლა თურქეთში (მუჰაჯირობა), ხოლო დანარჩენები გამოაცხადა „დამნაშავე მოსახლეობად“.**

სამწუხაროდ, გუშინდელი ბუნებრივი მოკავშირეები, როგორც რწმენით, ასევე გეოპოლიტიკური ინტერესებით, შემდგომში, ე.ი. 1992-93 წლებში, ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. ლაბინსკელ კაზაკთა შთამომავლები „სამურზაყანოელ მილიციელთა“ შთამომავლების წინააღმდეგ საომრად მოემართებოდნენ და ვერ აცნობიერებდნენ, რომ ამით, თავისდაუნებურად, ხელს უწყობდნენ პანთურქიზმის მარადიული იდეის – ადრიატიკის ზღვიდან ჩინეთამდე თურქული (მუსულმანური) სახელმწიფოს შექმ-

ნის განხორციელებას, სადაც არამართო ქართულის, არამედ საერთოდ ყოველივე ქრისტიანულის ხსენებაც არ იქნებოდა.

რუსეთ-თურქეთის ომში და კერძოდ, ოჩამჩირისთვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული დამსახურებისათვის სამურზაყანოს ცხენოსანთა ნახევრადრეგულარული (მილიციელ-მოხალისეთა) პოლკის ანუ „აფხაზური მილიციის“ საბრძოლო დროშა რუსეთის იმპერატორმა სამუდამოდ შესანახად გადასცა სამურზაყანოს თავად-აზნაურობას და ის „მეფის დროშის“ სახელით ინახებოდა იმდროინდელი სამურზაყანოს მაზრის ცენტრში, ოქუშში, წმინდა ხარების ეკლესიაში. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ეს დროშაც „რეპრესირებული“ იქნა იმ ომის ლეგენდარული გმირის, შემდგომში სამურზაყანოს და კოდორის მაზრების თავად-აზნაურობის მარშლის (წინამძღოლის), გენერალ-მაიორ თავად მელიტონ ემუხვარის კვალდაკვალ. მსცოვანი გენერალი, საოცარი ისტორიისა და დამსახურების მქონე პიროვნება, საქართველოს ფაქტობრივი ეროვნული გმირი, უკვე „წითელმა მილიციელებმა“ უმიზეზოდ დახვრიტეს და უპატრონოდ დააგდეს ოქუში-აჩიგვარას შემაერთებელ გზატკეცილზე.

ომში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისათვის მეფის მთავრობამ ღირსეულად დაუფასა ღვანლი მიხეილ ჯგუბურიასაც. ომის შემდეგ მას უტოვებენ „აფხაზური მილიციის“ სამხედრო ფორმისა და იარაღის საზოგადოდ მოხმარების თავისუფლებას: როგორც მეფის მიერ ბოძებულ სიგელში იყო მითითებული, მას უფლება ჰქონდა, ეტარებინა ჩოხა-ახალუხი „ურიადნიკის“ ანუ პრაპორშიკის სამხრეებით და „გიორგის ჯვრით“, ქამარ-ხანჯალი და სახელმწიფოს კუთვნილი სახაზინო („კაზიონნი“) ხუთვაზნიანი რევოლვერი („სმიტ-ვესსონის“ მარკისა), აგრეთვე მიანიჭა დიდგვაროვნული პრივილეგია – უფროსი შვილის ელიტურ სამხედრო სასწავლებელში სწავლებისა. სხვათა შორის, 1910 წელს ქ. ქუთაისში, გუბერნატორთან მიღების შემდეგ, პეტერბურგის კადეტთა კორპუსში სასწავლებლად მიმავალ უფროს შვილთან, ივანესთან ერთად გადაღებულ ფოტოზე იგი ზუსტად ამ სამხედრო ფორმით და იარაღითაა გამოსახული.

## **II. შვილები (დემოკრატიკი)**

1910 წელს, ქუთაისის გუბერნატორის წარდგინებით, პეტერბურგში, კადეტთა კორპუსში სასწავლებლად იგზავნებიან თანატოლები და თანასოფლელები, რუსეთ-თურქეთის ომის გმირებ-

ის შვილები, ოქუმიის ორგანოფილებიანი (რვა კლასიანი) სკოლის კურსდამთავრებულები: თავადი კონსტანტინე (კონია) მელიტონის ძე ემხვარი და ივანე (ივა) მიხეილის ძე ჯგუბურია.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდანვე, 1914 წლიდან, პოდ-პორუჩიკები კ. ემუხვარი და ი. ჯგუბურია მხარდამხარ იბრძოდნენ განსაკუთრებული დანიშნულების ელიტარულ სამხედრო შენაერთში – „ველური დივიზიაში“, სადაც ოფიცრებად ლეზულობდნენ კავკასიის (ამიერ და ჩრდილოეთ კავკასიის) მთიანეთის, ყალმუხეთის, ბაშკირეთის და ვოლგისპირეთის სხვა ხალხების დიდგვაროვან ან განსაკუთრებული დამსახურების მქონე ოჯახების წარმომადგენლებს. აღნიშნულ დივიზიას პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში სარდლობდნენ რუსეთის იმპერიის ე.წ. „ველური ხალხების“ („ტუხემნი ნაროდ“) წარმომადგენლები – გენერლები: თავადი ლიპარტიანი (დადიანი) და ბარონი ულუგაი, ბოლოს კი იმდროინდელი რუსეთის იმპერიაში ყველაზე სახელგანთქმული გენერალი კორნილოვი. „ველური დივიზია“ იყო პირველ მსოფლიო ომში რუსეთის წარმატებული სამხედრო ოპერაციის – „ბრუსილოვის გარღვევის“ მთავარი დამრტყმელი ძალა.

თანამებრდილთა ბედი სხვადასხვაგვარად წარიმართა.

პორუჩიკი, თავადი კ. ემუხვარი (იგივე ემხვარი) 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე იბრძვის რუსეთის არმიაში, ხოლო 1918 წლისთვის უკვე სოხუმში იმყოფება და გენერალ მაზნიაშვილთან მსახურობს.

1918 წლის თებერვალში, სოხუმის სანაპიროზე სეირნობისას, ქალისა და შემდგომში საკუთრივ მისი, როგორც ოფიცრის „სამხრეების შეურაცხყოფისათვის“, ხმლით შუაზე გაკვეთა პორტში შემოსული ბოლშევიკური ნაღმოსნის „დაკია“-ს თავხედი მატროსი. კ. ემუხვარმა სოხუმის განადგურებას ნებაყოფლობით ჩაბარება და სიკვდილი არჩია. სწორედ კ. ემუხვარი წარმოადგენს ცნობილი ქართველი მწერლის ლეო ქიაჩელის (შენგელაიას) მოთხრობის „ჰაკი აძბას“ მთავარი მოქმედი პირის, უჯუმ ემხას პროტოტიპს (იმ პერიოდში ლეო შენგელაია საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი იყო ესერთა პარტიიდან და პირადად იცნობდა მონამეობრივად აღსრულებულ ბრწყინვალე ოფიცერს).

1916 წელს დასავლეთის ფრონტზე სამხედრო სიტუაცია გერმანია-ავსტრო-უნგრეთის სასარგებლოდ შეიცვალა.

იმავე წლის გაზაფხულზე კარპატების მისადგომებთან „ველური

დივიზიის“ ქართული პოლკის (მეთაური-გენერალი, თავადი უჩა დადიანი) ერთმა ესკადრონმა უთანასწორო ბრძოლა გაუმართა შეტევაზე გადმოსულ ავსტრო-უნგრეთის არმიის სახელგანთქმული უნგრული „ცისფერი ულანების“ სამ ესკადრონს. მიუხედავად „ველურთა“ სიმამაცისა, ისინი დამარცხდნენ. პორუჩიკი ივანე ჯგუბურია, ხელსა და მუხლში დაჭრილი, უნგრელებმა, მის სხვა თანამებრძოლებთან ერთად, ტყვედ აიყვანეს.

ოფიცრის წმინდა გიორგის ოქროს სამივე ხარისხის ჯვრების სრულ კავალერს, ივანე ჯგუბურიას თებერვლის რევოლუციამ ავსტრიაში მოუსწრო, საიდანაც იგი მისი თანასოფელელისა და უფროსი მეგობრის, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრის, შემდგომში ამიერკავკასიის ფედერაციის თავმჯდომარისა და დამოუკიდებელი საქართველოს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის აკაკი ჩხენკელის (დაბადებული და გაზრდილი ოქუშში და არა ხონში, როგორც ეს შეცდომითაა მითითებული ზოგიერთი ისტორიკოსის ნაშრომში) შუამდგომლობითა და დახმარებით აჯანყებული გერმანიის, ნეიტრალური დანიის, შვედეთისა და ფინეთის, სამოქალაქო ომით აღმოდებული რუსეთის გავლით 1918 წლისთვის აფხაზეთში დაბრუნდა.

1919-1921 წლებში, უკვე შტაბს-კაპიტანი ივ. ჯგუბურია არის აფხაზეთის მთავრობის მეთაურის, თავად არზაყან ემუხვარის (გარდაიცვალა ემიგრაციაში. დაკრძალულია ლევილში, ნოე ჟორდანიას გვერდით) ადიუტანტი-თანაშემწე სამხედრო საკითხებში.

საქართველოს პირველი დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში ახალგაზრდა ოფიცრის ივ. ჯგუბურიას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია მისი უფროსი მეგობრის, სამურზაყანოს ღვიძლი შვილის, იმ პერიოდის ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის აკ. ჩხენკელის პოლიტიკურმა მრწამსმა – ივ. ჯგუბურია სიცოცხლის ბოლომდე ღიად თუ ფარულად იზიარებდა მასწავლებლისა და მეგობრის დემოკრატიულ შეხედულებებს. იყო იმდროინდელ საქართველოში წამყვანი პარტიის, „ფედერალისტების“ და მისი აფხაზეთის ბიუროს წევრი.

დღევანდელი ე. წ. „აფხაზეთის ფართო უფლებების ავტონომიური რესპუბლიკის“ ცნება ჩვენი წინაპრებისათვის არ წარმოადგენდა უტოპიურ სინამდვილეს და ამაშიც გამოიხატებოდა მათი პოლიტიკური აზროვნების სიღრმე და რეალისტური ალღო. ჯერ კიდევ 1917

წლის ნოემბერში, საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე გამოსვლისას, სამურზაყანოს წარმომადგენელმა, ცნობილმა განმანათლებელმა და საზოგადო მოღვაწემ, სხვათა შორის, აკაკი ჩხენკელის, არზაყან და კონსტანტინე ემხვარების და ივანე ჯგუბურიას მასწავლებელმა, ოქუემელმა ივანე გეგიაშ ასე მიმართა ყრილობას:

„Граждане! От имени жителей Самурзакано поздравляю вас с первым национальным съездом и желаю плодотворной работы в великом деле упорядочения будущей политической жизни закавказских наций.

И Самурзакано с восторгом встречает мысли и взгляды верного сына отечества г-на Ноя Жордания...

Верно, что 7-го ноября 1917 года, во время съезда абхазов, Самурзакано не присоединилось к Абхазии в вопросе о союзе с горцами и оставил его для сегодняшнего разрешения.

...сегодня Самурзакано играет лишь роль посредника между Грузией и Абхазией, в будущем также будет мостом между ними”.

ამავე ყრილობაზე მანვე მოითხოვა კულტურული ავტონომიის მინიჭება აფხაზეთ-სამურზაყანოსთვის ყოფილი სოხუმის ოლქის ფარგლებში(\*).

სამურზაყანოელთა პოლიტიკური აზროვნების მაღალ დონეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ იმ დროის ამიერკავკასიისა და, შესაბამისად, აფხაზეთის დემოკრატიზაციის სათავეში იდგნენ ცნობილი პოლიტიკოსები აკაკი ჩხენკელი და არზაყან ემხვარი.

იმ დროისთვის, აფხაზეთის ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში (ბოლშევიკები, ნაციონალისტ-პანთურქისტები და სხვ.), განვითარებული ანტიქართული, სეპარატისტული კამპანიის გამო ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი, 1918 წლის დასაწყისში, მშობლიური კუთხის მოსახლეობას ასე მიმართავდა:

„Я обращаюсь к Вам, сыны Абхазии и Самурзакано, как ваш земляк, боровшийся совместно с вами за защиту ваших интересов еще в Государственной Думе, обращаюсь с пламенным призывом внимательно выслушать меня...

...созовите народный съезд и пришлите в Тбилиси Ваших представителей, чтобы в месте с нами, объединенными усилиями выработать конституцию, ... чтобы ваш народ, все абхазцы и самурзаканцы в этом нашли воплощение своих чаяний...”

პასუხად სამურზაყანოელებმა 1918 წლის 28 ივნისს აკ. ჩხენკელს ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს:

„Самурзаканцы желают быть связанными со всеми народами Кавказа. Разрывать политические связи с Грузинами не хотим. Решение вопроса жители Самурзакано поручают Вам, как коренному самурзаканцу“.

სწორედ დიდ სამურზაყანოელ-ოქუშმელთა (ივანე გეგია, აკაკი ჩხენკელი, არზაყან და მელიტონ ემხვარები) უდიდესი ძალისხმევითა და ავტორიტეტით 1918 წლის 9 თებერვალს საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს(\*\*), ხოლო შემდეგ, 1918 წლის 11 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის გაფორმდა ხელშეკრულებები(\*\*\*), რასაც მოჰყვა აფხაზეთის სახალხო საბჭოს 1919 წლის 20 მარტს მიღებული საკანონმდებლო აქტი (აკ. ჩხენკელის წინადადების გათვალისწინებით) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის გაფართოებული ავტონომიის უფლებებით შესვლის შესახებ(\*\*\*\*):

**„Абхазия входит в состав Демократической Республики Грузия, как ее автономная единица, о чем поставить в известность Правительство Республики Грузия и ее Учредительное Собрание.“**

საქართველოს ეროვნული საბჭოს დელეგაციას აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა, აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციას – ალექსანდრე შერვაშიძე და არზაყან ემხვარი, ხოლო სამურზაყანოელებს კი მელიტონ ემხვარი. მოლაპარაკებებში ჩართულმა ბრწყინვალე შემადგენლობამ შედეგსაც შესაფერისს მიაღწია:

– 1918-1921 წლებში – დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, აფხაზეთი, მიუხედავად თურქეთის, რუსეთის (როგორც ბოლშევიკური, ასევე – თეთრგვარდიული) და თვით სეპარატისტთა მცდელობებისა, ცენტრის - ე.ი. თბილისის – მხრიდან ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე, გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული – ფართო უფლებებით. აღნიშნულმა ფაქტმა დასაბამი მისცა ისტორიული სამართლიანობის – საქართველოს სახელმწიფოს საკუთარ ეთნო-ისტორიულ საზღვრებში აღდგენის პროცესს.

– 1921 წლის ბოლოს საბჭოთა აფხაზეთი „სახელშეკრულებო“ სანყისებზე შევიდა საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში, რეალურად კი სარგებლობდა ავტონომიის უფლებებით, რის იურიდ-

## **იულ გაფორმებასაც წარმოადგენდა აფხაზეთის ასსრ 1937 წლის 2 აგვისტოს კონსტიტუცია.**

სამწუხაროდ, მე-20 საუკუნის დასაწყისში (1919წ.), ასევე მე-20 საუკუნის ბოლოს (1991წ.) სამურზაყანოელთა დიდი წინაპრებისა და, შემდგომში, მათი შთამომავლების მარადიული, სანუკვარი სწრაფვა ერთიან ქართულ სახელმწიფოში აფხაზეთ-სამურზაყანოს ფართო ავტონომიის შესახებ, განუხორციელებელი დარჩა. დასაწყისია, რომ 1991 წლიდან არ იგრძნობა სამურზაყანოელთა ჩვეული ძალისხმევაც ამ მიმართულებით....

ივანე ჯგუბურია 1922 წლიდან 1946 წლამდე რეპრესირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ. ის ემიგრაციიდან, ქ. ტრაპიზონიდან, ოქუმში 1922 წელს, არალეგალურად დაბრუნდა. იყო ე. წ. „ლიმენეცი“, ანუ არ სარგებლობდა „საბჭოთა მოქალაქის“ უფლებებით. დახვრეტას ღვიძლი ნათესავის, ცნობილი საბჭოთა და უდიდესი სამეურნეო მოღვაწის, გიორგი ჯგუბურიას ძალისხმევით გადაურჩა.

სამხედრო განათლებასთან ერთად ივ. ჯგუბურიას მიღებული ჰქონდა ტექნიკური განათლებაც. 1916-1918 წლებში, თავისუფალი მსმენელის სტატუსით, ისმენდა ლექციებს ქ. გრაცის (ავსტრია, ტყვეობის პერიოდი) ტექნიკურ სასწავლებელში ჰიდრომშენებლობის განხრით. ფლობდა გერმანულ, რუსულ, მაღიარულ (უნგრულ) ენებს. კოლექტივიზაციის პერიოდში „პოლიტიკურად არასაიმედო“, მაგრამ საიჟინრო-საფორტიფიკაციო საქმის მცოდნე, გიორგი ჯგუბურიას პირადი ინიციატივითა და პასუხისმგებლობით, ხელმძღვანელობდა ოქუმჰესის და მდ. ოქუმზე ნახევრადკაპიტალური ხიდის მშენებლობებს, სამთო კურორტ „აერომდე“ გზის გაყვანას და თვითონ იყო კურორტის პირველი და უცვლელი დირექტორი ორი ათწლეულის განმავლობაში.

შთამომავალთა ხსოვნას შემორჩა მახასიათებელი დეტალები მისი ოფიცრული წარმომავლობიდან: ნახევრადსამხედრო ფორმაში გამოწყობილი – „გალიფე“, ინგლისური ფორმის მაუდის ხაკისფერი გიმნასტურა წელზე შემოჭერილი ფართო ქაშრით, შავი კრაველის, წითელსარჩულიანი მაღალი ფაფახი ან „მაღალკოზიროკიანი“ ოფიცრის ქუდი, ტყავის ნახევარპალტო, ზედ გადაგდებული თეთრი ყაბალახით და მაღალყელიანი, ე.წ. „ოფიცრის კავალერისტული ჩექმები“ – ფაქტობრივად, „ველური დივიზიის“ ოფიცრის



ფორმა. იშვიათად – კოსტუმ-პერანგ-ჰალსტუხში, შლაპით. ტანად – მაღალი, კეხიანი ცხვირით, მუდამ თმა-წვერ-ულვაშ მოკობტავებული. განსაკუთრებული სიყვარულით და მოწინებით იყო განწყობილი სამხედრო საქმისა და, საზოგადოდ, ოფიცრობის მიმართ.

ივ. ჯგუზურიას საბჭოთა მოქალაქის უფლებები, მხოლოდ სამამულო ომში შვილების, უფროსის – სოხუმის პედინსტიტუტის მე-2 კურსის წარჩინებული სტუდენტის, 1939 წელს ე.წ. „სტალინური განვევის“ მონაწილის, ლეიტენანტ შოთა ივანეს ძე ჯგუზურიას და უმცროსის, გრიგოლის, უმაღლესი მთავარსარდლის მადლობის ლაურეატის, დამსახურებების გამო, 1946 წელს მიანიჭეს და პასპორტის ქონის უფლებაც დართეს.

### III. შვილიშვილები (გიორგიანელები)

*რუსეთის იმპერიის ტრანსფორმირებას, მეფის რუსეთის სსრ კავშირად გადაკეთებას შეუძლებელი იყო თავისი კვალი არ დაემჩნია სამურზაყანოელთა ცხოვრებაზეც. კომუნისტური ეპოქა არამარტო მშვიდობიანი ცხოვრების წარმატებებითა, თუ ომის მწარე რეალობებითაა სავსე, არამედ თავისი არსით – სასტიკი, მაგრამ, იმავდროულად, აღმშენებლობის ინტენსიური ეპოქის კონკრეტული მემკვიდრეა.*

მხოლოდ იმ ეპოქის ობიექტური რეალობებით შეიძლება აიხსნას, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, განათლებული და დიდი მომავლის მქონე, გრიგოლ ფარფალიას ტრაგიკული ცხოვრების გზა. ის გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ ამხედრებული ძველი ოფიცრებისა და ძმები ემხვარების უნებლიე მსხვერპლი გახდა. ტრაგედიის მსხვერპლიც და დამნაშავეებიც იმ დროის ღირსეული შვილები იყვნენ და სიტუაციის პარადოქსულობაც სწორედ იმაში გამოიხატებოდა, რომ თითოეულს საკუთარი სიმართლე ჰქონდა, ხოლო „ჭეშმარიტება სადღაც იქ, შორს იყო!“ გარკვეული დროის შემდეგ დამნაშავეც მსხვერპლი შეიქმნა და საერთოდ კი ყველანი, ერთდროულად, იმ ეპოქის მსხვერპლნიც და შემოქმედნიც იყვნენ.

გიორგი გუჯას ძე ჯგუზურია (1899-1951) კომუნისტური ეპოქის აფხაზეთში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო. საქართველოში პირველი მილიონერი კოლმეურნეობის დამაარსებელს და სიცოცხლის ბოლომდე უცვლელ თავმჯდომარეს მხოლოდ დან-

ყებითი განათლება ჰქონდა მიღებული. ამას ობიექტური მიზეზები გააჩნდა – მისი ყრმობის წლები რეაქციისა და I მსოფლიო ომის პერიოდს დაემთხვა. თურქთა წინააღმდეგ ნაბრძოლი „ოქუშელი მილიციის“ შთამომავლისთვის ამას ხელი არ შეუშლია, მთელ კავშირში ცნობილი პიროვნება გამხდარიყო. იყო სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო (სტალინური) პრემიების ორგზის ლაურეატი, უამრავი სამოქალაქო და საბრძოლო ორდენისა და მედლის კავალერი, სახელობითი იარაღით მრავალჯერ დაჯილდოებული, საკავშირო საკოლმეურნეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (თავმჯდომარე – ი. ბ. სტალინი), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე. სამოქალაქო ომის და შემდგომ პერიოდში (1920-1925წ.წ.) დანიშნული იყო ჩრდილოეთ კავკასიაში პანთურქისტების წინააღმდეგ მებრძოლი განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის მეთაურად. II მსოფლიო ომის პერიოდში – კავკასიის ფრონტის აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს წევრად, აფხაზეთის მთიანეთში („ლაკადაში“) ჩამოყალიბებული გამანადგურებელი ბატალიონის მეთაურად. იმდენად მაღალი იყო გიორგი ჯგუბურიას ავტორიტეტი აფხაზეთსა და განსაკუთრებით საბედიანოში, რომ მისი გარდაცვალებიდან თითქმის სამოცი წლის შემდეგაც კი მის მიერ განვლილი გზა და გაკეთებული საქმეები საზოგადოებაში დღესაც ლეგენდად მოიაზრება. მის ნამოქმედარს არა მარტო იმდროინდელი ოფიცოზი აფასებდა, არამედ ქართული კულტურის და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებიც დიდ პატივს მიაგებდნენ მის ღირსეულ ნამოღვაწარს – მას მეტად ფაქიზი სულიერი ძაფები აკავშირებდა ქართული კულტურის კორიფეებთან: აკაკი ხორავასთან, ნიკოლოზ შენგელაიასთან, შალვა დადიანთან, ლეო ქიაჩელთან (შენგელაიასთან). სამამულო ომის ყველაზე მძიმე პერიოდში, 1942-1943 წლების შიმშილიან, უმკაცრეს ზამთარში მან შიმშილით და სიცივიით სიკვდილს გადაარჩინა თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური და სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრების კოლექტივები (ცნობილი ქართველი მსახიობების და ულამაზესი ქალბატონების: დოდო ჭიჭინაძისა და გურანდა გაბუნიას, ბატონ ოთარ მეღვინეთუხუცესის მოგონებები). თვით ბუმბერაზი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას, ასევე ქართული პროზისა და პოეზიის დიდოსტატების კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და მურმან ლებანიძის ნაწარმოებების („მთვარის მოტაცება“, „კოლხეთის

ცისკარი“, რჩეულ ლექსთა კრებული – პოემა „ჯგუბურია“) გამორჩეულ ლიტერატურულ გმირთა პროტოტიპი სწორედ გიორგი ჯგუბურია იყო:

**„გაგვალვიდა დილით გრდემლმა,  
ეს რა გრუხუნია!  
თავს გვადგას და ილიმება  
თვითონ ჯგუბურია.  
ილიმება და ქართულში,  
ალაგ მეგრულს ურევს“...**

*(მურმან ლებანიძე, „ჯგუბურია“)*

ბაბუის, მიხეილისაგან და მამის, ივანესაგან, სამხედრო სამსახურისადმი მისწრაფება შოთა ივანეს ძე ჯგუბურიამ გადმოიბარა. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის II კურსის წარჩინებულმა სტუდენტმა, კომკავშირის საკავშირო ყრილობის დელეგატმა, 1939 წელს წითელ არმიამი მოხალისედ წასვლის შემდეგ ოფიცერთა მომზადების სპეციალური კურსები გაიარა და უკვე 1941 წელს უფროსი ლეიტენანტის ჩინით მსახურობდა იმდროინდელი ლიბავის (დღევანდელი ქ. ლიეპაია, ლატვია) საგანგებო დანიშნულების, გაერთიანებულ საზღვაო-სახმელეთო გამაგრებულ სამხედრო რაიონში, რომელიც ომის დაწყების პირველი წუთიდანვე ჩაება საბრძოლო მოქმედებებში.

ყოველგვარი მხარდაჭერისა და უკანდახვევის შესაძლებლობებს მოკლებული ლიბავის გარნიზონი მთელი ოცი დღის განმავლობაში აკავებდა ფაშისტური გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი საარმიო დაჯგუფების „ჩრდილოეთის“ შეტევის განვითარებას ლენინგრადისაკენ. ყველა სამხედრო არქივში ეს გარნიზონი მთლიანად უგზო-უკვლოდ დაკარგულად მოიხსენიება. მათი გმირობის ერთადერთ მოგონებად შთამომავლობას მხოლოდ 70-იან წლებში გადაღებული შესანიშნავი მხატვრული ფილმი „Город под липами“ შემორჩა.

ივ. ჯგუბურიას დიდ ოჯახში უდიდეს რელიკვიად ითვლებოდა შოთა ჯგუბურიას ჯარისკაცური, სამკუთხა, უდიდესი ოპტიმიზმითა და სამშობლოს სიყვარულით გაჟღენთილი ბარათები.

შოთა ჯგუბურიასთან ერთად წითელ არმიამი მოხალისედ წავიდნენ მისი თანაკურსელები და ნათესავეები, ოქუშმელი ტყუპი ძმები გრიგოლ და აპოლონ ცაცუები. მათ მიჰყვნენ შალიკო, კონსტანტინე, მუგულ, შაქრო, ჯოდონ და ნიკოლოზ ჯგუბურიები, სანდრო და უშანგი შონიები, ძმები შოთა და ვახტანგ შელიები, არდაშელ ზუხბაია...

არც ისინი დაბრუნებიან მშობლიურ კერას. არც ერთ მათგანს არ ელირსა მშობლიურ სოფელში განსვენება.

გიორგი ჯგუბურია 1951 წელს გარდაიცვალა. ოქუმელებმა სახელოვან თანასოფელს სამუდამო განსასვენებელი სოფლის ცენტრში, უძველეს ბაღში მიუჩინეს. წლების შემდეგ მის გვერდით დაიკრძალა მისი ერთგული მეგობარი და თანამდგომი, ლეგენდარული ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი და სტალინური (სახელმწიფო) პრემიის ლაურეატი ჩოქოლი ქვაჩახია.

**„ყოველი ასო ადამის ტომისა, ზოგი სისხლად გადაიქცევა, ზოგი თელგამად და ზოგი სევდად“**, – უთქვამს მეისტორიეს. დღეს ოქუმის ბაღში გვერდიგვერდ მოუვლელად მდგარი ბრინჯაოს ორი ქანდაკება თითოეული სამურზაყანოელისათვის მარადიული სევდის საგნად ქცეულა.

სამწუხაროდ, არათუ ბრინჯაოს ძეგლი ვერ დაუდგეს, არამედ საკადრისი ადამიანური პატივიც კი ვერ მიაგეს სამურზაყანოელებმა კიდევ ერთ გამოჩენილ ოქუმელ მეურნეს, გასაოცარი სიბრძნის, შემართებისა და რკინის ნების მქონე ადამიანს, სოციალისტური შრომის გმირს ხუხუტი შონიას. მხოლოდ რამდენიმე ათეულმა კაცმა შეძლო გაეცილებინა უკანასკნელ გზაზე 1996 წელს, ოკუპირებულ ოქუმში, მისი და მისი შვილიშვილის – იმავე დღეებში მომხდურის ტყვიით მუხანათურად მოკლული, უმცროსი თაობის ოქუმელთა საამაყო წარმომადგენლის – ზვიად შონიას ცხედრები.

1989 წლის 15-17 ივლისს აფსუა-სეპარატისტთა მიერ ქ. სოხუმში პროვოცირებული შეიარაღებული კონფლიქტით აღმფოთებული სამურზაყანოელების პირველ ჯგუფს მდინარე ლალიძგასთან ჩასაფრებულმა სეპარატისტებმა სროლა აუტეხეს. მოლაღატის ხელით ნასროლ ტყვიას პირველი – ოქუმელი ნური შამათავა ემსხვერპლა. ამან, რა თქმა უნდა, სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა. მდინარე ლალიძგას სამეგრელო-სამურზაყანოს 50-ათასკაციანი შეიარაღებული მოსახლეობა მიადგა. ეროვნული მოძრაობის ლიდერებს (მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე, თორნიკე ფიფია), აფხაზეთისა და გალის რაიონის ხელმძღვანელობას (ოთარ ზუხბაია, ლეო ხაბურზანია, ზურაბ ერქვანია, პავლე ქვაჩახია, ვახტანგ ყოლბაია, რაბო შონია, თენგიზ ჩაჩიბაია, როსტომ გამისონია, თამაზ ხუბუა და სხვ.) დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ პროცესებს მართვადი სახე მიეღო და ცოდვის კალო არ დატრიალებულიყო.

ამავე პერიოდში ფეთქებადსაშიში სიტუაცია იყო შექმნილი ქ.

ტყვარჩელის შემოგარენში, სადაც შეიარაღებულ სეპარატისტებს, ფაქტიურად, მძევლად ჰყავდათ აყვანილი ადგილობრივი უიარალო ქართული მოსახლეობა. „ლაკადელებმა“ (გალის და ნალენჯიხის რაიონების მთიანი სოფლების მკვიდრნი) თავიანთი სახელოვანი წინაპრების მიერ მოლალატე ხერიფს მარლანიას დაჯგუფების წინააღმდეგ მე-19 საუკუნეში ჩატარებული სამხედრო ოპერაცია „გაიხსენეს“ და ოქუმ-ჩხორთოლის გავლით ბედიას მიადგნენ თავიანთი ისტორიული მისიის შესასრულებლად, აფხაზთა და ქართველთა უპირველესი მეფის, საქართველოს გამაერთიანებლის, ბაგრატ III წმინდა საფლავის დასაცავად დადგნენ! წინ ტყვარჩელი იყო.

ყველაზე კრიტიკულ მომენტში, როცა აფსუათა უმადურობით აბობოქრებული, ჯერ კიდევ ერთიანი ქართველობა „ძალად გააფხაზებულნი“ მიმდებარე სოფლების (ფოქვეში, პატრახუნა, აგუბე-დია, ბესლახუბა, გუფი, აკვასკა) ნალეკვით იმუქრებოდა, აფხაზეთის სახალხო არტისტმა, მომღერალმა და ლოტბარმა, 65 წლის კოჭიკო ივანეს ძე ჯგუზურიამ, რომელსაც ჩოხა ეცვა და წელზე მამაპაპისეული, ნალიმა და კარპატებგამოვლილი ქამარ-ხანჯალი ერტყა, იასონ და გიორგი შონიებთან, გრიგოლ, ვაჟა და ბიჭიკო ჯგუზურიებთან, გივი ჩიკვატიასთან, ლევარსი და შოთა ლაცუზბაიებთან, ბორის გურგულიასთან, ნოდარ მელაიასთან, ვახტანგ შონიასთან, ადიკო ფაჩულიასთან, ბუბა, მირიან (მირო) და ამირან გამისონიებთან და სხვა ღირსეულ პიროვნებებთან ერთად, ადგილობრივ უხუცეს აფხაზებთან – გამისონიებთან, ჯინჯოლიებთან, ფაჩულიებთან, არშებთან, ეშებთან, ლაკაშიებთან, ჩერქეზიებთან, ბიგვავეებთან – ძველ მოყვრებთან მისვლა არჩია და მათ კეთილგონიერების გამოჩენისკენ მოუწოდა. აფხაზ მოყვრებს შესმენის უნარი მაშინ ჯერ საბოლოოდ დაკარგული არ ჰქონდათ და უძველეს საბედნიანოში დიდი სისხლისღვრა თავიდან იქნა აცილებული.

1992 წლის ნოემბერში, აფხაზეთის ომის ურთულეს პერიოდში, 68 წლის კოჭიკო ჯგუზურიას უეცრად ჯანმრთელობამ უმტყუნა და მთელმა სამურზაყანომ მიაცილა ღვანლმოსილი კაცი ოქუმის ყოვლანმინდა ღვთისმშობლის ხარების ეკლესიის უძველეს სასაფლაომდე. ღირსეულ პიროვნებას უკანასკნელ გზაზე „საპატიო ყარაულად“ სამხედრო-საველე ფორმაში გამოწყობილ შვილებთან, ძმისშვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ახალგაზრდა ემხვარები, შონიები, შელიები, ჯანჯულიები, ლაცუზბაიები, ფარფალიები, ქითანავეები, წირღვავეები, კაკუბავეები, რიგვავეები, ბულისკერიები,

ბალიშვილები, ბასარიები, ცაცუები, გოგობიები, ქვაჩახიები, ახვლედიანები, მელაიები, ჯონჯუები, კოზმავეები და სხვა ადგილობრივ მკვიდრთა შთამომავლები – მოხალისეთა ბატალიონ „სამურზაყანოს“ მებრძოლები მიაცილებდნენ. დღეისთვის, მის გადამწვარ კარ-მიდამოს, მტერთა გულის გასახეთქად მისი შვილები-ნუგზარი და ოთარი, შვილიშვილები შავლეგი და შოთა თავს დასტრიალებენ და ცდილობენ დედ-მამის ნაშრომ-ნალოლიავენს ძველი დიდება დაუბრუნონ. გასაკეთებელი კი მართლაც ბევრი აქვთ...

რუსეთ-თურქეთის ომის ერთ-ერთი მონაწილის, „ოქუმის ცხენოსანთა ასეულის“ მებრძოლის, ხუხურია შონიას შვილიშვილი, აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი იასონ გრიგოლის ძე შონია გმირულად იბრძოდა II მსოფლიო ომში. გამარჯვების დღეს – 1945 წლის 9 მაისს – უფროსი ლეიტენანტი ი. შონია ვენაში შეხვდა.

აფხაზეთში პირველი სკოლა, 1851 წელს, სოფელ ოქუმში დაარსდა. სწორედ ამ სკოლის დირექტორი იყო ი. შონია მთელი ხუთი ათეული წლის განმავლობაში, მე-20 საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული. მან ღირსეულად გააგრძელა ცნობილი ოქუმელი განმანათლებლების – დიმიტრი მაჭავარიანის, ივანე გეგიას, თამარ ჯგუბურია-ფარფალიას (გიორგი ჯგუბურიას უმცროსი და) ტრადიციები. ოქუმის საშუალო (ყოფილი სამრევლო) სკოლის, როგორც სასწავლო დაწესებულების, სიძლიერეზე მეტყველებს მემორიალური დაფა სასკოლო შენობის ფასადზე, რომელიც გვამცნობს, რომ ამ სკოლაში სწავლობდნენ აკაკი (მსოფლიო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი) და კიტა (ყენევის უნივერსიტეტის პროფესორი, ემიგრაციაში, კალე სალიასთან ერთად, ყურნალ „რევიუ დე ქართველოლოჟი“-ს დამფუძნებელი) ჩხენკელები, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, მსოფლიოში ცნობილი მათემატიკოსი, აკადემიკოსი ილია ვეკუა.

ოქუმის საშუალო სკოლის აღზრდილთა საპატიო სიაში მოიხსენიებიან შემდგომში ამავე სკოლის ღვანლმოსილი პედაგოგები, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებლები, შესანიშნავ თაობათა აღმზრდელები და მისაბაძი პიროვნებები, საზოგადო მოღვაწეები – კონსტანტინე ჯანჯუღია, იროდიონ და დომენტი შამათავეები, ტერენტი შელია, ნოე და ვარლამ ბულისკერიები, შალვა ცაცუა, ივანე კოზმავეა, პლატონ ქვაჩახია, ივლიანე ფარფალია, ხუტა რიგვავა.

მასწავლებელობით დაიწყო თავისი შრომითი საქმიანობა ივანე

(ვანო) ბულისკერიამ, რომელიც შემდგომ შსს პოლკოვნიკი გახდა.

განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა ოქუემელ პედაგოგებს შორის შემდგომში ცნობილი ლიტერატორი და ჟურნალისტი ივანე ქვაჩახია. სხვადასხვა თაობის მოსწავლეები ერთნაირად აღმერთებდნენ უბადლო მოქართულეს, რომლის ნებისმიერი გაკვეთილი, თუ საჯარო გამოსვლა ქართული ენის ნამდვილი ზეიმი იყო. მას ყველგან, ოქუემშიც და სოხუმშიც, გვერდს უმშვენებდა და ჭეშმარიტ მეგობრობას უწევდა მისი კოლეგა, ალაღმართალი, მოსიყვარულე გულით და სისპეტაკით ცნობილი გრიგოლ (ციქორ) ლაცუზბაია.

1944 წელს ქვეყნის უმაღლესმა მთავარსარდალმა ი. სტალინმა სატანკო კოლონა „საქართველოს პიონერი“-ს აგებისა და კავკასიის დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის (კოლმეურნეობაში გამომუშავებული დიდი რაოდენობის თანხის მთლიანად თავდაცვის ფონდში გადარიცხვისთვის) 17 წლის გრიგოლ ივანეს ძე ჯგუზურიას პირადი მადლობა გამოუცხადა. სამოქალაქო პირისთვის გამოცხადებული უმაღლესი მთავარსარდლის პირადი მადლობა იმ დროს საბჭოთა კავშირის გმირის უმაღლეს ნოდებას ეთანაბრებოდა!

48 წელი ემსახურა მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს ოქუმის საშუალო სკოლის ისტორიის პედაგოგი, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი გრიგოლ ჯგუზურია. ის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჩხორთოლისა და წარჩის საშუალო სკოლებს, პარალელურად ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას – მრავალჯერ იყო არჩეული რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატად, ოქუმის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, მასწავლებელთა რესპუბლიკური ყრილობების დელეგატად. მინიჭებული ჰქონდა მასწავლებელ-მეთოდისტის უმაღლესი კვალიფიკაცია.

გრიგოლ ჯგუზურიას, როგორც ისტორიკოს პედაგოგს, უსაზღვროდ უყვარდა მშობლიური კუთხე – სამურზაყანო და, საერთოდ, სრულიად საქართველო. გააჩნდა რეალობის ობიექტურად შეფასებისა და მოვლენათა განვითარების განჭვრეტის უნარი, ცხოვრობდა „გიყვარდეს მოყვასი შენი“-ს წესით, დიდად ახარებდა მოსწავლე-შეგირდთა და, საერთოდ, ახალგაზრდა თაობის წარმატებები.

ეროვნული ცნობიერების აღზევების პერიოდში, ყოველგვარი შინაგანი წინააღმდეგობების გარეშე, მიიღო საზოგადოებრივი

ცხოვრების გარდაქმნის კურსი და რეალურად შეაფასა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ რეფორმათა გარდუვალობა. რეალისტურად გაიაზრა ჩვენი პერიოდის ისტორიული კატაკლიზმები – სამოქალაქო ომი და აფხაზეთის ტრაგედია და როგორც ისტორიკოსმა, ამ პრობლემის ახსნა ისტორიის ანალებში მოიძია. გულდასმით ჰქონდა დამუშავებული ოქუმის ივ. გეგიას სახ. ბიბლიოთეკის საარქივო მასალები. დაიწყო სანუკვარი, ჯერ კიდევ სტუდენტური პერიოდის ოცნების ასრულება – საბედიანოს საერისთავოსა და ბედიის მონასტრის ფენომენზე ისტორიული ნარკვევების შექმნა, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო ამ თემაზე გამოქვეყნებულ მრავალ სტატიას.

გრიგოლ ჯგუბურია – გარეგნულად მეტად მკაცრი, მაგრამ შინაგანად საოცრად თბილი და კეთილი ადამიანი, მოწოდებით და საქმიანობით მასწავლებელი, წინაპართა სალოცავებისა და მიტოვებული საფლავების უთქმელი დარაჯი, დევნილობის დარდმა შეინირა 1997 წელს, 71 წლის ასაკში.

გიორგიანელების უფროსი თაობა გამორჩეულ პიროვნებათა სიჭარბით იწონებდა თავს:

– გიორგი ჯგუბურიას უმცროსი მეგობარი და მისი საქმის გამგრძელებელი არქიპო რიგვავა, უკეთილშობილესი და უპატიოსნესი კაცი, რომელიც მთელ ოქუმს სოფლის სინდის-ნამუსის განსახიერებად მიაჩნდა;

– ცნობილი სამეურნეო მუშაკები: რაჟდენ ემხვარი (ფარფალია), ანდრო, ჯოგო და ტერენტი სირგინავეები, აკაკი, გუჯა, ბიქტორ, არდევან (ცულუ), სტეფანე და ილარიონ ჯგუბურიები, ძეკე, იაკობ, ლუდა და აკაკი ქვაჩახიები, ნიკოლოზ და შოთა (უფროსი) შამათავეები, შალვა, ბაჯგა, ჯაჯი, არდევან და აპოლონ ჯონჯუები, ივანე და ბოჯო წირღვავეები, გერასიმე და ბიქტორ მელაიები, რომა, ინალი, პოლკო და კალისტრატე ჯანჯულიები, ილარიონ და ნიკოლოზ ზარანდიები, ბაჯა, ხუხუტი და ტიხონ ფარფალიები, გრიგოლ (გრიშა) და კალისტრატე ბულისკერიები, დიმიტრი შონია, ჯოჯო გამისონია, პავლე ყვანია, ხარიტონ შადანია, აპოლონ გოგოხია, პლატონ (პილა) და ათოშა ჯუმუტიები, ბაგრატ კორსანტია, იაკობ მიქავა, მიშა გოგოხია, ბეკო შამათავა, ილარიონ და ვალერიან (ვალიკო) ახვლედიანები, ერასტო შელია, გიორგი (ჟორჟი) ჭითანავა, არტემ ბასარია, შალვა ზუხბაია, რომანოზ გაბუნია, როდიონ ლაცუხბაია, სევერიან კუკავა, ტერენტი ბალიშვილი, ძიკა ჩერქეზია, გვანჯი და



ლევარსი ბიგვაეები, ვლადიმერ ცაცუა, კომინო ბერაია, ლეონტი გამსახურდია, კოტე და შოთა კოზმაეები, ხუხუტი ანთია;

– იურისტები: კაპიტონ შამათავა და შალვა კორსანტია; ექიმები – ელიზბარ შელია, შოთა გოგობია (შემდგომში აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრი, მეცნიერი, აკადემიკოსი), კიტა ჭოჭუა და პროკოფი (ლუტი) ცაცუა; პარტიული მუშაკი ვალერიან ივარდავა; აგრონომი-სოციალისტური შრომის გმირი კირილე სამუშია;

– როცა 1994 წლის თებერვლის ბოლოს მწვანე დროშით შემოსული აფსურ-ჩეჩნური სადამსჯელო რაზმები ოქუმში ცოცხალს არავის ინდობდნენ და ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ, მამა-პაპათა და თანატოლთა გმრობის ცოცხალმა მემატინემ, უძველესი სამურზაყანოული გვარის წინამძღოლმა, II მსოფლიო ომში თავნასახელებმა ცალფეხა დევკაცმა ლევარსი ლაცუზბაიამ მომხდურ აფსუას უდიერი მოპყრობისათვის („Встань, честь отдавай“) რკინის-ბუნიკიანი ხელჯოხი თავში უთავაზა და სიკვდილის ფასად, საკუთარი და ოქუმელთა ღირსებაც შთამომავლობას ასე შეუნარჩუნა.

– იმავდროულად, ოქუმი-წარჩეს საზღვარზე, ემუხვართა, ჯგუზურიათა, ჯანჯულიათა, თოდუათა და შონიათა უძველესი ნამოსახლარების ადგილას, „ექსერდას“ გორაზე, მისთვის სრულიად უცნობი ახალგაზრდა ქალისა და მისი მცირეწლოვანი შვილების გადარჩენისას, მომხდურმა ზურგში ტყვია დაახალა ალაღმართალ ვაჟკაცს მირიან შონიას. ქალი და ბავშვები გადარჩნენ, მაგრამ ოქუმელებს კიდევ ერთი საამაყო პიროვნება გამოაკლდათ.

– იმავე დღეს, აღმოდებულ სახლში მტრის მიერ ჩაკეტილი და-ძმის, გიორგი და ვალია ცაცუების გადარჩენას ამოდ შეეცადა და კბილებამდე შეიარაღებულ მომხდურებს შიშველი ხელებით შეჭიდებული დაილუპა 50-იანი წლების აფხაზეთში ცნობილი ფეხბურთელი და მოკრივე, ოქუმში მუდმივ საცხოვრებლად დარჩენილი ლაბინსკელი კაზაკის შთამომავლის, ანდრეი (ანდრუშკა) სტრელკოვის ქართველი შვილობილი გიორგი კაკუბავა-სტრელკოვი.

– ოდნავ მოშორებით, ოქუმის ცენტრში, კაკუბავების მამაპაპისეულ ეზოში, ოჯახის უფროსი, პენსიონერი პედაგოგი, სანაქებო პატიოსნებისა და ღირსების ნოშრევან კაკუბავა და მისი სტუმარი და მოყვარე, ეროვნებით აფხაზი, გადამდგარი პოლკოვნიკი უშანგი ნარმანია, ამოდ ცდილობდნენ აეხსნათ საკუთარ მიწაზე, საკუთარ სახლში, მშვიდობიანი „ყოფნის მიზეზი“ გესლითა და ბოღმით გონებადაბინდული „ბოევიკებისთვის“; იმავდროულად, გვერდითა

ეზოში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი ალალ-მართალმა და მშრომელმა კაცმა იროდიონ ჯანელიძემ;

მეორე მსოფლიო ომისდროინდელმა თაობამ არა მხოლოდ შეინარჩუნა, არამედ უფრო მეტად გაამდიდრა წინაპართა სახელოვანი ტრადიციები. ეს თაობა ნამდვილად ოქროს თაობაა „ოქუემელთა ასეულიდან“ – საფუძვლიან ცოდნას დაუფლებული, ახალი იდეებით და ხედვებით შეიარაღებული:

– II მსოფლიო ომის დროს საზენიტო ბატარეის მეთაურის, კაპიტნის, ომის შემდეგ კოლმეურნეობის უცვლელი ფინანსისტის, წარმოსადეგი გარეგნობისა და რაინდული სულის შოთა ლაცუზბაიას ბიოგრაფია ტრაგიზმით აღსავსე ფურცლებით იყო სავსე, მაგრამ მუდამ პოულობდა ძალას, ერთი შეხედვით გადაულახავი დაბრკოლებებიც დაეძლია და თან გარშემომყოფთ დიდ იმედად ჰყოლოდა;

– მისი უღალატო მეგობარი და თანამშრომელი, დიდი გიორგი ჯგუბურიას ალალი დისშვილი, დიდებული მეოჯახე, სიკეთით გულსავსე კაცი მიხეილ (მიშიკო) კორსანტია;

– დედით ოქუემელი და ოქუემში გაზრდილი, ცნობილი ჟურნალისტი, გასაოცრად ენამახვილი და მეკალმოსნე, რიტორი, დიდი სამეგობროს ნამდვილი თვალისჩინი, რაიონის სიამაყე და კოლორიტი, ქართული დარდიმანდობით ნალამაზევი კაცი – ლუდა ციკოლია, თავის სამურზაყანოზე უსაზღვროდ შეყვარებული და მისგანვე უშურველად ნაფერები და ნალოლიავეები;

– მურმან ჯგუბურია – ცნობილი ოქუემელი პედაგოგის, კონსტანტინე ჯგუბურიას სახელოვანი შთამომავალი, დიდებული ქართველი პოეტი და პროზაიკოსი, რომლის ყველა ლექსში თუ ბოლო პერიოდში დაწერილ რომანებში ოქუმისა და ზოგადად, საბედიანო-სამეგრელოს, მკვიდრთა სიყვარული და მოფერება გამოსჭვივის;

– გიორგი შონია, ახოვანი, წარმოსადეგი, ტრადიციული სამურზაყანოელი, მასწავლებელი, სკოლის დირექტორი, შემდგომში, ხანძალივი დროის განმავლობაში, სოფლის თავკაცი;

– ბიჭიკო ჯგუბურია, ოქუემელთა საყვარელი პედაგოგი, შემდგომში ცნობილი სამეურნეო ხელმძღვანელი. სიკეთით და სიყვარულით სავსე კაცი, მშვენიერების უზომო ტრფიალი და დამფასებელი, ირგვლივ მყოფთა პატივსაცემად მომართული, შეჭირვებულთა მტლე და მალამო;

– ვაჟა ჯგუბურია, ღრმად განათლებული და ერუდირებული პიროვნება, კვალიფიციური აგრონომ-ტექნოლოგი, რომელიც

ათეული წლები განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა რაიონის უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ობიექტებს და მრავალ ახალგაზრდა სპეციალისტს მისცა „ცხოვრების საგზური“;

– გოგი ემუხვარი, ფიზიკური სილამაზითა და სულის სიანკარით გამორჩეული პიროვნება. ჩუმი ნაღველისა და დარდის, დონკინოტი-სეული აურის მქონე, დახვეწილმანერებიანი არისტოკრატი, რომელმაც ადამიანურ სულმდაბლობას ამ ქვეყნიდან გარიდება არჩია;

– ბორის გურგულია – ხელოვანი, პედაგოგი, სამეურნეო ხელმძღვანელი. უნესიერესი კაცი, რომელიც მუდამყამ იმის მცდელობაში იყო, რომ თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით სხვისი უფლებები არ შეელახა და ყველა ინიციატივიანი და განათლებული ახალგაზრდასათვის თავის გამოჩენისა და საქმის კეთების საშუალება მიეცა;

– იგორ ზარანდია, წლების მანძილზე ოქუმის ჩაის ფაბრიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მისი ყოველი შესტი, ნაბიჯი, თუ სიტყვა კეთილშობილების უზომოდ დიდი დოზით იყო გაჯერებული. ყველასთვის უსამანოდ სასიამოვნო იყო მასთან ურთიერთობა, ის მთელს ოქუმს ალალი სიყვარულით უყვარდა;

– ნიკოლოზ (კვიტია), ბიჭიკო და ლუდა რიგვავები, მირიან ბასარია, რაიკო ყვანია, მიხეილ ქობალია, შოთა დოჩია და ბექე ლეჟავა, რეზო ბალიშვილი, ნოდარ ფარფალია, კოტე წირღვავა, ვალერი კოზმავა, იუზა ქვაჩახია, ამერიდ მესხია, ზაურ ხასია, რეგენტი ბულისკერია, ბონდო (ხუნტული) ჭითანავა, ვაჟა ჩერქეზია, გივი რიგვავა, ბოჩია გოგოხია - საზოგადოების დაფასებული წევრები, თავიანთი ღირსეული წინაპრების საქმეთა ერთგული გამგრძელებელნი, კაცთმოყვარე, ხელგაშლილი და პურმარილიანი ადამიანები;

– რობერტ რიგვავა, ბოჩია ჭითანავა, მამრიკო ლემონჯავა, ბაქა და ბექე ჯგუბურიები, ანტიფო ქვაჩახია, ომიანე ბასარია, ნიაზ ლაცუზბაია, ბოჩია ფარფალია-ოქუმელი „ლიმილის ბიჭები“, ალექსანდრე დიუმას „გადმომეგრელებული მუშკეტერები“ – ორმოციანელთა თაობის ტიპიური წარმომადგენლები, უკვე მონიფულ ასაკში, იარაღით ხელში სამშობლოს დასაცავად დადგნენ და საკუთარი და თავიანთი სახელოვანი წინაპრების ღირსებას კიდევ ერთი ლამაზი შტრიხი შემატეს!

– კუკუური, მამრიკო, შალოდია და ნური ბულისკერიები – მთისძირას დაბადებული და გაზრდილი, ზუსტადაც რომ მთასავით შეუვალი და საიმედო ლაკადელი ვაჟკაცები;

– ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა სფეროში წარმატებით მოღვაწე პიროვნებები: გიორგი, ნოდარ, ვაჟა, ნიაზ, ვალერიან და ენვერ

მელაიები, ვარლამ, პეტრე, ვაჟა და გელა შელიები, ბოჩია ჭითანავა, ალმა, ველოდი, ვაჟა, რაიკო, ნოდარ და იგორ ლაცუზბაიები, ალექსი და ჯემალ ცაცუები, ინდიკო, აპილო, ხუნტულ, ზაურ, ვიანორ და იგორ ქვაჩახიები, ალექსი, სლავა და ზაურ შონიები, გონერ ახვლედიანი, ჯუმბერ და ბონდო ქეცბაიები, რევაზ ხუფენია, სერგო ზუხბაია, კარლო ჯობავა, ნუგზარ და გიორგი (ჟორჟი) კოზმავები, გივი ზოდელავა, ალმა კვიციანი, ივანე ციცარია, გურგენ ჯონჯუა, კაკო, ალექსანდრე და ილია ჯგუბურიები, გიორგი, რაბო და ტერენტი შამათავები, გივი ცაცუა, რევაზ (ბუჩა) ქვაცაბაია;

– მიხეილ ბულისკერია და მირიან ჯგუბურია – გალის რაიონის სხვადასხვა სოფლების სამეურნეო ხელმძღვანელები, ნამდვილი პროფესიონალები;

– განთქმული მონადირეები – არჩიკო ბულისკერია, შალვა (შალიკო) ფარფალია, ლულუნი ხარებავა, გენო ჯგუბურია, რუსიან შამათავა, რეზო კოზმავეა, ჯუსტან თოდუა;

– სპორტსმენები – თამაზ და ჯუმბერ შელიები, კაპიტონ ჯანჯულია, შოთა ნიკოლოზის ძე შამათავა, ნოდარ თოდუა, გიორგი გერგაია, ნუგზარ ჩერქეზია, მირიან ქვაჩახია, ვალტერ თოდუა, რამინ ცაცუა, რომლებმაც წარმატებით განაგრძეს ძველი თაობის ფეხბურთელებისა და ცხენოსნების – ბუცუნა შელიას, ივანე შამათავას, ჩიმა ბულისკერიას, ლევარსი ნირღვავას, ვალო ქვაჩახიას, ძიკა გერგაიას და სხვების ტრადიციები;

– ხალხური ფოლკლორის მსახურები – ტერენტი ჯგუბურია, შოთა ჭითანავა, ალექსი, ბოშო და კომინო ჩერქეზიები, ომარ ქარაია, ფარშა თოდუა, რომან ვარდანია, რუსლან გუნია, ხუტია მარკოზია;

არც ოქუემელთა მომდევნო თაობას შეუწყვეტია გამართულად სიარული ნინაპართა გზა-შარაზე. ტრადიციულ სამურზაყანოულ ოჯახებში ადათის ერთგული ვაჟკაცები იზრდებოდნენ.

– გიორგი (პაბედა) ჯგუბურიას მამამისმა, დიდმა გიორგიმ, სამომავლო გამარჯვების („პაბედა“) ვალდებულება დააკისრა და ისიც, სანამ ნუთისოფელს გაშორდებოდა, გამარჯვებული და სახელიანი დაიარებოდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, დიდი პატივისცემით სარგებლობდა მთელ რესპუბლიკაში, მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციებში, ასევე საზღვარგარეთ და არც იქ შეურცხვენია დიდი მამის სახელი. ჰყავდა დიდი სამეგობრო წრე. მის გარშემო

მუდმივად ბევრი ხალხი იყრიდა თავს, რადგან იმ კამპანიაში, რომლის სული და გულიც თვითონ იყო, მუდამ სიხალისე, ურთიერთ-პატივისცემა და სამართლიანობა სუფევდა.

მისი სიცოცხლე 45 წლის ასაკში, 1990 წელს, ტრაგიკულად შეწყდა. თავზარდამცემი მოულოდნელობით გამოეცალა ხელიდან ოჯახს, სანათესაოს, ოქუმს. ოჯახში კიდევ ერთი გიორგი ჯგუბურია დატოვა მემკვიდრედ. უმცროსი გიორგი დღეს უკვე მონიფული ვაჟკაცია და დიდი პაპისა და მამის ძარღვიანი დამლა შუბლზე ნიკორივით ახატია.

– ყველა თაობას ჰყავს გამორჩეული პიროვნება, რომელიც სიცოცხლეში ანდამატივით იზიდავს გარშემომყოფთ, ხოლო იმქვეყნად გადასახლებული ერთდროულად საოცარ ტკივილს და ტკბილ მოგონებებს უტოვებს ახლობლებს, მეგობრებს და ხშირად შორეულთაც კი! მუდამ წელგამართული სიარული, ფიზიკურადაც არ არის ადვილი, სულიერი თავდაუხრელობის მუდმივობა ხომ მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. სწორედ ამას ვერ პატიობენ ლაჩარნი და დროებით აღზევებულნი ღირსეულთ და მზად არიან სამალავიდან, ზურგში, სასიკვდილოდ ესროლონ! ეს არის, იმას კი ვერ „ანგარიშობენ“, რომ ასეთები პირდაპირ მარადიულობაში გადადიან. ოქუმელებს ქედმოუხრელობის სიმბოლოდ ერთი არაჩვეულებრივი კაცი, ალალმართლობითა და მაღალი ზნეობით ასე გამორჩეული ტერენტი შელიას შთამომავალი, ნემო შელია ჰყავდათ და სამუდამოდ ასეთად დარჩება ის ოქუმელთა ხსოვნაში!

როდესაც აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ ოქუმელეები ოქუმის გარეშე დატოვა, ბევრს დასჩემდა უდროოდ დაღუპული ნემო შელიას სურათის უბით ტარება. ასე იახლოვებენ შორს დარჩენილ ოქუმს და მის ღირსეულ შვილებს...

– ამბობენ, „ბოროტებას არ სძინავსო“, მაგრამ დიდი იასონის უფროსი ვაჟის – ვახტანგ შონიას ღრმად შინაარსიანი ცხოვრების ტრაგიკული დასასრული ძალიან ჰგავდა „შემზარავი ბოროტების უდროოდ გაღვიძებას“! მაშინ მისი თაობის „ბიჭებისთვის“ თითქოს ეპოქა დამთავრდა ლამაზი...

მხოლოდ რჩეულთ შეუძლიათ, მოასწრონ ცხოვრების ხანმოკლე და საოცრად რთულ პერიოდში ის, რისი გაკეთებაც მან შესძლო: ისწავლა, იშრომა, იმოღვაწა და დიდი კაცის სახელი დატოვა! სადაც კი ყოფილა – სკოლაში, უნივერსიტეტში, სპორტში, სამხედრო სამსახურში, ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, მაღალ სახელმწიფო

თანამდებობაზე – სახელმწიფო მართვის, სოფლის მეურნეობისა თუ საბანკო სფეროში, ყველგან პირველობა ჰქონდა დაბედეული! სულით და ხორციტ ქართველისთვის არც დარდიმანდული ლაღობა იყო უცხო და ბოჰემური ცხოვრებაც ისევე შვენოდა, როგორც უამრავ პრობლემებთან მდგარი შეჭიდება. თითქოს ყოველთვის ყველაფერს ასწრებდა, მაგრამ მისთვის უმნიშვნელოვანესს და მთავარს – ქალიშვილების ზრდასრულობას და მათ დაოჯახებას, შვილიშვილების დაფრთიანებას ვერ შეესწრო, ვერც ახლადმქენილი მოყვრების გაცნობა და უამრავი ახლად ჩაფიქრებულ-დანყებული, ქვეყნისა თუ მისი საახლობლო-სამეგობროსათვის სასიკეთო საქმის ბოლომდე მიყვანა მოასწრო...

„დავბერდები და ჩემი კახა მომივლისო“ – საყვარელ ძმისშვილზე – იასონ შონიას ჭეშმარიტად დიდი ოჯახის ერთადერთ შვილიშვილზე იტყოდა ხშირად და სულ სხვანაირად ახდა მისი სიტყვები: ბიძა-ძმისწული საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გვერდი-გვერდ განისვენებენ...

– უპატიოსნესი კაცის, არქიპო რიგვავას ერთადერთ ვაჟიშვილს ოჯახური ღირსების მადლი ცხოვრების წესად დაჰყვა და ამქვეყნად ყოფნის ხანმოკლე პერიოდი უღალატო კაცურკაცობაში გალია. თამაზ რიგვავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, კარგა ხანს თავისი პროფესიით მოღვაწეობდა. ოქუმის ფეხბურთელთა გუნდის უპირობო ლიდერი, გეოლოგიურ ექსპედიციაში მყოფიც კი ახერხებდა მშობლიური კუთხის გუნდს მხსნელად მოვლენოდა. თუ ოდნავ შეაგვიანდებოდა, ოქუმურ ტრიბუნას უიმედობა იპყრობდა. ცხოვრებაში უსაზღვროდ თბილსა და კეთილს, საფეხბურთო მოედანზე გავეშება სჩვეოდა და თვალეში ცეცხლჩაყენებულ ფეხბურთელში ადვილი არ იყო ის გულკეთილი ოქუმელი ბიჭი შეგეცნო, მთელს ოქუმს ალაღად რომ ეთბილებოდა.

სწორედ მშობლიური კუთხის უსაზღვრო სიყვარულმა გადააწყვეტინა, უარი ეთქვა საკუთარ პროფესიაზე. ოქუმის ჩაის ფაბრიკამ დიდებული სპეციალისტი შეიძინა, სამეზობლო-სამეგობროს კი სამუდამოდ დაუბრუნდა ის საიმედო კაცი, რომლის მაგივრობასაც სხვა ვერ გასწევდა.

ასე იყო მანამ, სანამ აფხაზეთის თავზე შავი ღრუბლები არ შეიყარა. თამაზისა და მისი მეგობრების საბრძოლო თავდადება მუდგევი ვერ გამოიღო. წესით, თბილისში უნდა წასულიყო, სადაც

დიდი საახლობლო ჰყავდა, მაგრამ ზუგდიდი ირჩია. აქედან ოქუმი გაცილებით უფრო ახლოს იყო...

ყველასთვის, ვინც კი იცნობდა, თამაზ რიგვავა დიდი იმედი იყო. სხვის დასახმარებლად ხელის განწვედნა, გულის სითბოს უშურველი გაღება მისი ცხოვრების ქვაკუთხედი გახლდათ და ვინ იფიქრებდა, თუ მის ლაღარა გულსაც შეიძლებოდა ენერგია გამოლოდა. ჯანლონით სავსე ბიჭის გულისცემა სრულიად მოულოდნელად შეწყდა...

თამაზ რიგვავა ზუგდიდში განისვენებს. მისმა საფლავმა ზუგდიდს სტუმარი კიდევ უფრო მოუმრავლა...

– მეტად აკლია ოქუმელთა რიგებს ახალგაზრდა თაობის ორი გამორჩეული წარმომადგენელი ზვიად შონია და დათო ჯგუბურია. მათ თბილისში მიიღეს საუნივერსიტეტო განათლება. სტუდენტობის პერიოდიდანვე ჩაებნენ ეროვნული მოძრაობის რიგებში და მონდომებით ემზადებოდნენ სახელმწიფო თუ ბიზნეს-სტრუქტურებში თავიანთი მძლავრი პროფესიული სიტყვის სათქმელად, მაგრამ არ დასცალდათ... ისინი აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის თვალსაჩინო მსხვერპლნი არიან, ისევე, როგორც სოსო დოჩია, ლონდერ, დათო და კოკა ბულისკერიები, კახა ცაცუა, ნუკრი, კახა და მანუჩარ ჯგუბურიები...

ამ თაობის დაწყებულ საქმეებს გულდადებით აგრძელებენ ჭარმაგი, ამდენ ჭირ-ვარამ გამოვლილი და ადრე დაბრძენებული ოქუმელი „ბიჭები“:

– რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი იურისტი, აფხაზეთის პროკურორი ანზორ ლაცუზბაია, კეთილშობილი ვაჟკაცი, დიდი გულის და შესანიშნავი ოჯახის პატრონი – ღირსეული მამის საზოგადო საქმეების ერთგული გამგრძელებელი;

– სტუდენტური სკამიდან ეროვნული მოძრაობის რიგებში ჩამდგარი, ქართული საქმისთვის თავგადადებული, ქართულ-აფხაზური ისტორიული ურთიერთობების საუკეთესო მცოდნე და ჭეშმარიტად აფხაზურ ტრადიციებს ნაზიარები დავით ლაცუზბაია;

– იურისტი, მუდმივად სამართლიანობისა და წესრიგის სამსახურში მყოფი, მთელ რესპუბლიკაში ცნობილი სახელმწიფო და სამეურნეო მოღვაწეების – იასონ და გიორგი (ჟორა) ზარანდიების შთამომავალი, ოქუმში, ვაჟა ჯგუბურიას ოჯახში აღზრდილი და დაფრთიანებული კობა ზარანდია;

– მრავალსაუკუნოვანი, ისტორიული გვარის ტრადიციებზე

აღზრდილი და მათი ღირსეული შთამომავლები, მუდმივად, ლხინსა თუ ჭირში, მოყვასის ბედის გამზიარებელნი და თანამდგომნი, გენეტიკურად თუ ყოველდღიური საქმიანობით სამშობლოსა და ყოველგვარ მშობლიურზე უზომოდ შეყვარებულნი – ბეჟან, ვახტანგ და დავით (დავებ) ემუხვარები;

– პროფესორი მურთაზ კორსანტია – სპორტსმენი და პედაგოგი, კაცთმოყვარე, ადამიანური ერთგულებისა და საიმედოობის სიმბოლო;

– დიდი და ტრადიციული ოჯახის სახელოვანი მემკვიდრე, განათლებული, სულიერად და ფიზიკურად გაუტეხელი პიროვნება, კეთილშობილი და ნუთისოფლის ჭირ-ვარამის გამოისობით ადრე დაბრძენებული აკაკი შონია;

– გალის რაიონის ყოფილი პრეფექტი – საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი ედიშერ ჯანჯულია, რომელსაც პატივი ერგო თავისი ხელმონერა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე დაეფიქსირებინა;

– ბიზნესმენი, მეცენატი და „ემიგრანტი ოქუშმელების“ თავკაცი მთელ რუსეთში (მოსკოვში) – მუდამ მშობლიურ აფხაზეთზე და ოქუშმელებზე დამაშვრალი გულად (გულა) ჯანჯულია; მისი ერთგული „თანაშემწე“ საქველმოქმედო და საზოგადო საქმიანობაში – თამაზ შამათავა, ცნობილი ოქუშმელი პედაგოგების, საქართველოს და აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებლების, იროდიონ შამათავას და მარგო გაბისონიას, ღირსეული მემკვიდრე;

– ახალი „ფორმაციის“ წარმატებული ოქუშმელები: ანზორ და დავით კაკუბავეები, ოთარ ზუზბაია, იური, მურთაზ, ვახტანგ, ოთარ და ომარ რიგვავეები, ოთარ და ელდარ შამათავაები, გიული ყოლბაია, ლევან და ზურაბ ქვაჩახიები, ზურაბ, თემურ და მერაბ ბულისკერიები, ნოდარ შონია, როლანდ და გიგა ჩერქეზიები, მალხაზ კორსანტია, ონერ და ლევან მელაიები, ვეფხია ბულისკერია, ოლეგ, დევიზ, ანზორ, თენგიზ და გიზო კოზმავეები, გურამ ჯანჯულია, ჯემალ ქერდიყოშვილი, ჯუსტან მესხია;

– ახალგაზრდა, საქმიანი, კაცთმოყვარე ბადრი ბულისკერია, რომლის გაკეთებულ სერიოზულ საქმეებს ბევრი მოწიფული და გამოცდილი კაციც ინატრებდა;

– ვახტანგ და თენგიზ ჯგუბურიები, სოსო წირღვავა – საზოგადო საქმიანობაში და სახელმწიფო სამსახურში ვალმოხდილი ადამიანები, რომელთათვისაც „პატარა“ სამშობლო ოქუში – აფხაზეთი და „დიდი“ საქართველო, დედ-მამის და წინაპრების ხსოვნის სადარი, ხელუხლები სინმინდის ცნებებია;



– ცნობილი სპორტსმენები: ვაჟა კორსანტია, ნაურ შამათავა, თამაზ კაკუბავა-სტრელკოვი, ზურაბ ჯანჯულია, ვალტერ და კობა თოდუე-ბი, გია ჩხაპელია, ომარ ლაცუზბაია, ბადრი და გაიოზ მარკოზიები, რეგინო უბილავა, მალხაზ და ნიკიტა შამათავები, გია ფარფალია, გურამ კვეკვესქირი, გენო გოგუა, გია მესხია, გორა ბულისკერია, ელ-გუჯა შონია, ჯანო ჯონჯუა, თენგიზ და მანუჩარ ცაცუები.

– ახალგაზრდა თაობის ღირსეული წარმომადგენლები: გორა გამსახურდია, მალხაზ ივანეს ძე, ბადრი, მანუჩარ და მამუკა შამათავები, თამაზ, გურგენ, ბესიკ ლაცუზბაიები, ჯამბულ ბასარია, მამუკა ბალიშვილი, მალხაზ ცაცუა, გურგენ კვიციანი, გორა ბიგვა-ვა, მამუკა ვარდანია, იაგო ზუზბაია, არკადი ქვაჩახია, რატი რიგ-ვავა, ზურაბ ჭითანავა, სოსო, გია, ჯემალ, გორა, მამუკა, თამაზ, ლევან, ელგუჯა, ჯეირან, ირაკლი, ალიკ, ლექსო და გელა ჯგუ-ბურიები, რამაზ, ზაზა, ფირუზ და ლაშა შონიები, თამაზ ნემოს ძე შელია, მურთაზ ხასია, ბადრი და ბესიკ წირღვავები, ვეფხია და ჯონი ჯანჯულიები...

#### **IV. დაუმთავრებელი ომი (ლომის მოკვერპი)**

1992-1993 წლების აფხაზეთის ომმა ოქუშმელები კვლავ მხედრუ-ლი შემართების გამოვლენის აუცილებლობის წინაშე დააყენა. ისევ ჩაება ომში მოხალისეთა ბატალიონი „სამურზაყანო“ (ოქუში, 1992 წლის 25 აგვისტო), იგივე გვარებით, რომლის ბაზაზეც, მოგვი-ანებით, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 245-ე ბატალიონი შეიქმნა. ამ ომს, სამწუხაროდ, სრულიად განსხვავე-ბული ანტიურაჟი ჰქონდა – აქ ძველი ისტორიული მოკავშირეები, რატომღაც, ისტორიული მტრის ინტერესების დასაცავად, ერთ-მანეთს ებრძოდნენ. უფრო სწორად, „ყველა“ - „ერთს“ ებრძოდა და ეს „ერთი“ ქართველობა იყო.

დღეს მთელ საქართველოში მიმოფანტულან უმცროსი თაობის გმირ ოქუშმელთა საფლავები:

– თბილისის მიწამ, საბურთალოს მემორიალურ სასაფლაოზე, სამუდამოდ ჩაიკრა გულში ოცდარვა წლის კლდეკაცი, აფხაზეთის ომის გმირი, „სამურზაყანოს“ (245-ე ბატალიონის) მეთაური, „გორ-გასლის“ I ხარისხის ორდენის კავალერი, სამშობლოსა და მშობელი ხალხისთვის თავგადადებული, საქართველოს გაერთიანებისათვის ათასი წლის თავშენიერული ისტორიული საბედიაწოელი გმირების

თანამედროვე პროტოტიპი, ფიზიკურად, გონებრივად და სულიერად ბუმბერაზი ადამიანი, პოლკოვნიკი თამაზ შონია; - მისი ერთგული თანამებრძოლი, სამშობლოსთვის ზვარაკად შეწირული გულის პატრონი, უშიშარი ელგუჯა ბასარია;

- ხობმა - აფხაზეთის ომში „ოქუმელთა ასეულის“ მეთაური, ცნობილი ფეხბურთელი, გალის საფეხბურთო კლუბ „მზიურის“ კაპიტანი, ეტალონური სისპეტაკისა და სიმამაცის განსახიერება, „უშიშო, ვითარცა უხორცო“- ოცდაათი წლის გოჩა ფარფალია;

- ზუგდიდმა - ცხოვრებაში მშვიდი და უწყინარი, ომში ფიცხი და გულმამაცი ომარ ბალიშვილი; ეროვნული გვარდიის ყოფილი ოფიცერი, შემდგომში პოლიციის მაიორი დევიზ ლაცუზბაია, რომელმაც 1998 წლის მაისს, სამურზაყანოელთათვის წმინდა ადგილას - სათანჯოს მთაზე, დაჭრილმა, მტრის ხელში ტყვედ ჩავარდნას საკუთარი ხელით სიკვდილი არჩია.

ოქუმში, ყოვლანმინდა ღვთისმშობლის ხარების ეკლესიის სასაფლაოზე, ჰპოვეს სამუდამო განსასვენებელი: ონერ ემუხვარმა, დათო და შუქრი გოგოხიებმა, ომისტერ (ტუტუ) წირღვაგამ, ზაურ ჯანჯულიამ, ოთარ ფარფალიამ, ოთარ მელაიამ, სლავიკ და თენგიზ კაკუბავებმა, ვახტანგ გამსახურდიამ, ზაზა და იური ფარულავებმა...

...დღეს კი ოქუმის ეკლესია თავის მრევლს ელის. მოვლა-პატრონობას თხოულობენ წინაპართა საფლავები, აღდგენას - გადამწვარი სახლები, მათ შორის, განადგურებულ-გაძარცვული ივანე გეგიას სახლი - „ოქუმის ბიბლიოთეკა“. ყველაფერ ამის უტყვე მონმედ

**„ოქუმის ბაღში კი სძინავს ჯგუზურიას  
და მხოლოდ ძეგლი-  
ბრინჯაოს გლეხი -  
გაჰყურებს სოფელს.“**

*(მურმან ლებანიძე, „ჯგუზურია“)*

მარცხით დამთავრებული ბრძოლისა და დაუმთავრებელი ომის შვილები მომავალს ადრინადად დაბრძენებული მზერით გაჰყურებენ. როგორც ჩანს, მათ, ისევე როგორც მათ წინაპრებს, უზრუნველი ცხოვრება ჯერ კიდევ დიდხანს არ უწერიათ.

**I ნაწილის დასასრული**

## პირველი ნაწილის შინაშენა-განმარტაპი:

### ოქუმი

**(გეოგრაფიული მდებარეობა, ტერიტორია, მოსახლეობა, განათლება და კულტურა, ეროვნული მეურნეობა, აფხაზეთის ომი)**

ოქუმი მდებარეობს უძველესი საბედიანო-სამურზაყანოს, დღევანდელი გალის რაიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდინარე ოქუმის ხეობაში, კავკასიის მთიანეთის სამხრეთ მთისწინეთის კალთებზე. ტერიტორია მთაგორიანია, შავმიწა ნიადაგით. ფართობი 7400 ჰექტარს შეადგენს.

ოქუმი გალის რაიონის ცენტრიდან, ქ. გალიდან, დაშორებულია 18, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრიდან, ქ. სოხუმიდან, 77 კმ-ით. აღმოსავლეთით ესაზღვრება კავკასიის მთიანეთის აფხაზეთის ქედი, დასავლეთით სოფ. წარჩე, სამხრეთით სოფლები ღუმურიში და პირველი გალი, ჩრდილოეთით კი სოფ. ჩხორთოლი.

ჯერ კიდევ მე-11 საუკუნის დასაწყისში, აფხაზეთის სამეფოს (ბაგრატი III-ის ეპოქა, ბედიის მონასტრის აშენებისა და ბედიის ეპარქიის დაარსების პერიოდი) უმთავრესი პოლიტიკურ-კულტურული ცენტრის – ბედიის გარშემო დაფუძნდნენ უძველესი ქართული დასახლებები, მათ შორის ოქუმი („ოქუშა“ – „ოქუში“ – „ოქუმი“, რაც მარცვლეულის დასაფქვავ ადგილს მიანიშნებდა – პროფ. ვ.ზუხბაია).

ოქუმის მოსახლეობა 1993 წლის სექტემბრისათვის შეადგენდა 4200 კაცს ანუ 900 კომლს, აქედან 90%-ს უძველესი საბედიანო-სამურზაყანოული გვარების (41 გვარი) წარმომადგენლები იყვნენ. სულ კი სოფელში ცხოვრობდნენ 131 ქართული გვარის წარმომადგენლები.

საქართველოსა და, შემდგომ, აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, 1841 წელს, ოქუმი გახდა იმდროინდელი სამურზაყანოს ადმინისტრაციული ცენტრი (1841-1905 წწ.). იმ ეპოქის სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, როცა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთში რუსეთის იმპერიის მიერ პოზიციების გამყარებით უკმაყოფილო თურქეთის გავლენის ქვეშ მყოფი აფხაზურ-აფსუური მოსახლეობა ჩრდილოეთიდან, და თვით თურქები – ზღვიდან, მუდმივ საფრთხეს

უქმნიდნენ ადგილობრივ ქრისტიანულ მოსახლეობას, ოქუმი ხდება რეგიონში რუსეთის უმთავრესი სამხედრო-საველე ბაზაც.

ოქუმის გარშემო იმ პერიოდში გაშენდა ორი სიმაგრე: ჩრდილოეთით – „მაღალჯალას“ (მაღალი ხეების) ციხე-სიმაგრე და დასავლეთით „ესქერდას“ ციხე (XVIII საუკუნეში, 1736 წელს, როცა თურქებმა გადაწვეს ილორის წმინდა გიორგის ეკლესია, აღნიშნულ ადგილას თურქ-ასკერთა გამაგრებული სადგომი ყოფილა, აქედან ასკერი-ესქერი-ესქერდა), სადაც სამხედრო სამსახურს გადიოდნენ ლაბინსკელ კაზაკთა და სამურზაყანოს ცხენოსანთა ნახევრადრეგულარული პოლკების ქვედანაყოფები. აღნიშნული ციხე-სიმაგრეები „სამურზაყანოს გამაგრებული ხაზის“ („Самурзаканская линия“) შემადგენელ უმთავრეს ნაწილს წარმოადგენდნენ. აღნიშნული გამაგრებული რაიონის: ბედია-ჩხორთოლი-ოქუმი-ლუმურიში-რეჩხი-გოგიელი-სათანჯო-ჭუბერხინჯი-რუხის ციხე არსებობის უდავო პოზიტიურ როლზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წწ.) ომის პერიოდში აფხაზეთ-სამეგრელოში შემოჭრილი თურქებისა და მათი მოკავშირე აფხაზ-აფსუების გაცილებით დიდმა ძალებმა ვერ შესძლეს იმდროინდელი სამურზაყანოს მთისწინეთში ანუ „ლაკადაში“ შეჭრა და მისი განადგურება.

აღნიშნულ პერიოდში ოქუმში „ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ მატერიალური დახმარებით საფუძველი ჩაეყარა იმდროინდელ აფხაზეთში პირველ სასწავლო დაწესებულებას – 1851 წელს ოქუმის ეკლესიის მღვდელმა, დეკანოზმა დავით მაჭავარიანმა გახსნა დაწყებითი სამრევლო სკოლა, რომელიც შემდგომ ორგანყოფილებიან, რვაკლასიან სკოლად გადაკეთდა. ფაქტობრივად, ის იყო დღევანდელი სტანდარტების შესატყვისი საშუალო სკოლა. იმავე წელს ოქუმში აშენდა კაპიტალური ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია, ადრე არსებული წმინდა ხარების ხის ეკლესიის (ემუხვართა საგვარეულო ეკლესია) პარალელურად.

სკოლის გახსნის დღეს ოქუმის საზოგადოებას და მღვდელთმსახურებს, მოსწავლეებთან ერთად, სკოლის ეზოში ოთხი ძირი მაგნოლიის ხე დაურგავთ, რომლებიც დღესაც ამშვენებენ სკოლის ეზოს.

**მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე სკოლის ზედამხედველი (მეურვე-ინსპექტორი) იყო დღეისათვის ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული, ჯერ ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელი, ხოლო მოგვიანებით აფხაზეთის ეპარქიის წინამძღოლი, მეუფე ამბროსი (ბესარიონ) ხელაია, შემდგომში საქართველოს**

### **ეკლესიის ავტოკეფალიის აღმდგენი და მისი კათოლიკოს-პატრიარქი.**

სხვადასხვა დროს სკოლას ხელმძღვანელობდნენ ლიბერალი რუსი პედაგოგები ცარევსკი და მისანიკოვი, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული თავადი ყარამან ემუხვარი, ხოლო მე-19 საუკუნის ბოლოს სკოლის დირექტორი გახდა ცნობილი განმანათლებელი, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი და „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი დასავლეთ საქართველოში, ოქუმიელი ივანე გეგია.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ივანე გეგიამ ოქუმში დააარსა ბიბლიოთეკა, სადაც ქართველი მწერლების ნაწარმოებებთან ერთად პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჩერნიშევსკისა და სხვა რუსი კლასიკოსების თხზულებანი ინახებოდა. ბიბლიოთეკასთან ფუნქციონირებდა სამურზაყანოს მაზრის არქივიც, რომელიც უდიდეს დოკუმენტალურ მასალას შეიცავდა ამ კუთხის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ტოპონიმიკის, არქეოლოგიის, კულტურის, განათლებისა და სხვა საკითხებზე (თ.სახოკია „მოგზაურობანი“, გვ. 261-262). აქვე დაფუძნდა სამურზაყანოში პირველი სახალხო თეატრიც, სადაც სხვა პიესებთან ერთად ი. გეგიას შექსპირის „ჰამლეტიც“ დაუდგამს.

მე-19 საუკუნის ბოლოს ილორის და ოქუმის ეკლესიების მღვდელმსახურნი – ა. მაჭავარიანი, ი. კერესელიძე, ი. ჩხენკელი (აკაკი ჩხენკელის მამა), ზ. ხელაია და მათი თანამზრახველი საერო მოღვაწეები მ. ემუხვარი, ი. გეგია, თ. სახოკია, ან. ჯუღელი (საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის სარდლის ვალიკო ჯუღელის მამა) და სამურზაყანოს მაზრის უფროსი, პოლკოვნიკი ქორქაშვილი ღიად თუ ფარულად ხელს უწყობდნენ ეკლესიებში წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე აღსრულებას და პარაკლისების ქართულად გადახდას.

**„აქ საქართველოა და არა რუსეთი და ამიტომაც წირვაც ქართულად უნდა იყვესო“**, - განუცხადა მამა ამბროსი ხელაიამ რუსული ეკლესიის მესვეურებს.

1895 წელს სამურზაყანოელებმა წერილობითი თხოვნით მიმართეს სოხუმის რუსული ეკლესიის ეპისკოპოსს – ოქუმის სკოლაში ქართული ენის სწავლების შესახებ და აიძულეს იგი ოქუმის ეკლესიიდან გაეწვია მღვდელი კავკასიძე, რომელიც **„მარჯვე დამცველი და ცხოვრებაში გამტარებელი იყო რუსული მოქალაქეობრი-**

**ობისა, რომელსაც ათასი ცილი დასწამეს, რათა გაეძევებინათ ის სამურზაყანოდან**“, გულმოკლული აღნიშნავდა სოხუმის ეპისკოპოსი, ქუთაისის გუბერნიის უანდარმთა უფროსისადმი გაგზავნილ წერილში (ზაქარია ედილაშვილი, „საქართველო“, 1917წ.).

იმდროინდელი აფხაზეთისა და სამურზაყანოს რუსიფიკაციის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის, სამღვდელოებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა ბრძოლის შესახებ სოხუმის ეპისკოპოსი, იგივე ადრესატს, 1900 წელს ატყობინებდა, რომ **„ეპარქიაში მცხოვრები ქართველები ყოველი ღონისძიებით ცდილობენ დანერგვას სამურზაყანოსა და აფხაზეთში ქართველთა მოქალაქეობრიობისა, რაშიც სრულ დახმარებას უწევს მათ სამღვდელოება, რომელიც განსაკუთრებით ქართველთაგან (მეგრელთაგან) შედგება. საერთოდ, ქართველების მოძრაობა დიდად აბრკოლებს აფხაზეთის გარუსების საქმეს“** და იქვე დასძენდა: **„ამ წერილის წინედ წარდგენილი იყო რამდენიმე განჩინება სამურზაყანოელებისა, ვითომ ქართული ენის სწავლების შემდეგი საჭიროების შესახებ, მაგრამ ყველა ესენი განზრახ შედგენილი იყო“**.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ოქუმის რვაკლასიან სკოლას ხელმძღვანელობდნენ მიხეილ აფაქიძე, ერასტი ზუზბაია, თამარ ჯგუბურია-ფარფალია, ივლიანე ფარფალია.

1936 წელს ოქუმის რვანობიანი სკოლა საშუალო სკოლად გადაკეთდა, რომლის პირველ დირექტორად იასონ შონია დაინიშნა.

II მსოფლიო ომის პერიოდში ოქუმის საშუალო სკოლის ოცი მასწავლებელი გაიწვიეს მოქმედ არმიამში. მათგან მხოლოდ ხუთი დაუბრუნდა მშობლიურ სკოლას.

საბჭოთა აფხაზეთში პირველად სწორედ ოქუმში, გიორგი ჯგუბურიას ხელმძღვანელობით, ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა, რომელიც შემდგომში საქართველოში პირველი მილიონერი კოლმეურნეობა გახდა.

ჩასული საუკუნის 50-90-იანი წლების პერიოდში კოლმეურნეობაში 17 სოციალისტური შრომის გმირი საქმიანობდა. იმ პერიოდში სოფელში ფუნქციონირებდა ოთხი საგანმანათლებლო და ხუთი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც 850-მდე მოზარდის განათლების საქმეს 70-ზე მეტი პედაგოგი ემსახურებოდა. მათგან 11 საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი იყო.

დიდი სამამულო ომის პერიოდში სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდა 360-ზე მეტი ოქუემელი, მათგან 50 კადრის ოფიცერი. გამარჯვების შემდეგ მშობლიურ სოფელს მხოლოდ 136 მათგანი დაუბრუნდა. გარდა ამისა, კავკასიის დაცვის პერიოდში ოქუემში, მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდა ადგილობრივი კადრებით (გალის რაიონი) დაკომპლექტებული გამანადგურებელი ბატალიონი, აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს წევრის გიორგი ჯგუზურიას მეთაურობით.

ოქუემში ფუნქციონირებდა ორი ჩაის ფაბრიკა, სახერხი ქარხანა, ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე აგურისა და კირის გადამამუშავებელი ქარხნები, მტს-ი, ფოსტა, შემნახველი სალარო, ორი ჰესი, რომლებიც 60-იან წლების დასაწყისში, ენგურჰესის აშენების შემდეგ, დაანგრიეს მათი „არაპერსპექტიულობის“ მოტივით(!).

სოფელს გააჩნდა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი 3000-ადგილიანი სტადიონი, სპორტული დარბაზი, საცხენოსნო კლუბი, სასტუმრო, საზაფხულო კინოთეატრი, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, უნივერსალი, 30-ადგილიანი საავადმყოფო, 200-ნომრიანი სატელეფონო სადგური, სამი კეთილმოწყობილი, თანამედროვე დიზაინის, ადმინისტრაციული შენობა: ჩაის ფაბრიკების გაერთიანების, კოლმეურნეობის გამგეობისა და სოფლის ადმინისტრაციისა.

ოქუმის ფეხბურთელთა გუნდი „ნაპერნკალი“ ასპარეზობდა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის II ლიგაში. ჩამოყალიბებული იყო სიმღერისა და ცეკვის 100-კაციანი ანსამბლი.

აფხაზეთის ომის წინა პერიოდში, განათლების, კულტურის, ჯანდაცვისა და ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგში საქმიანობდა 125 უმაღლესი განათლების მქონე ოქუემელი სპეციალისტი. მათ შორის, პედაგოგი – 55, ექიმი – 3, ფარმაცევტი – 2, იურისტი – 4, ინჟინერი – 5, გეოლოგი – 1, ტექნოლოგი – 2, აგრონომი – 35, ეკონომისტი – 18.

1992 წლის პირველ ნახევარში აფხაზეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აფხაზეთმა ნაწილმა (უმაღლესი საბჭოს უბრალო უმრავლესობამ) წამოსწია სეპარატისტული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას. აფხაზეთში, საქართველოს ამ ძირძველ მინაზე, დაიწყო ქართული მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების იგნორირება. სეპარატისტები აშკარად სარგებლობდნენ იმ პოლიტიკური არასტაბილურობით, რომელიც

მოჰყვა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის თბილისი ტრაგიკულ მოვლენებს და გააჩაღეს საკანონმდებლო ომი ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზურმა დეპუტაციამ, მათი იდეური და ფაქტობრივი ხელმძღვანელის, ვლადისლავ არძინბას მეთაურობით, მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, ხმების უბრალო უმრავლესობით, მიიღეს ისეთი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც აშკარა წინააღმდეგობაში იყო საქართველოს კონსტიტუციასთან და ხელყოფდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და წევრები დაინიშნა ქართული დეპუტაციის დაუკითხავად და მოსახლეობის ინტერესების უგულვებელყოფით. განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია აღნიშნული მეთოდით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ვ. ზარანდიას დანიშვნამ, რადგან მისი საზოგადოებრივი და ქართულ-ეროვნული პოზიციები დიდ ეჭვებს იწვევდა აფხაზეთის ქართულ მოსახლეობაში.

1992 წლის 7 მაისის გალის რაიონული საზოგადოებრივი აქტივის კრების და 9 მაისს ქ. სოხუმში ჩატარებული აფხაზეთის ქართული მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის რეზოლუციის აზრის გათვალისწინებით, იმავე წლის 12 მაისს, სოფელ ოქუმის საზოგადოების წარმომადგენლებმა თავიანთ საერთო-სახალხო შეკრებაზე უნდობლობა გამოუცხადეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზურ დეპუტაციას და მის ხელმძღვანელობას, მათი ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი, ქართველთა მიმართ გატარებული დისკრიმინაციული პოლიტიკის გამო.

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში დაწყებულ ომში ოქუმის მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო. უკვე 25 აგვისტოს ოქუმში ჩამოყალიბდა მოხალისეთა ბატალიონი „სამურზაყანო“, რომლის ბაზაზე, 1993 წლის იანვარში, შეიქმნა საქართველოს შეიარაღებული ძალების 24-ე ბრიგადის 245-ე ბატალიონი.

ომის დამთავრების შემდეგ აფხაზმა სეპარატისტებმა ფართომასშტაბიანი საარმიო-სადამსჯელო ოპერაცია მოაწყვეს გალის რაიონის სოფლებში. განსაკუთრებული სისასტიკით მოეპყრნენ ოქუმს და მის მშვიდობიან მოსახლეობას. მარტო ერთი დღის განმავლობაში, 1994 წლის 4 თებერვალს, მათ დახვრიტეს 50-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე და გაანადგურეს საცხოვრებელი ფონდის



70%-ზე მეტი. ამ აქციით ფაქტობრივად განხორციელდა ის სტრატეგიული გეგმა, რომელზეც მრავალი წლის განმავლობაში ფარულად მუშაობდნენ აფხაზური ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერები და რომელიც ეთნიკური ბალანსის ძალისმიერი მეთოდით შეცვლას და უძველესი საბედიანო-სამურზაყანოს ადგილობრივი, მკვიდრი, ვითომდაც „გაქართველებული“ უძველესი მოსახლეობის „ჭეშმარიტ აფსუურ“ ეროვნებაზე მოქცევას ისახავდა მიზნად.

ე. წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის“ ახალმა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულმა მოწყობამ ძირფესვიანად შეცვალა თანამედროვე გალის რაიონის ადმინისტრაციული საზღვრები და უძველესი ქართული სოფლები – ოქუმი, ჩხორთოლი, მუხური, წარჩე, აჩიგვარა, ლუმურიში, კოხორა, პირველი გალი და რეჩხი მითიურ „ტყუარჩალ“-ის რაიონს მიაკუთვნა.

2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ოქუმში ცხოვრობდა 1800-მდე ადამიანი. მათ უმრავლესობას მოხუცები და საშუალოზე უფროსი ასაკის ადამიანები შეადგენდა. საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში იძულებით გადაადგილებულია 1900-მდე კაცი, ხოლო დანარჩენები საზღვარგარეთის ქვეყნებში ცხოვრობენ, ძირითადად რუსეთის ფედერაციაში (400-მდე ადამიანი).

არ ფუნქციონირებს ეროვნული მეურნეობის არც ერთი დარგი და წარმოება. მოშლილია კულტურულ-სპორტული ცხოვრება. ერთადერთ საშუალო სკოლაში ამჟამად 252 მოსწავლე სწავლობს.

გადამწვარია 450 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, ჩაის ფაბრიკის კუთვნილი ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, 115 სხვადასხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობა. 1992-1999 წლებში ომისა და გენოციდის მსხვერპლთა საერთო რიცხვი ასამდე ადამიანს შეადგენს.

## საზოგადოებრივი სამთავროს შესახებ

საზოგადოდ აღიარებული თეორიაა, რომ ერის ერთიანობას განსაზღვრავს მისი ისტორიული მახსოვრობა. ქართველი ერის მახსოვრობას შემორჩა ერთიანი საქართველოს სამეფოს შექმნის ბრწყინვალე ისტორია.

ცნობილია, რომ დღევანდელი აფხაზეთის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს უძველესი საბედიანო – ისტორიული ქართული საბედიანოს საერისთავო (ტერიტორია ენგურიდან სოხუმამდე),

რომლის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი გახლდათ იმ პერიოდის აფხაზეთის სამეფოს (დღევანდელი მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორია) ერთ-ერთი უმთავრესი პუნქტი ბეღია (VII-X საუკუნეები).

ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III აფხაზეთის სამეფო კარის შთამომავალი იყო დედის მხრიდან. აფხაზეთში ბაგრატ III გამეფდა 978 წელს, 1001 წელს ის გახდა ქართველთა (აღმოსავლეთ საქართველოს) მეფე, ხოლო 1008 წლიდან ის უკვე აფხაზთა და ქართველთა მეფეთ-მეფედ იწოდებოდა. სწორედ ბაგრატ III-მ **„დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობითა ჯიქეთიდან ვიდრე გურგანამდე, შექმნა პირველი გაერთიანებული ქართული სახელმწიფო და მის შემდგომ ძლიერებას საფუძველი დაუდვა“**. იმავე პერიოდში საბედიანოს საერისთავომ უდიდესი როლი შეასრულა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საკითხში, როგორც ერთიანი სახელმწიფოს ერთ-ერთმა უმთავრესმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა რეგიონმა.

ლეონტი მროველს „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამი აქვს: **„მეფეთ-მეფე ბაგრატ III აღაშენა საყდარი ბედიისა, შექმნა საეფისკოპოსოდ და განასრულა ყოველთა განგებითა, შეამკო ყოველითა სამკაულითა და დაუსვა ეფისკოპოსი“** (იხ. დამატება: „ბედიის ბარძიმი“).

აქვე გადიოდა გზა ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში (ჩრდილოეთ-სამხრეთის შემაერთებელი გზა), რომელსაც ერქვა „გზაი აფხაზეთისაი“, რომელიც იმდენად გრძელი ყოფილა, რომ **„მოგზაურნი თურმე ვიდოდეს დღეც და ღამეც სამ თვესა“**. ამავე გზის გაგრძელებად ითვლებოდა აფხაზეთიდან სამხრეთ საქართველოსკენ და, საერთოდ, სამხრეთისაკენ გადასასვლელი ერთადერთი სამცხის გზა.

იმდროინდელი საბედიანოს მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 1014 წელს, ფანასკერტის ციხეში გარდაცვლილი ბაგრატ III, ზვიად ერისთავთ-ერისთავმა (ბიძამ დედის მხრიდან), მეფის ანდერძის გათვალისწინებით, გადმოასვენა საბედიანოში და დაკრძალა ბედიის ტაძარში.

შემდგომ ისტორიულ ეპოქაში, XVII საუკუნის პირველ ნახევრამდე, ბეღია ასრულებდა სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრის ფუნქციას.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, აფხაზეთის სამთავროს დამოუკიდებლად ჩამოყალიბების შემდეგ,

როდესაც აფხაზეთის მთავარმა შარაშიამ (შერვაშიძე) თურქები-სა და ჩრდილო-კავკასიელების დახმარებით დაიპყრო საბედიანო, მას (ე.ი. საბედიანოს) დაერქვა სამურზაყანო, მისი მფლობელის მურზაყან შარაშიას (შერვაშიძე) სახელიდან გამომდინარე.

საქართველოზე რუსეთის გავლენის გავრცელების შემდეგ აღნიშნულ ტერიტორიაზე შეიქმნა რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეული „სამურზაყანოს მაზრა“.

ფაქტია, რომ ისტორიული საბედიანოს საკითხებზე (არქეოლოგია, არქიტექტურა, ეთნოგრაფია, ისტორია) უამრავი სამეცნიერო მასალა საზოგადოების ფართო მასებისათვის დღემდე მიუწვდომელია (მაგალითად, პროფ. მალხაზ ბარამიძის მასალები ფიჩორის არქეოლოგიური ძეგლის მრავალწლიან სამეცნიერო ექსპედიციებზე).

სამწუხაროდ, XIX-XX საუკუნეების ერის ღირსეულ მოღვაწეებს, იმ ეპოქის პოლიტიკური სიტუაციებიდან გამომდინარე, შეუძენველი დარჩათ საბედიანოს ე.წ. „გააფხაზების“ ანტიეროვნული არსი და სათანადოდ ვერ აღიქვეს მისი თანმხლები საშიშროება. თანამედროვე ეპოქაში, განსაკუთრებით კი მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, მისი მნიშვნელობა ძალზედ მწვავედ გამოიკვეთა და უაღრესად ნეგატიური როლი ითამაშა თანამედროვე აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებში.

კომუნისტური იმპერიის არსებობის პერიოდში ძირძველი, ისტორიული ქართული საბედიანოს მკვიდრი მოსახლეობის გარეშე ხელის მიერ ძალადდასმულმა ფსევდოაფხაზურმა, კუთხურმა ცნობიერებამ ბოლო ხანებში საქართველოში განვითარებულ ანტიქართულ მოვლენებში ფატალური როლი შეასრულა.

ეტყობა, საბჭოთა საქართველოს დაბალი ეროვნული თვითშეგნების მთავრობის დიდი ნაწილი აღმოჩნდა ამის გავლენის ქვეშ, ვინაიდან არ იქნა გათვალისწინებული საბედიანოს (საერთოდ სამეგრელოს) ფაქტორის გადამწყვეტი მნიშვნელობა აფხაზეთის ქართულ სამყაროში მყარად შესანარჩუნებლად, როცა ამ ფაქტორის მნიშვნელობა შესანიშნავად გათვალეს რუსეთისა და საბჭოთა იმპერიის დიდმოხელეებმა და ე.წ. „აფხაზი ერის“ მარიონეტმა ლიდერებმა.

დასანანი, რომ ამ მოვლენის ჭეშმარიტი როლი საქართველოს სინამდვილეში ჯეროვნად არ არის შესწავლილი. უფრო მეტიც, ქართველი პოლიტიკურ-სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერების შრომებში, მხატვრულ ნაწარმოებებში საერთოდ არ

ჩანს მასზე მინიშნებაც კი, რაც ალბათ აფხაზურ საკითხში ქართული მხარის მიერ დაშვებული შეცდომებიდან ერთ-ერთ ყველაზე საბედისწეროდ შეიძლება ჩაითვალოს.

„დილის გაზეთი“, № 13, 1999 წლის 25 იანვარი

## პროვინისა და მოქალაქეობის საკითხი

მიგვაჩნია, რომ საქართველოს მოქალაქეს პირადობის აღმნიშვნელი დოკუმენტებიდან ეროვნული კუთვნილების გრაფის ამოღება ნეგატიურ როლს ითამაშებს აფხაზეთის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტის საკითხში:

თანამედროვე აფხაზეთში, ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის“ საკონსტიტუციო ნორმით და სხვა ორგანული კანონების მიხედვით განსაზღვრულია აფხაზი ერის, როგორც ავტოქტონური, მკვიდრი ერის ცნება. საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში მკვიდრი ერის დამამკვიდრებელ ფაქტორზე უარის თქმა და მხოლოდ საქართველოს მოქალაქის ინსტიტუტის დამკვიდრება თვითმარქვია რესპუბლიკის სეპარატისტ ლიდერებს მისცემს პროპაგანდის საშუალებას ახალი ქართული „ეთნოაგრესიის“ შესახებ და დააჩქარებს მათი ზრახვების განხორციელებას ადგილობრივი, მკვიდრი ქართველი მოსახლეობის „აფხაზეთად“ ან, უკეთეს შემთხვევაში, „მეგრელებად“ ჩანერისათვის, რადგან ქართველთა „ეროვნების“ პირობებში ეს უფრო ადვილად მისაღწევია. საერთოდ, მთელი აფხაზური პროცესის ძირითად ასპექტს წარმოადგენდა მიზანმიმართული მუშაობა „აფხაზი ერის“ სტატუსის დასამკვიდრებლად და მის იურიდიულ სუბიექტად წარმოსაჩენად, აგრეთვე მთელი სისტემის შემუშავება მკვიდრი ქართველების გასააფხაზებლად. ანალოგიურ მოვლენებს ადგილი ჰქონდა კომუნისტური იმპერიის არსებობის საწყის ეტაპზე, როცა ქართველთა დაუდევრობით, მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში, მაშინდელი აფხაზეთის ლიდერის ნესტორ ლაკობას ძალისხმევით, მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობა, მათი ნების გარეშე, „აფხაზეთად“ ჩანერეს (ძირითადად ოჩამჩირის რ-ნი და ქ. ტყვარჩელი).

ცნობილია, რომ დღევანდელ აფხაზეთში, ქართული ეთნოსის ძირითადი განსახლების ისტორიულ რეგიონში – საბედიანოში, მე-17 საუკუნის მე-2 ნახევრამდე ქართველების გარდა საერთოდ არც ერთი უცხო მოდგმის ხალხი არ ცხოვრობდა.

თუკი განვლილმა მცირე ისტორიულმა პერიოდმა ასე სასარგებლოდ იმუშავა აფხაზებზე, რომ დღეს საეჭვო გახდა საქართველოს

კანონიერი უფლებები აფხაზეთის მიმართ, მაშინ ადვილი წარმოსადგენია აფხაზ მეცნიერთა და მათ მხარდამჭერთა მომავალი ქმედებებიც მთელი დასავლეთ საქართველოს (ისტორიული ქართული აფხაზეთის სამეფო) აბორიგენ მოსახლეობად მხოლოდ ე.წ. აფხაზების გამოსაცხადებლად. მითუმეტეს, ცნობილია, რომ მათთვის ობიექტურ ისტორიულ სინამდვილეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

აფხაზეთის ისტორიულ თუ დღევანდელ სინამდვილეში მკვიდრი ქართველი მოსახლეობისათვის ეროვნული სახის შენარჩუნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ისტორიაა და აღნიშნული ფაქტორის იგნორირება აფხაზეთის ქართულ სამყაროში შენარჩუნების უგულველყოფის ტოლფასია. სწორედ მკვიდრი ქართველი მოსახლეობის მაღალმა ეროვნულმა თვითშეგნებამ არ მისცა საშუალება აფხაზ სეპარატისტებს იურიდიულად, რეფერენდუმის ან უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით, ჯერ კიდევ 1990-1991 წლებში გაეფორმებინათ აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფა, რამაც შემდგომში გამოიწვია ქართველობის ანუ საქართველოს წინააღმდეგ 1992-1993 წლებში აფხაზეთში გარეშე ძალის მხარდაჭერით განხორციელებული აგრესია, რის შედეგად 300.000 ადამიანი საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. ეროვნული თვითშეგნების დაქვეითების სინდრომი ერისა და ქვეყნის გამთლიანებისათვის ბრძოლას საგრძნობლად დაასუსტებს. სამწუხაროდ, აღნიშნული კანონის ამოქმედების ვადა და აფხაზ სეპარატისტთა ლიდერის ცნობილი განცხადებაც – გალის რაიონში დევნილი მოსახლეობის დაბრუნებაზე, ჯერ მხოლოდ მათ მიერ „აფხაზეთის რესპუბლიკის“ მოქალაქეობაზე თანხმობით (როცა ეროვნებაზე განაცხადი ჯერჯერობით არსად არაა საჭირო!), შესანიშნავადაა გათვლილი.

ნებისმიერ ეროვნულ სახელმწიფოში მის სახეს განსაზღვრავს სახელმწიფო ენა. მსოფლიოში უძველესი ცივილიზაციის მქონე სახელმწიფოებში სახელმწიფო ენად აღიარებულია დომინანტი ეთნოსის მკვიდრი ენა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეფის რუსეთისა და კომუნისტური იმპერიების პირობებშიც კი ერის გადარჩენის, სახელმწიფოებრიობის არსებობის ისტორიული მასსოვრობის შენარჩუნების მიზნით ყოველთვის წინამოწეული იყო სახელმწიფო (ძირითადი) ენის ანუ ამ ენის მატარებელი მკვიდრი ერის – ძირითადი ეთნოსის ცნების დამკვიდრების უპირატესი აზრი. თვით კომუნისტური იმპერიის „აყვავების“ პერიოდში, მიმდინარე საუკუნის 80-იან წლებშიც კი საქართველოში

ვერ მოხერხდა ცნობილი ტერმინის „საბჭოთა ხალხის“ დამკვიდრება.

საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციით რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად ქართული ენის აღიარება ფაქტობრივად განსაზღვრავდა დომინანტი ერის – ქართული ეთნოსის უპირატესობის ფაქტორს, რაც არ უნდა დავეუკარგოთ იმდროინდელი ერის ღირსეულ მოღვაწეებსა და მთელ თაობასაც.

სწორედ ამის გამო ებრძოდნენ ქართულ ენასა და კულტურას ასე თავგამოდებით თანამედროვე აფხაზეთის მარიონეტი ლიდერები და მათი ხელშემწყობი უცხოელი ფსევდომეცნიერები. ამ პოლიტიკის აპოთეოზად უნდა მივიჩნიოთ ბოლო წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე განხორციელებული „კულტურული გენოციდის“ ფაქტები, რომელთა შედეგებიც შეიძლება უფრო სავალალოც კი აღმოჩნდეს საერთო ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის საკითხებში, ვიდრე თვით ქართველთა გენოციდის და ეთნიკური წმენდის არნახული მასშტაბები.

**ბოლო პერიოდში საქართველოში ფართოდ მიღებული, უცხოეთზე აპელირების მეთოდი, ამ შემთხვევაში სრულყოფილად ვერ „იმუშავებს“.** **ევროპის მაღალი დემოკრატიული განვითარების ქვეყნებში დომინანტი ერის საკითხი ისტორიულად უკვე დიდი ხნის წინათაა გარკვეული. სხვათა შორის, საფრანგეთში მცხოვრები რამდენიმე მილიონი არაბი თუ ფერადკანიანი, ფრანგად ითვლება და არა მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქედ. არც არავის მოუთხოვია საფრანგეთში პოლიტიკური, თუ კულტურული ავტონომია და არც ერთ დიდ ფრანგ ეროვნულ მოღვაწეს (მათ შორის, თვით საფრანგეთის ეროვნულ სიამაყეს, პრეზიდენტ შარლ დე გოლსაც) საძრახისად არ მიაჩნდა ხშირად გაემეორებინა ლოზუნგი „საფრანგეთი - ფრანგებისათვის“. ანალოგიურად მიგვაჩნია საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებზე აპელირების საკითხიც. თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი ეთნოსის განსახლების ისტორიული ტერიტორია და უძველესი ტრადიციების მატარებელი სახელმწიფო ერთეულები. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ!!!**

თანამედროვე გამოჩენილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა აზრს თუ დავესხებებით, არაა საჭირო თანამედროვე საქართველოში ახალი „ბაბილონის გოდოლის“ აშენება. ჩვენ ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ბრძოლის საკუთარი გზა გვაქვს გასავლელი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს მშენებლობის მიზანიც გვაერთიანებს ერთიანი საქართველოს მოქალაქეებად.

**„დილის გაზეთი“, №19, 29 იანვარი, 1999წ.**

**(\*) ИЗ РЕЧИ ПРЕДСТАВИТЕЛЯ САМУРЗАКАНО И. ГЕГИЯ НА  
НАЦИОНАЛЬНОМ СЪЕЗДЕ ГРУЗИИ**

**19-22 ноября, 1917г.**

Граждане! От имени жителей Самурзакано поздравляю вас с первым национальным съездом и желаю плодотворной работы в великом деле упорядочения будущей политической жизни закавказских наций.

И Самурзакано с восторгом встречает мысли и взгляды верного сына отечества г-на Ноя Жордания. Я только желаю, господа, обратить ваше внимание на исторические факты, свидетельствующие о взаимоотношениях Грузии и Абхазии в прошлом. Мегрелию и Самурзакано разделяет р. Ингури, таким образом, Самурзакано \_ продолжение Грузии. Например, Бедийский храм построен Багратом III и Грузинская история именует его царем абхазом и грузин. Не меньшего внимания заслуживает также родник в тридцати километрах от Ингури на территории Самурзакано. Этот родник называют сегодня `Мапас цкургили~. Слово `мапа~ \_ царь, а `цкургили~- родник. Также одно село в Самурзакано и сегодня называется Санавардо, есть еще место в Абхазии, называемое Сатамашо и т. д.

Верно, что 7 ноября 1917 г. во время съезда абхазов Самурзакано не присоединилось к Абхазии в вопросе о союзе с горцами и оставил его для сегодняшнего разрешения. Самурзакано и Абхазети всегда были и будут братьями. Сегодня Самурзакано играет лишь роль посредника между Грузией и Абхазией, в будущем также будет мостом между ними.

Граждане! Мы желаем, чтобы Абхазия присоединилась к Грузии и чтобы Грузия заключила прочный союз с братскими народами \_ армянами, плоть от плоти с нашими аджарскими мусульманами и с соседними азербайджанцами. Затем этот союз присоединится к горцам Северного Кавказа и появится у нас одно сильное государство, которого не сможет угнетать ничей сильный кулак.

В заключении мы желаем, чтобы Абхазия-Самурзакано-Сухумский округ - остался без изменения и дать ему национально-культурную автономию в своих границах.

«Алиони», 1917 г, 30 ноября, на груз. яз.

**(\*\*) СОГЛАШЕНИЕ МЕЖДУ НАЦИОНАЛЬНЫМ СОВЕТОМ  
ГРУЗИИ И АБХАЗСКИМ НАРОДНЫМ СОВЕТОМ**

**9 Февраля, 1918 г.**

1. Воссоздать единую нераздельную Абхазию в пределах от р. Ингури до р. Мзымта, в состав которой войдут собственно Абхазия и Самурзакано, или что то же нынешний Сухумский округ.

2. Форма будущего политического устройство единой Абхазии должна быть выработана (в соответствии) с принципом национального самоопределения на Учредительном Собрании Абхазии, созванном на демократических началах.

3. В случае, если Абхазия и Грузия пожелают вступить с другими нациями или государствами в политические договорные отношения, то взаимно обязываются начать предварительно между собой по этому поводу переговоры.

**ЦГАА, ф. И -39, оп. 1, д. 16, л. 169.**

**(\*\*\*) ДОГОВОР МЕЖДУ ПРАВИТЕЛЬСТВОМ ГРУЗИНСКОЙ  
ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ И АБХАЗСКИМ  
НАРОДНЫМ СОВЕТОМ**

**11 июня, 1918 г.**

1. При правительстве Грузинской Демократической республики приглашается по представлению Абхазского Народного Совета министр по делам Абхазии;

2. Внутреннее управление и самоуправление в Абхазии принадлежит Абхазскому Народному Совету;

3. Кредиты и деньги, необходимые на управление Абхазией, отпускаются из средств Грузинской Демократической Республики и расходуются на нужды Абхазии Абхазским Народным Советом;

4. Для скорейшего установления революционного порядка и организации твердой власти, в помощь Абхазскому Народному Совету и в его распоряжение правительство Грузинской Демократической Республики посылает отряд Красной Гвардии;

5. В Абхазии организуется интернациональный отряд, который находится в распоряжении Абхазского Народного Совета. Необходимые для отряда снаряжения и деньги выдаются правительством Грузии;

6. Социальные реформы проводятся в жизнь Абхазским Народным Советом на основании общих законов, но применительно к местным



условиям.

7. Съезд населения Абхазии на демократических началах созывается по возможности в скором будущем для окончательного решения вопросов, связанных с устройством Абхазии, и

8. Договор этот пересматривается национальным собранием Абхазии.

**ЦГАА, Ф. И-39, оп. 1, д. 6, лл. 2-2 об.**

### **(\*\*\*\*) АКТ ОБ АВТОНОМИИ АБХАЗИИ**

**20 марта, 1919 г.**

Первый Абхазский Народный Совет, избранный на основе всеобщего, прямого, равного и тайного избирательного права в заседании своем от 20 марта 1919 года от имени народов Абхазии постановил:

1. Абхазия входит в состав Демократической Республики Грузия, как ее автономная единица, о чем поставить в известность Правительство Республики Грузия и ее Учредительное Собрание.

2. Для составления Конституции Автономной Абхазии и определения взаимоотношений между Центральной и Автономной властью избирается смешанная комиссия в равном числе членов от Учредительного Собрания Грузии и Народного Совета Абхазии и выработанные положения по принятии их Учредительным Собранием Грузии и Абхазским Народным Советом, должны быть внесены в Конституцию Демократической Республики Грузия.

**ЦГАА, ф. И-39, оп. 1, д. 16, л. 41**

### **გალის რაიონის სოფ. ოქუმიის საზოგადოების წარმომადგენელთა ყრილობის რეზოლუცია**

**სოფ. ოქუმი, 1992 წ. 12 მაისი**

სოფ. ოქუმიის საზოგადოების წარმომადგენელთა ყრილობა აღნიშნავს, რომ უკანასკნელ პერიოდში აფხაზეთში შეიქმნა მძიმე და ფეთქებადსამიში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია, რაც გამოწვეულია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ ვ. არძინბასა და მის მხარდამჭერ დეპუტატთა აფხაზური ფრაქციის, აგრეთვე ბლოკ „სოიუზ“-ში შემავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების მიერ განუხრელად გატარებული ანტიქართული პოლიტიკით. სეპარატისტთა აშკარა ზემოქმედებით უმაღლესი

საბჭოს აფხაზური ნაწილის და მის მხარდამჭერთა მიერ მიღებული ამკარად ანტიქართული და ამავე დროს ანტიკონსტიტუციური კანონები და დადგენილებები, რომლებიც ძირს უთხრიან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ლახავენ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის საარსებო პირობებს და ამავე დროს მკვეთრად ეწინააღმდეგებიან აფხაზთა და ქართველთა სასიცოცხლო ინტერესებს.

ზემოთაღნიშნული სეპარატისტული და ძირგამომთხრელი პოლიტიკის ამკარა დადასტურებას წარმოადგენს უმაღლესი საბჭოს აფხაზური ნაწილის მიერ ქართველ დეპუტატთა და მთელი ქართული მოსახლეობის აზრის უგულვებელყოფით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და მთავრობის სხვა წევრების დანიშვნა.

მხარს უჭერს, რა ამა წლის რვა მაისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომაზე ქართული დეპუტაციის მიერ გაკეთებულ განცხადებას, 9 მაისს ქალაქ სოხუმში ჩატარებულ აფხაზეთის ქართულ წარმომადგენელთა ყრილობისა და გალის რაიონის 7 მაისის საზოგადოებრივი აქტივის კრების რეზოლუციებს, სოფელ ოქუმის საზოგადოების წარმომადგენელთა ყრილობა ადგენს:

1. დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და უახლოეს დროში ჩატარდეს უმაღლესი საბჭოს ახალი არჩევნები დემოკრატიულ სანყისებზე.

2. უნდობლობა გამოეცხადოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დღევანდელ მთავრობას, მისი სამი დღის ვადაში გადადგომის მოთხოვნით.

3. შეჩერდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებები, როგორც საქართველოს სახელმწიფოს ინტერესების შემლახველი საკანონმდებლო აქტები.

4. დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნას „აფხაზური გვარდია“ და შეიქმნას ინტერნაციონალურ სანყისებზე დაფუძნებული შს სამინისტროს შინაგანი ჯარები, რომლებიც ერთდროულად დაექვემდებარებიან საქართველოსა და აფხაზეთის შესაბამის სამინისტროებს.

5. დაუყოვნებლივ შეწყდეს აფხაზეთის ტელევიზიაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა ორგანოებში ანტიქართული აგიტაცია და პროპაგანდა.

6. გათვალისწინებულ იქნას გალის რაიონული საზოგადოებრივი აქტივის 1992 წლის 7 მაისის კრების რეზოლუციის მე-6 პუნქტი და კომისიის შემადგენლობაში, რომელიც შეისწავლის აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ვ. ზარანდიას

არჩევის ხელშემწყობ გარემოებებს, შეყვანილ იქნას სოფ. შოქუმის საზოგადოებრიობის წარმომადგენელი.

7. უცხადებს რა დაუმორჩილებლობას აფხაზეთის დღევანდელ ხელისუფლებას, სოფ. ოქუმში შეიქმნას დაუმორჩილებლობის კომიტეტი ცხრა კაცის შემადგენლობით, რომელიც უხელმძღვანელებს აღნიშნულ აქციას და სოფლის მოსახლეობის, წარმოება-დანესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას აღნიშნული მიმართულებით.

8. გალის რაიონული საბჭოს პრეზიდიუმმა გაითვალისწინოს ზემოთაღნიშნული კომიტეტის შექმნის ფაქტი და სოფ. ოქუმთან მიმართებაში არსებული საკითხების გადასაჭრელად უშუალო კონტაქტი იქონიოს მასთან.

9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის მიმართ წაყენებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართულმა დეპუტაციამ, ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერით შექმნას ავტონომიური რესპუბლიკის მართვის პარალელური სტრუქტურები.

10. აღნიშნული რეზოლუცია გადაეგზავნოს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს და მინისტრთა საბჭოებს, გალის რაიონული საბჭოს პრეზიდიუმს, გაზეთ „აფხაზეთის ხმას“, საქართველოს ტელევიზიას.

**სოფელ ოქუმის საზოგადოების წარმომადგენელთა ყრილობის პრეზიდიუმის სახელით:**

**ზურაბ ჯგუბურია** - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ოქუმის 32-ე საარჩევნო ოლქიდან, პრეზიდიუმის თავმჯდომარე;

**სოსო წირღვავა** - ოქუმის საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი; დავით არდაშელია - გალის რაიონული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე;

**ხუხუტი შონია** - სოციალისტური შრომის გმირი;

**ვაჟა ჯგუბურია** - ოქუმის ჩაის ფაბრიკის დირექტორი;

**ბორის გურგულია** - ოქუმის საშუალო სკოლის დირექტორი;

**გიორგი შონია** - ოქუმის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე;

**მოგელი ზუხბაია** - ოქუმის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

**ხელმოწერებს ვადასტურებ: ნ. რიგვავა**, ოქუმის სასოფლო საბჭოს მდივანი.

**ოქუმის სასოფლო საბჭოს ლერბიანი ბეჭედი.**

აფხაზეთის ომისა და გენოციდის მსხვერპლთა სია  
(ოქუმი, 1992-1999 წწ.)

№	გვარი,სახელი	დალუპვის თარიღი	წლოვა- ნება	საქმიანობა
1	2	3	4	5
1	შონია თამაზი	1993	28	„სამურზაყანო“
2	ფარფალია გოჩა	1993	30	„სამურზაყანო“
3	ფარფალია ოთარი	1993	38	„სამურზაყანო“
4	გოგობია დავითი	1993	34	„სამურზაყანო“
5	გოგობია შუქრი	1993	41	„სამურზაყანო“
6	ბალიშვილი ომარი	1993	30	„სამურზაყანო“
7	არზიანი შავლეგი	1993	30	„სამურზაყანო“
8	ბულისკერია ჯემალი	1993	30	„სამურზაყანო“
9	ბულისკერია ავთანდილ	1993	33	„სამურზაყანო“
10	ბულისკერია მიტუშა	1993	45	„სამურზაყანო“
11	ბულისკერია ჯეირანი	1993	31	„სამურზაყანო“
12	შონია გურამი	1993	45	„სამურზაყანო“
13	შონია რომანი	1993	16	„სამურზაყანო“
14	წირღვავა ომისტერი	1993	45	„სამურზაყანო“
15	ჯუმუტია რუდიკი	1993	45	„სამურზაყანო“
16	ჯუმუტია რამინი	1993	20	„სამურზაყანო“
17	ქვანახია ბოჩია	1993	43	„სამურზაყანო“
18	ჯანჯულია ზაური	1993	43	„სამურზაყანო“
19	ფარულავა ზაზა	1993	16	„სამურზაყანო“
20	შონია კუკური	1994	44	„სამურზაყანო“
21	ბიგვავა კობა	1994	24	„სამურზაყანო“
22	ცაცუა ბესიკი	1994	23	„სამურზაყანო“
23	ჯობავა ოთარი	1997	22	„სამურზაყანო“

24	მელაია ოთარი	1993	44	შსს
25	ლაცუზბაია დევიზი	1998	43	შსს
26	ემხვარი ენვერი	1993	39	ეკონომისტი
27	ჯგუბურია ირა	1993	68	პერს. პენსიონერი
28	ქვაჩახია ვალერი	1993	43	მუშა
29	კაკუბავა ნოშრევანი	1993	67	პერს.პენსიონერი
30	ნარმანია უშანგი	1993	71	პერს.პენსიონერი
31	ცაცუა შალვა	1993	66	პერს.პენსიონერი
32	ფარფალია შალვა	1993	65	პენსიონერი
33	ანთია ვენერა	1994	85	პენსიონერი
34	კოზმავე მარინა	1994	23	დიასახლისი
35	ლაცუზბაია ლევარსი	1994	70	პერს.პენსიონერი
36	ბასარია ნუკრი	1994	55	მუშა
37	ჩერქეზია პოლინა	1994	65	პენსიონერი
38	ლაცუზბაია აღმა	1994	52	მუშა
39	არაჰამია ვალერი	1994	37	მუშა
40	გაბუნია აბელი	1994	62	მუშა
41	ბულისკერია ავთანდილ	1994	30	მუშა
42	გამისონია გუძია	1994	70	პენსიონერი
43	გერგაია ნელი	1994	55	ექთანი
44	გუნია ვერა	1994	78	პენსიონერი
45	ზუზბაია-არშბა ბაჯგა	1994	81	პენსიონერი
46	თვართვია მერი	1994	50	დიასახლისი
47	კოზმავე ნათელა	1994	65	დიასახლისი
48	კოზმავე შალვა	1994	70	პენსიონერი
49	ლაცუზბაია რაული	1994	62	მუშა
50	მელაია ლულუნი	1994	65	პენსიონერი
51	მელაია ნათელა	1994	54	დიასახლისი
52	მიქავა შალვა	1994	65	პენსიონერი

53	პოლეტაევა ნატო	1994	18	სტუდენტი
54	პოლეტაევა ნინო	1994	20	სტუდენტი
55	სირგინავა ტერენტი	1994	75	პერს.პენსიონერი
56	სტრელკოვი გიორგი	1994	64	პედაგოგი
57	ქვაჩახია იამზე	1994	60	დიასახლისი
58	ქვაჩახია ოთარი	1994	35	მუშა
59	შამათავა შალიკო	1994	75	პენსიონერი
60	შონია მირიანე	1994	55	აგრონომი
61	შონია კლარა	1994	35	დიასახლისი
62	ჩხაპელაია ტანია	1994	56	დიასახლისი
63	ჩხაპელაია გიორგი	1994	72	პენსიონერი
64	ცაცუა ვლადიმერი	1994	65	პენსიონერი
65	ცაცუა ვალია	1994	79	პენსიონერი
66	ცაცუა შოთა	1994	65	პენსიონერი
67	ცაცუა გიორგი	1994	62	პენსიონერი
68	ჯგუბურია ალექსანდრა	1994	58	ეკონომისტი
69	ჯანელიძე იროდიონი	1994	66	პენსიონერი
70	ჯონჯუა ფედოსია	1994	79	პენსიონერი
71	ჯონჯუა ჯაჯი	1994	82	პენსიონერი
72	ჯგერენაია ციქორი	1994	73	პენსიონერი
73	კუკავა მურთაზი	1994	24	მუშა
74	გოლანძია ამბაკო	1994	63	მუშა
75	გოლანძია მურმანი	1994	34	მუშა
76	თოდუა ამირანი	1995	62	მუშა
77	კოზმავა მანგული	1995	61	მუშა
78	კოზმავა თაკაროვი (ალექსი)	1995	58	მძღოლი
79	ლაცუზბაია ნიქტარიოზი	1995	42	ინჟინერი
80	შამათავა მუშნი	1995	56	მუშა

81	ლაცუზბაია ალექსანდრე	1995	58	მუშა
82	გურგულია ბორისი	1995	54	პედაგოგი
83	ჯგუზურია ალექსანდრე	1995	55	მძლოლი
84	ჯანჯულია გიორგი	1995	67	პენსიონერი
85	ფარულავა იური	1996	43	მუშა
86	შონია ზვიად	1996	24	ეკონომისტი
87	შელია ნემო	1996	49	ეკონომისტი
88	რიგვავა კახა	1998	23	სტუდენტი

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Дж. Гамахария, Б. Гогия, Абхазия \_ истортическая область Грузии, Тб. 1997;
2. ი. შონია, „მარად უჭკნობი ეროვნული დიდება“, სოხუმი, 1973;
3. გრ. ჯგუზურია, ივ. ჯგუზურიას მოგონებებიდან, „ოქუშის ბიბლიოთეკის“ არქივის მასალები, 1948-1953 წწ;
4. მ. ლებანიძე, რჩეული, თბ. 1982 წ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;
5. კონსტანტინე გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“, ზვიად გამსახურდიას სპეცრედაქტორობით, თბ. 1990 წ, გამომცემლობა „მერანი“;
6. ზ. ჯგუზურია, საბედიანოს საერისთავოს შესახებ, მოქალაქეობისა და ეროვნების საკითხები, „დილის გაზეთი“, № 13, 16, 1999 წლის 25, 29 იანვარი;
7. ვ. ყოლბაია, რ. გელანტია, დ. ლაცუზბაია, თ. ჭახრაკია, „აფხაზეთის ლაბირინთი“, თბ. 1999წ., საქართველოს პარლამენტის გამომცემლობა;
8. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, (1918-1921წწ.), თბ. 1990;
9. ა. თოთაძე, „აფხაზეთის მოსახლეობა, ისტორია და თანამედროვეობა“, თბ. 1995, გამომცემლობა „სამშობლო“;
10. თ. ნადარეშვილი, „შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ“, თბ. 1998, გამომცემლობა „საქართველო“;

11. საქართველოს საპატრიარქო, „ჯვარი ვაზისა“, №1. თბ. 1995;
12. ჯემალ გამახარია, „წმიდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია)“, თბ. 2012.



## II ნანილი

# აფხაზეთი ჩემ ცხოვრებაში...

გამარჯობა, აფხაზეთო შენი,  
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია.  
შეეპარა გულს რაღაცა სენი,  
მომენატრა ზღვა, რომელიც შორია.

გალაკტიონი

„წმინდა გიორგის სინათლეო,  
თეთრო გიორგის სინმინდეო,  
სამურზაყანოს უწინამძღვრე,  
ოქუმის მუხებს უდარაჯე,  
წმინდა გიორგის სინათლეო!“

გენო კალანდია,  
„ტაია ბედიას პირველი მოთქმა“

## ოქუმის სკოლა – აფხაზეთის გარუსაბის წინააღმდეგ ბრძოლის ფორფოსტი

(აფხაზეთში პირველი სკოლის დაარსების 150-ე წლისთავის გამო)

მე-19 საუკუნის შუა პერიოდში, ოქუმში, „ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ მატერიალური დახმარებით, საფუძველი ჩაეყარა იმდროინდელ აფხაზეთში პირველ საერო სასწავლო დაწესებულებას. 1851 წელს ოქუმის ეკლესიის მღვდელმა, დეკანოზმა დავით მაჭავარიანმა გახსნა დაწყებითი სამრევლო სკოლა, რომელიც შემდგომ ორკლასიან, რვაგანყოფილებიან სკოლად გადაკეთდა. ფაქტობრივად, იგი იყო დღევანდელი სტანდარტების შესატყვისი არასრული საშუალო სკოლა. მე-19 საუკუნის ბოლოს სკოლის ზედამხედველი (მეურვე-ინსპექტორი) იყო მოგვიანებით ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული, იმ დროს ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელი ამბროსი (ბესარიონ ხელაია), შემდგომში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღმდგენი და მისი კათოლიკოს-პატრიარქი.

სხვადასხვა დროს სკოლას ხელმძღვანელობდნენ ლიბერალი რუსი პედაგოგები ცარევსკი და მიასნიკოვი, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული თავადი ყარამან ემუხვარი, ხოლო გასული საუკუნის ბოლოს სკოლის დირექტორი გახდა ცნობილი განმანათლებელი, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი, საქართველოში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრი, ოქუმელი ივანე გეგია.

XIX საუკუნის 90-იან წლებში, სწორედ ივანე გეგიამ დააარსა ოქუმში ბიბლიოთეკა, სადაც ქართველი მწერლების – შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ბესიკის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, რაფიელ ერისთავის, ალექსანდრე ყაზბეგის და სხვათა ნაწარმოებებთან ერთად, პუშკინის, ლერმონტოვის, დოსტოევსკის, ჩერნიშევსკის, ტოლსტოის, აგრეთვე სხვა რუსი და უცხოელი კლასიკოსების თხზულებანი ინახებოდა. ბიბლიოთეკასთანავე არსებობდა სამურზაყანოს მაზრის არქივიც, რომელიც უდიდეს დოკუმენტურ მასალას შეიცავდა ამ კუთხის, ბაგრატ III დროინდელი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების მედროშის, უძველესი ქართული საერისთავოს – საბედიანოს (ბედიის საერისთავოს) ისტორიის, ეთნოგრაფიის, ტოპონიმიკის, არქეოლოგიის, კულტურის,

განათლების და სხვა საკითხებზე (თ.სახოკია, „მოგზაურობანი“). აქვე დაფუძნდა აფხაზეთში პირველი სახალხო თეატრიც, რომელშიც წარმატებით იდგმებოდა, არა მარტო ქართული, არამედ უცხოური კლასიკური ნაწარმოებებიც. მან გააცნო პირველად ადგილობრივ მოსახლეობას შექსპირის „ჰამლეტი“.

„განათლება, კულტურა, მეცნიერება – ხალხს!“ - ასეთი იყო ივანე გეგიას და იმდროინდელი სამურზაყანოს სასწავლო-კულტურული დაწესებულებების საქმიანობის დევიზი.

იმავე პერიოდში ოქუშის და ილორის ეკლესიების მღვდელმსახურნი, იმავდროულად ოქუშის სკოლის პედაგოგები – მაჭავარიანი, კერესელიძე, ჩხენკელი (აკაკი ჩხენკელის მამა), ამბროსი ხელაია და მათი თანამზრახველი საერო მოღვაწეები – მ. ემუხვარი, ივ. გეგია, თ. სახოკია, ან.ჯუღელი (საქართველოს სახალხო გვარდიის სარდლის – ვალიკო ჯუღელის მამა), სამურზაყანოს მაზრის უფროსი პოლკოვნიკი ქორქაშვილი ღიად თუ ფარულად ხელს უწყობდნენ სკოლაში მშობლიური ენის სწავლას და ეკლესიებში წირვა-ლოცვის და პარაკლისების ქართულ ენაზე აღსრულებას.

„აქ საქართველოა და არა რუსეთი და ამიტომაც წირვაც ქართულად უნდა იყოს“, – განუცხადა მამა ამბროსიმ რუსული ეკლესიის მესვეურებს.

„1895 წელს სამურზაყანოელებმა წერილობითი თხოვნით მიმართეს სოხუმის რუსული ეკლესიის ეპისკოპოსს ოქუშის სკოლაში ქართული ენის სწავლების შემოღების შესახებ და აიძულეს ოქუშის ეკლესიის მღვდელი კავკასიძე, რომელიც მარჯვე დამცველი იყო და გამტარებელი ცხოვრებაში რუსული მოქალაქეობრიობისა, რათა გაეძევინათ ის სამურზაყანოდან“ (ზაქარია ედილაშვილი, „საქართველო, 1917 წ.“).

იმდროინდელი აფხაზეთისა და სამურზაყანოს რუსიფიკაციის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის, სამღვდელოებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა ბრძოლის შესახებ, სოხუმის ეპისკოპოსი 1900 წელს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა შეფს ატყობინებდა, რომ ეპარქიაში მცხოვრები ქართველები ყოველი ღონისძიებით ცდილობენ დაწერგვას სამურზაყანოსა და აფხაზეთში ქართველთა მოქალაქეობრიობის, რაშიც სრულ დახმარებას უწევს მათ სამღვდელოება, რომელიც განსაკუთრებით ქართველთაგან (მეგრელთაგან) შედგება. საერთოდ, ქართველების მოძრაობა ღიდად აბრკოლებს აფხაზეთის გარუსების და გადაგვარების საქმეს“ და იქვე დასძენდა: „ამ წერილის წინედ წარმოდგენილი იყო რამდენიმე განჩინება სამურზაყანოელებისა, ვითომ ქართული ენის სწავლების შემდეგი საჭიროების შესახებ, მაგრამ ყველა ესენი განზრახ შედგენილი იყო“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ოქუმის რვაკლასიან სკოლას ხელმძღვანელობდნენ მიხეილ აფაქიძე, ერასტი ზუზბაია, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი თამარ ფარფალია, აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი ივლიანე ფარფალია.

1936 წელს ოქუმის რვანობიანი სკოლა საშუალოდ გადაკეთდა, რომლის პირველ დირექტორად დაინიშნა შემდგომში საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი იასონ შონია.

სამამულო ომის პერიოდში ოქუმის საშუალო სკოლის ოცი მასწავლებელი გაინვიეს მოქმედ არმიასში, მათგან მხოლოდ ხუთი დაუბრუნდა მშობლიურ სკოლას.

ოქუმის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა საპატიო სიაში მოიხსენიებიან ქართველი ერის სახელოვანი შვილები: აკაკი ჩხენკელი (ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საფრანგეთში, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი), კიტა ჩხენკელი (ქართველოლოგი, პუბლიცისტი, ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორი), მელიტონ ემუხვარი (მეფის არმიის გენერალი, სამურზაყანოს ცხენოსანთა პოლკის – „აფხაზური მილიციის“ მეთაური, რუსეთ-თურქეთის ომების გმირი), არზაყან ემუხვარი (აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი), ივანე გეგია (საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი), გიორგი ჯგუბურია (საზოგადო მოღვაწე, სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი), ილია ვეკუა (მეცნიერი, მათემატიკოსი, აკადემიკოსი).

საბჭოთა ეპოქაში ოქუმის საშუალო სკოლის 21 კურსდამთავრებული ატარებდა საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის მაღალ წოდებებს.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ოქუმის საშუალო სკოლაში საქართველოსა და აფხაზეთის 11 დამსახურებული მასწავლებელი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ქართული სკოლის 150-წლოვანი ისტორია აფხაზეთში დღეს მთლიანად უგულებელყოფილი და იგნორირებულია. გალის რაიონში ჯერ კიდევ შემორჩენილი რამდენიმე სკოლა კი შველას ითხოვს.

### ვის აწრთსოვს აწხაზატიის პრობლემის მოგვარების „გატიუმის ფორმატი“

აწხაზეტიის საკითხში პროზიდენტის პირად წარმომადგენლად ასლან აბაშიძის დანიშვნის პირველსავე დღეს ვილაციებმა იეჭვეს, ხომ არ დამეუქრა აშკარა საფრთხე თბილისში მყოფ აწხაზეტიის ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ანუ არძინბა, მოლაპარაკებების ახალ სიბრტყეზე გადასვლის წინაპირობად ხომ არ წამოაყენებს მათი დაშლის მოთხოვნას? გაჩნდა სხვა შეკითხვებიც, რომლებზეც კომენტარი ვთხოვეთ აწხაზეტიის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ზურაბ ჯგუბურიას.

– ჩემი და ბევრი ჩემი კოლეგის აზრს გეტყვი, რომ თუ ჩვენი გადადგომა აწხაზეტიის პრობლემის მოგვარებას წაადგება, ჩვენ ამისთვის მზად ვართ. არანაირი კომპლექსი არ გვანუხებს, ოღონდ, უნდა შეიქმნას იმის გარანტია, რომ ამას მოჰყვება აწხაზეტიის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნება.

მე ვლაპარაკობ, როგორც ერთი დეპუტატი, რომ წინ არ დავუდგები არც ერთი ქართველი პოლიტიკოსის, მით უმეტეს, არც ასლან აბაშიძის ძალისხმევას აწხაზეტიის დასაბრუნებლად და ვიცი, ბევრი დეპუტატი ფიქრობს ასე, მაგრამ აწხაზეტიის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გარდა, არსებობს აღმასრულებელი ხელისუფლება და მისი განშტოებები – მერიები და გამგეობები, მესამე ხელისუფლება – სასამართლო, პროკურატურა და მათდამი მიდგომის ფორმებიც უდავოდ გასათვალისწინებელი იქნება, თუმცა ჩვენ ამჯერად ვარაუდს ვეყრდნობით და არა სინამდვილეს. ჩვენ ზუსტად ვიცი, რა როგორ იქნება?

– იმავდროულად ლაპარაკობენ პარტიზანული მოძრაობის შესახდლო „ალაგმვაზე“, რასაც ალბათ, აუცილებლად მოითხოვს აწხაზური მხარე წამდვილი სამშვიდობო მოლაპარაკებების დასაწყებად.

– პარტიზანული მოძრაობა აწხაზეთში არსებული რეალობის ადეკვატური მოძრაობაა. პარტიზანი მშობლიური მიწა-წყლიდან გამოდევნილი ადამიანია, რომელსაც სახლი წაართვეს და ახლა იქ დასაბრუნებლად იბრძვის. აწხაზეტიის ლეგიტიმურ ხელისუფლებას არაერთხელ განუცხადებია, რომ ის მხარს უჭერს პარტიზანულ მოძრაობას და არ შეიძლება მხარი არ დაუჭირო იმას, რაც ბუნე-

ბრევია, როცა კაცი იცავს თავის ღირსებას, სიცოცხლის უფლებას.

– ასე რომ, მისი აკრძალვა ვერც ერთი შეთანხმებით ვერ მოხერხდება?

– ვერა და მე მჯერა, თუ ასლან აბაშიძე შეძლებს რეალური ნაბიჯის გადადგმას შერიგებისაკენ და შესაბამისად, აფხაზეთისკენ, არცერთი პარტიზანის თვითმიზანი არ არის, იარაღი ეჭიროს ხელში. ის დადებს იარაღს და ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდება. მანამდე კი, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ასლან აბაშიძე პარტიზანს არ დაუპირისპირდება. კაცს, რომელმაც აბსოლუტურად ყველაფერი დაკარგა და გამოსავალი იარაღში ჰპოვა.

– აშკარაა, უფრო სერიოზული დაპირისპირების საგანი იქნება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მედასავლეთეებსა და რუსეთუმეებს შორის. ასლან აბაშიძის მოსკოვში უეცარი ვიზიტიც, მისი მხრიდან, ეს არის მინიშნება, რომ რუსეთის ფაქტორს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში კვლავაც გადამწყვეტად მიიჩნევენ. თქვენი აზრით, რისი დათმობის ხარჯზე შეიძლება რუსეთმა საქართველოს აფხაზეთი დაუბრუნოს (თუ ეს მართლა მოხდა) და თქვენი აზრით, იქნება თუ არა ეს რუსეთის ბაზები, რომლის გაყვანის გადწყვეტილებაც ეუთოს სტამბოლის სამიტმა მიიღო და, აქედან გამომდინარე, თვით საერთაშორისო ძალების ინტერესებში შედის?

– რუსეთი თუ დასავლეთი? განა შეიძლება ასე დაისვას საკითხი? რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა რატომ უნდა გამორიცხავდეს დასავლეთთან ურთიერთობას? განა რუსეთი ამბობს დღეს დასავლეთზე უარს? თვითონ რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ცდილობს რუსეთის ევროპულ ფასეულობებზე გადაყვანას, მოითხოვს ნატოსთან განსაკუთრებულ კავშირს და როგორ შეიძლება, იგივე დაგვიშალოს ჩვენ? ამასთანავე დასავლეთის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწეები და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები საქართველოში, თვითონვე ღიად და აშკარად არ გვეუბნებოდნენ, რომ უპირველესად რუსეთთან ურთიერთობა მოაწესრიგეთ?

შევხედოთ სინამდვილეს რეალურად, ისე როგორც არის. ჩვენ დღეს სახელმწიფოს ვაშენებთ კი არა, მცირე პრობლემებსაც ვერ ვანესრიგებთ, იმის გამო, რომ რუსეთთან ომის მდგომარეობაში ვართ. მასთან ცივი თუ ცხელი ომი კი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად გვანგრევს და გვანადგურებს.

რაც შეეხება რუსეთის სამხედრო ბაზებს, რუსეთის ორმაგ სტანდარტებს ვერსად გავექეცი. ვაზიანის ბაზა კი გაიყვანეს, მაგრამ გაურკვეველია გუდაუთის ბაზის ბედი, თუმცა ოფიციალური მოსკოვი აცხადებს, რომ ეს ბაზაც გაყვანილია და ახლა ეს ეუთოს დამკ-

ვირვებელთა მონიტორინგმა უნდა დაადასტუროს. ბათუმის და ახალციხის ბაზები კი მოლაპარაკებების საგანი ჯერ არც გამხდარა. კიდევ რამდენ ნელს დარჩება ეს ბაზები საქართველოში, არავინ იცის, რადგან არსებული ხელშეკრულების განხილვა არ შეიძლება. ჯერ შეთანხმებამდე უნდა მივიდეთ და იქ შევძლოთ ჩვენი ინტერესების დაცვა.

ასლან აბაშიძეს ბევრი უკიჟინებს რუსეთის სამხედრო ბაზის აჭარაში ყოფნას, მაგრამ ასლან აბაშიძეს არ შემოუყვანია ეს ბაზა აჭარაში და არც მის დონეზე წყდება მისი იქიდან გაყვანა. ეს საქართველოს სახელმწიფოს საქმეა, მოითხოვს თუ არა ამას პრინციპულად. ასლან აბაშიძეს ეს არაერთხელ განუცხადებია. ბათუმის ბაზა (როგორც ყველა სხვა) ამ ეპოქის შვილი არ არის, იგი რუსეთისთვის ისტორიული მტრის – თურქეთის წინააღმდეგ მიმართული ბაზა იყო და რუსეთი არც დღეს მალავს, რომ ამ რეგიონს მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ აქვე გადის რუსეთისა და ნატოს გამყოფი საზღვარი. ამდენად, ბათუმის ბაზა გუდაუთის ბაზისგან თვისებრივად განსხვავდება.

**– ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება, ვიფიქროთ, რომ ჩვენ რუსეთთან ისევ გვაქვს სავაჭრო საგანი, კოზირი, რომელსაც, თუ გონივრულად გამოვიყენებთ, ჯერ კიდევ შეიძლება, რუსეთს რაღაც დავათმობინოთ?**

– ღმერთმა ნუ ქნას, საქართველო უნუგემო მდგომარეობაში იყოს, მაგრამ ნამდვილი ნუგეში ჩვენთვის იქნება აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება საქართველოს შემადგენლობაში.

**– ყოველ შემთხვევაში, დაბრუნება თუ არა, დაბრუნების პროცესის რეალურად დაწყება მაინც.**

– ჩვენ გაუთავებლად ვამბობთ, რომ რუსეთი არ გვიბრუნებს აფხაზეთს, მაგრამ თუ არ გვიბრუნებს, ბოლოს და ბოლოს, ვილაცამ ხომ უნდა დაინყოს ამ საკითხზე მოლაპარაკება უშუალოდ რუსეთთან, არა ობივატელის, ჟურნალისტის და პოლიტიკოსის, არამედ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების დონეზე. და თუ ედუარდ შევარდნაძემ თავის პირად წარმომადგენლად დანიშნა ასლან აბაშიძე აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხში, უნდა მიეცეს მას კიდევ თავისი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. ჩვენ რა, სხვა შესაძლებლობა გვაქვს რამე და მასზე უარს ვამბობთ? მით უმეტეს, იმ პოზიტიური ნიშნების გათვალისწინებით, რაც არის ასლან აბაშიძის კონტაქტები აფხაზურ ხელისუფლებასთან: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე აღმშენებლობითი პროცესები აფხაზეთში არსებულ ძალიან მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე. აფხაზები თვალნათ-

ლივ ხედავენ, რომ საქართველოს შემადგენლობაში მყოფ აჭარას რეალური სოციალურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობა აქვს, აფხაზეთის, ეგრეთ წოდებული, დამოუკიდებელი რესპუბლიკისგან განსხვავებით; გარდა ამისა, საგულისხმოა „თანასწორუფლებიან სუბიექტთა დიალოგის“ ფაქტორი, ერთ სახელმწიფოში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი ელაპარაკება მეორე, მართალია, სეპარატისტულ, მაგრამ საერთაშორისო სამართლის მიხედვით იმავე სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტატუსის მატარებელ ერთეულს. ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, ესეც საკმარისია.

– **ასლან აბაშიძე აფხაზეთის საკითხებში პრეზიდენტის წარმომადგენლად დანიშვნის მეორე დღესვე მოსკოვში გაფრინდა. რა არის ეს, გამონწვევა იმ ძალების, რომლებიც იგულისხმებოდა, რომ მოსკოვისკენ გადადგმულ პირველსავე ნაბიჯს გააპროტესტებდნენ, თუ ერთგვარი გაბედულება, თუნდაც ამ პროტესტის გათვალისწინებით?**

– გაბედულება, რა თქმა უნდა, არც არასდროს აკლდა ასლან აბაშიძეს. რაც შეეხება გამონწევას, ამ შემთხვევაში, გამონწვევა არაფერ შუაშია. აფხაზეთის პრობლემის 8-წლიანმა პერიოდმა უშედეგოდ ამოწურა, ეგრეთ წოდებული, ჟენევის ფორმატი. სად არ ვიარეთ, ლისაბონში, სტამბოლში, ნიუ-იორკში, იალტაში, სოჭში... და მანც არაფერი გამოვიდა. ოფშეკითი და სალორია დაგვრჩა. ასე რომ, დრო არ ითმენდა და დაუყოვნებლივ რატომ არ უნდა გაფრენილიყო ასლან აბაშიძე მოსკოვში? ამის გამო გაღიზიანება იმდენად მედასავლეთეებისათვის არ შემიტყვია, რამდენადაც იმათთვის, რომელთაც მოსკოვი თავიანთად მიაჩნიათ და ჰგონიათ, რომ იქ სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურებად განიხილებიან.

– **გაღიზიანება მოჰყვა იმასაც, რომ მოსკოვში ასლან აბაშიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას, არძინა პრეზიდენტად მოიხსენია. და ეს მაშინ, როცა ოპონენტების აზრით, თვით რუსეთს არ უღიარებია აფხაზეთში ჩატარებული, ეგრეთ წოდებული, პრეზიდენტის არჩევნები.**

– ჩვენი მთავარი პრობლემა ის კი არ არის, ვინ როგორ იხსენიებს დღეს არძინას, არამედ ის, როგორ მოვიხსენიებთ მას მოლაპარაკებების ბოლოს. დღეს ყველამ ამაზე უნდა ვიზრუნოთ.

– **იმავედროულად, შესაძლოა, ამის აღნიშვნაც აუცილებელი იყოს და სასარგებლოც თვით ასლან აბაშიძისათვის, რათა მომავალში გაითვალისწინოს.**

– არ მინდა, ისევ მოვლენებს გაფუსწროთ და თვითგვემას მივეცეთ, დაველოდოთ სიტუაციის განვითარებას!



### ვის უმაღლავინ აფხაზეთის სტატუსს?

ბოლო დღეებში საქართველოს პოლიტიკურ წრეებში, აგრეთვე, ზოგიერთ საერთაშორისო ინსტიტუტში, ადგილობრივ თუ უცხოეთის მასმედიაში აფხაზეთის მომავალი სტატუსის ახალმა ფორმულირებებმა გაიჟღერა. ზოგან ლაპარაკია სუვერენულ აფხაზეთზე დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში, რაც, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობად შეიძლება ჩაითვალოს. თვითონ ცნებები „სუვერენული“ და „დამოუკიდებელი“ სინონიმებია, ასე რომ, ლაპარაკია ორი თანაბარუფლებიანი თანასწორი პოლიტიკური სუბიექტის თანაარსებობაზე.

სუვერენული აფხაზეთის სტატუსი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში გარკვეულ ასოციაციას გვიქმნის მე-20 საუკუნის 70-იან წლებში „ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის“ და ხელისუფლების წიაღში აღმოცენებული „ორაბორიგენობის“ თეორიასთან.

თუ როგორ განავითარეს „ორაბორიგენობის“, ანუ აფხაზეთის ტერიტორიაზე ორი მკვიდრი, ავტოქტონური ერის – აფხაზებისა და ქართველების არსებობის თეორია აფხაზეთმა, ამის პრაქტიკულ მაგალითს აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია და მისი დღევანდელი სავალალო შედეგები წარმოადგენს. მაშინ და დღესაც საეჭვოდ დუმდა და დუმს ქართველი ინტელიგენცია და პოლიტიკური ისტებლიშმენტი, ხოლო საზოგადოება არც მაშინ იყო და არც დღეს არის საქმის კურსში.

ასევე, ბოლო პერიოდში, ოქტომბერ-ნოემბერში, საეჭვოდ დაემთხვა ერთმანეთს ცენტრალური ხელისუფლებისა და მისი რეგიონალური სტრუქტურების დამაბნეველი ინიციატივები აფხაზეთის პრობლემის ვითომ მოსაწესრიგებლად. ლაპარაკია კოდორის ხეობაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებზე და ქუთაისში გაჟღერებულ გაუგებარ თეორიაზე – „არც ომი, არც მშვიდობა“. თუკი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის ცნობილი და მისაღები იყო, ეგრეთ წოდებული, „გაეროს გეგმა“, ანუ სუვერენული აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში, მაშინ როგორ შეიძლება აიხსნას საქართველოს პრეზიდენტის 9 დეკემბრის განკარგულება, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხი

პრეზიდენტის პირად წარმომადგენლად ასლან აბაშიძის დანიშვნის შესახებ. იქნებ, უპრიანი იქნებოდა, ჯერ ასლან აბაშიძის ფაქტორის გამოყენება, ხოლო ამ გზით რუსეთთან გარკვეული შედეგების მიღწევის შემდეგ, გაეროს მისიის, ანუ დიტერ ბოდენის ფაქტორის ამოქმედება? მით უმეტეს, აფხაზური მხარისათვის ასლან აბაშიძის პერსონა დღეს ამკარად მისაღებ პიროვნებად აღიქმება.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენი დიდი თუ პატარა მეზობლები, მეგობარი ქვეყნები თუ საექვოდ დაინტერესებული საერთაშორისო ორგანიზაციები და ადგილობრივი მაფიოზურ-კლანური ფინანსური დაჯგუფებები ჩვენს ხელისუფლებაზე უდიდეს ზემოქმედებას, საქართველოს სრული კაპიტულაციის მიზნით, შეთანხმებულად ახდენენ. შესაბამისი შედეგის მიღწევა კი, დღევანდელი გაყალბებული სინდისისა და უცხოურ „დახმარებებზე“ დახარბებული პოლიტიკოსების ხელში ძალზე ადვილია.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, როგორც ჩვენი დიდი მეზობლების (რუსეთი-თურქეთი), ასევე, ჩვენი უახლოესი მეზობლის – სომხეთის ძალისხმევა, ზემოქმედება მოახდინოს არა მარტო აფხაზეთში, არამედ დანარჩენი საქართველოს შიგნით განვითარებულ პროცესებზე. სომხეთის დელეგაციის მიერ ევროსაბჭოს სესიაზე გახმოვანებული ანტიქართული პოზიცია შემდეგ სომხურ პოლიტიკურ წრეებში და მასმედიაში გაგრძელდა. განსაკუთრებით აღინიშნა აფხაზეთში მცხოვრები სომხების მიმართ ქართული მხარის მიერ განხორციელებული აგრესია. სამწუხაროდ, ეს პოზიცია დაფიქსირდა მიმდინარე 11-12 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის – ნინო ბურჯანაძის სომხეთში ვიზიტის დროსაც, როცა, სხვა დეპუტატებთან ერთად, სომხეთის პარლამენტის ერთ-ერთმა ვიცე-სპიკერმა მარტიროსიანმა, პირდაპირ აღნიშნა, რომ აფხაზეთში მცხოვრები სომხები ნეიტრალური ვერ იქნებიან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს, რადგან ისინი იარაღით ხელში იცავენ თავს და საკუთარ საცხოვრებელს გარეშე აგრესიისაგან (ესე იგი, ქართველებისგან!).

ბოლო დღეებში, ასევე, საექვოდ გახმიანდა თვითმარქვია „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ ახლად არჩეული პრეზიდენტის – ედუარდ კოკოითის ინიციატივა, რომ მას საქართველოსთან ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებლად მიაჩნია იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ოსი ხალხის გენოციდის გამო ბოდის მოიხდის (!!!)

ამკარაა – რუსეთის ფედერაციის სამხრეთ კავკასიის საზღვრე-

ბზე ბუფერული, ვასალური, მინი-დამოუკიდებელი „სახელმწიფოების“ ჩამოყალიბების მცდელობა, რაც რუსეთს, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს საკუთარ ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში, წარმოებული, ეგრეთ წოდებული, ანტიტერორისტული კამპანიის დამთავრებაში და შემდგომ, მისი სამხრეთ საზღვრების საიმედო დაცვაში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კონფლიქტის ზონებში ჩვენი ახლო და შორეული მეზობლების ეკონომიკური ინტერესები: თხილის ბიზნესი, ქართული ბაზრის გაჯერება ადგილზე ნაწარმოები საგნებით (ძირითადად, თურქული), აფხაზეთში ბულგარული წარმოების სიგარეტის რეალიზაცია, ხე-ტყის არალეგალური და კონტრაბანდული ბიზნესი, საკურორტო-დასასვენებელი ობიექტების კაპიკებად პრივატიზაცია, მინერალური წყლების (აუადჰარა) ჩამოსხმა-დაფასობა, საბანკო-საფინანსო ქსელის ჩამოყალიბება. ბოლო პერიოდში, ასევე, ამკარად შეიმჩნევა სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურებით არა მარტო უახლოესი მეზობლების (რუსეთი-სომხეთი-ირანი) დაინტერესება, არამედ თვალში საცემია აღნიშნული პროექტების განხორციელებაში დასავლეთის გარკვეული ფინანსური წრეების დიდი დაინტერესებაც.

ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ზოგიერთი საერთაშორისო ინსტიტუტის, განსაკუთრებით გაეროს სტრუქტურების დიდი ძალისხმევა, „აფხაზეთის რეაბილიტაციის“ პროგრამის ფარგლებში, საკუთარ კონტროლქვეშ მილიარდობით დოლარის მოსაზიდად, ხშირად ამკარად პროტექციული პროგრამებისა და ბიზნესგეგმების დაფინანსება.

სწორედ აქ უნდა ვეძებოთ საკუთარი მაფიოზურ-კლანური ფინანსური ჯგუფების და საეჭვო რეპუტაციის უცხოელი ბიზნესმენების ინტერესების თანხვედრის სფეროები: ენერგეტიკა (უმთავრესად, ენგურჰესი, სარკინიგზო, საზღვაო და საავტომობილო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, კავშირგაბმულობის, განსაკუთრებით მობილური და ოპტიკურბოჭკოვანი სატელეფონო კავშირები). გაეროს ინსტიტუტების პატრონაჟით, უკვე დაწყებულია ასეულმილიონიანი პროექტის განხორციელება კავშირგაბმულობის რეაბილიტაციის მიზნით, ამავდროულად მიმდინარეობს სარკინიგზო-ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის მოსამზადებელი სამუშაოები. ასევეა ენერგეტიკამიც და ეს ყველაფერი ხდება იმ დროს, როცა როგორც დევნილთა, ასევე აფხაზეთის ადგილობრივი მოსახლეობის

უდიდესი ნაწილი იმყოფება შიმშილით ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე! ამ კატეგორიის „ბიზნესმენტა,, მთავარი მიზანია, ნებისმიერ ფასად „დარეგულირდეს“ აფხაზეთის კონფლიქტი და შესაძლებელი გახდეს რეაბილიტაციის მოტივით დონორი ქვეყნებიდან მრავალმილიარდიანი ინიექციების მიღება და შემდეგ მისი ათვისება საქართველოში უკვე კარგად აპრობირებული წესით.

თუკი გავითვალისწინებთ იმ მაფიოზურ-ფინანსური კლანების და მათი უცხოელი პარტნიორების შესაძლებლობებს, რომელთა იტერესების ქვეშაა მთლიანად მოქცეული საქართველოს ენერჯეტიკა, სატრანსპორტო და კავშირგამულობის ინფრასტრუქტურები, აგრეთვე, თანხის „გატარების“ შესაბამისი საბანკო სტრუქტურები, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი ტემპით და მასშტაბით „დარეგულირდება“ აფხაზეთის კონფლიქტი.

უპირველესად, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ნებისმიერი დოკუმენტის და მათ შორის „გაეროს გეგმის“ გამჭვირვალობა, რაც საშუალებას მისცემს ხელისუფლებას, საზოგადოების დახმარებით, მკაცრი მონიტორინგი დაუწესდეს ხსენებულ გეგმას და ამ გზით თავიდან ავიცილოთ სახელმწიფოს ზურგს უკან შემდგარი შესაძლო ფარული გარიგებები.

უფრო აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული აფხაზეთის კონფლიქტის მონესრიგების საკითხში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და შესაბამისი დიპლომატიური წარმომადგენლობა გაეროში. მიზანშეწონილი იქნებოდა, შესაბამისი გეგმის შემუშავების პროცესში საქართველოს საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ, ყველა დაინტერესებული ქართული მხარის აზრის გათვალისწინებით, პირდაპირი კონსულტაციები გამართოს როგორც მეგობარი ქვეყნების, ასევე, გაეროს, ეუთოს და სხვა ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ძნელი წარმოსადგენია, რომ გაეროს მისია საქართველოში ან პირადად დიტერ ბოდენი უფრო კომპეტენტური იყოს ქართულ-აფხაზურ საკითხებში, ვიდრე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ნებისმიერი საერთაშორისო დონის გეგმის შემუშავების პროცესში პრიორიტეტული უნდა იყოს საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ შემუშავებული აფხაზეთის სტატუსის პროექტი.

უმთავრესად მაინც ის რჩება, რომ ნებისმიერი გეგმა ან მისი პროექტი წინდანინ უნდა იყოს ცნობილი ყველაზე დაინტერესებული მხარეებისთვის – ქართველებისა და აფხაზებისათვის. ნათ-

ლად უნდა იყოს განმარტებული, თუ რომელ „სუვერენიტეტზე“ ან „მსოფლიოში უდიდეს ავტონომიურ უფლებებზეა“ ლაპარაკი. თვით ბოლშევიკური რეპრესიების ზეობის პერიოდში, სსრკ კონსტიტუციის (რომლის მიხედვითაც შეიქმნა აფხაზეთის ასსრ საქართველოს სსრ შემადგენლობაში) მიღება მოხდა მოჩვენებითი, მაგრამ მაინც საყოველთაო განხილვის შემდეგ!

საყოველთაოდ უნდა იყოს გაცნობიერებული, რომ დღევანდელ პირობებში აფხაზეთი თავისი სტატუსით არ შეიძლება გაუტოლდეს საქართველოს რომელიმე გუბერნიას, მაგრამ, ასევე, მიუღებელი იქნება საქართველოსთვის აფხაზეთის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსით წარმოჩენა. ალბათ, თვითონ აფხაზეთის უმეტეს ნაწილსაც კი ვერ წარმოუდგენია აფხაზეთი, როგორც საქართველო-რუსეთის გამყოფი, მუდმივი ბუფერული ანკლავის როლში. რამდენიმე პოლიტიკოსის ან დიპლომატის მერკანტილურ ინტერესებზე დაფუძნებული პოზიცია კი არ შეიძლება წარმოადგენდეს აფხაზი და ქართველი ხალხების საუკუნოვანი ოცნების საგანს.

და ბოლოს, თუკი საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას შეუძლია მოახდინოს ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის პროექტის პერმანენტული პრეზენტაცია საქართველოს ყველა რეგიონში, საზოგადოებრივ, არასამთავრობო ორგანიზაციებში, სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებებში, მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში, მაშინ რით შეიძლება გავამართლოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის მიმართული არასამხედრო გეგმა-პროექტების ასე გასაიდუმლოება? ვის უმაღლავენ აფხაზეთის მომავალ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ სტატუსს: აფხაზებს, აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას თუ მთლიანად საქართველოს?!

## ბედის ბარძიმი – აფხაზური სიყალბის მორიგი სამიზნე

წლეულს, აღდგომას რამდენიმე ქართველმა ახალგაზრდამ (მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველოს უფროსმა) გარკვეული საფრთხის ფასად აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე (გალის რაიონი) დარჩენილი ბედის ტაძარი მოინახულა. შემდეგ მათ ტაძრის დღევანდელობის ხაზგასმით დოკუმენტური ფილმი შექმნეს, რომლის პრეზენტაციაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ეს იყო ბედის ტაძრისადმი პატივის მისაგებად და მის უკვდავსაყოფად გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი, რომელსაც სხვა მსგავსი ნაბიჯები უნდა მოჰყვეს. ეს უნდა იყოს უწყვეტი პროცესი, რომელიც არასდროს დასრულდება.

ან უკვე დახურული ყოველდღიური გამოცემის „დილის გაზეთისა“ და მის ჩანართად გამომავალ გალის რაიონის დამოუკიდებელ გაზეთ „სათანჯოში“ ბედის ტაძრის როლსა და ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობაზე, მის დღევანდელობაზე წლების განმავლობაში განუწყვეტლივ ვწერდით. საგულისხმო იყო „დილის გაზეთის“ დახურვის წინა დღეებში რედაქციაში ამავე საკითხის გარშემო გამართული მრგვალი მაგიდაც, რომელიც ერთი კონკრეტული ფაქტით იყო პროვოცირებული. ახლახან ამ დისკუსიის ამსახველი პუბლიკაციის განმეორებით გადაკითხვამ თავის მხრივ კიდევ ერთ წერილს გაუწია პროვოცირება. თუმცა მივყვეთ თანმიმდევრულად მოვლენების განვითარებას.

შარშან, სოხუმში გამომავალ 20-21 მარტის გაზეთ „რესპუბლიკა აბხაზიაში“ გამოქვეყნდა, ასევე სოხუმური გამოცემის, გაზეთ „აფსნის“ რედაქტორის ბორის ტუჟბას წერილი: „ბედია: ოქროს ბარძიმი“. სარედაქციო მინაწერში ბორის ტუჟბას ისტორიკოსადაც კი მოიხსენებენ და ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამგვარი დონის (ამაში თანდათან დავრწმუნდებით) ისტორიკოსები წერდნენ და წერენ „აფხაზეთის ისტორიას“. ისტორიკოს-ჟურნალისტ ტუჟბას ამ კონკრეტული „კვლევის“ მნიშვნელობას აფხაზური მხარე იმითაც უსვამს ხაზს, რომ სულ რაღაც ათიოდე დღეში ამ წერილის, არც მეტი არც ნაკლები „მეგრულ თარგმანს“ ბეჭდავს

გალში აფხაზურ-რუსულ-მეგრულ ენაზე გამომავალ გაზეთ „გალში“. აფხაზურ-რუსული მხარე გალის რაიონის მკვიდრთ ხშირად ახსენებს „მათ წარმომავლობას“, ანუ იმას, რომ ისინი მეგრელები არიან. მათ ამ შემთხვევაშიც სწორედ ამ წისკვილზე მიუშვეს წყალი: გალელებში „მეგრული თვითცნობიერების“ ამალგებზე „იზრუნეს“: მეგრულ ენაზე მოუთხრეს გალელებს, მათი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი. ეს არის ჩვეულებრივი აფხაზური იდეოლოგიის გაგრძელება, როცა ისინი ყოველივე ქართულს უარყოფენ და ცდილობენ განდევნონ ის აფხაზეთის წარსულიდან, თუ მისი დღევანდელიობიდან. ხოლო სინამდვილეში როგორია რეალობა, ან როგორ „ახერხებენ“ მის შეცვლას, ამაზე თუნდაც ეს ერთი კონკრეტული ფაქტიც მეტყველებს.

წერილის სათაურის მიხედვითაც ნათელია, მასში მთავარი აქცენტი X საუკუნის ისტორიული ძეგლის – ბედიის ტაძრის ერთ-ერთ უმთავრეს და მნიშვნელოვან განძზე – ბედიის ოქროს ბარძიმიზე უნდა ყოფილიყო გადატანილი. და მართლაც, ბორის ტუჟბა იგონებს, რომ მას ერთხელ თბილისში კურსებზე ყოფნისას საქართველოს ხელოვნების მუზეუმი დაათვალიერებინეს, სადაც მან აფხაზეთის „სხვა ტაძრებიდან წამოღებულ“ ოქროს ნივთებს შორის ბედიის ოქროს ბარძიმიც ნახა. – მას აქეთ რამდენმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ დღემდე თვალწინ მიდგას ის ბარძიმი, - ამბობს ტუჟბა და მერე იქვე ხსნის, თუ რატომ ვერ მოიშორა ოქროს ბარძიმის ხილვით გამოწვეული სევდა.

მაგრამ ვიდრე ბორის ტუჟბა ამ საკითხის ნამდვილ არსზე გადავიდოდეს, ის ძალიან მოკლედ ჰყვება ბედიის ტაძრის ისტორიას და იგონებს მის აღმშენებელს – ბაგრატ მესამეს, რომლის მიმართაც მას თურმე წლების განმავლობაში ერთი კეთილი სიტყვაც კი არ დაცდენია, რადგან მიაჩნდა, რომ მისი ბრალი იყო „აფხაზთა სახელმწიფოს როლისა და აფხაზეთის მნიშვნელობის დაკნინება“. ბოლო დროს კი ამ მეფის მიმართ რატომღაც „სხვა ფიქრებიც“ მომეძალა, ამხელს ტუჟბა. კერძოდ: - მამით ქართველმა და დედით აფხაზმა ბაგრატ მესამემ მამისგან მიღებულ ტიტულს – „მეფე ქართველთა“ – დაუმატა სიტყვა „აფხაზთა“, რომელიც მან თავისი ტიტულატურის სათავეში დააყენა: „მეფე აფხაზთა და ქართველთა...“, რაც იმის დასტურია, რომ ბაგრატ მესამე თავის თავს უპირველესად აფხაზთა მეფედ, აფხაზთა დინასტიის მემკვიდრედ მიიჩნევდა.

აფხაზ ისტორიკოს-ჟურნალისტ ბორის ტუჟბას ამავე აზრის განმამტკიცებლად მიაჩნია ის გარემოებაც, რომ ბაგრატ მესამემ

სიკვდილის წინ „შთამომავლობისათვის შეადგინა“ „აფხაზ მეფეთა დივანი“ (სია) და ტუჟუბა იქვე – „სიაში“ ჩამოთვლილ მეფეებს ასახელებს. მისი მტკიცებით, ამით ბაგრატი მესამემ აფხაზი მეფეების სახელები ისტორიას შემოუნახა, რითაც აფხაზთა მეფეების ტიტულისადმი პატივისცემა გამოხატა. სწორედ ყოველივე ამის გაცნობიერების შემდეგ მოძალეზია „სხვა ფიქრები“ ბორის ტუჟუბას ბაგრატი მესამის მიმართ და მისადმი უარყოფითი დამოკიდებულებაც შეცვლია.

მაგრამ საინტერესოა, რას ფიქრობენ ქართველი მეცნიერები, მაინც რა მიზნით შექმნა ბაგრატი მესამემ „აფხაზ მეფეთა დივანი“? ქართველი მეცნიერების აზრით, ბაგრატი მესამემ „აფხაზ მეფეთა დივანის“ შექმნით, სადაც თავისთავად გამოიკვეთა მისი გენეალოგია, ხაზი გაუსვა თავის მემკვიდრეობით უფლებას „აფხაზთა სამეფოზე“, რაც მერე, სხვათა შორის, ტუჟუბასნაირმა ისტორიკოს-ჟურნალისტებმა სადავო გახადეს: ბაგრატი მესამე ხომ მამით ქართველი იყო. ხშირად ხდება ასე, ბრძენი ადამიანები ბევრ რამეს წინასწარ განჭვრიტავენ ხოლმე.

ახლა ვნახოთ, რა კავშირშია ერთმანეთთან ტუჟუბას წერილის შესავალში ნახსენები ოქროს ბარძიმი და ტუჟუბას მიერ ჩამოთვლილი თერთმეტი აფხაზი მეფე. საგულისხმოა, რომ ბაგრატი მესამის შედგენილ „აფხაზ მეფეთა დივანში“ სინამდვილეში ოცდაერთი მეფეა ჩამოთვლილი. სად თერთმეტი და სად ოცდაერთი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ტუჟუბას, არც მეტი და არც ნაკლები, სწორედ თერთმეტი მეფე სჭირდებოდა და თუ რატომ, სწორედ ამაშია ძალის თავი დამარხული.

ტუჟუბა აცხადებს, რომ ოქროს ბარძიმზე გამოსახული თერთმეტი მამაკაცი (აი, რისთვის დასჭირდა ტუჟუბას მაინცდამაინც რიცხვი – თერთმეტი, ის არაფერს ამბობს ბარძიმზე გამოსახულ მეთორმეტე ფიგურაზე – ღვთიმსშობელზე), არც გარეგნულად და არც ჩაცმულობით ღვთისმსახურებს არ ჰგავს. მისი ვარაუდით, ისინი შესაძლოა „აფხაზ მეფეთა დივანში“ მოხსენებული მეფეების გამოსახულებები იყოს.

ჩვენი მხრიდან ცოტა უხერხულიც კი არის ამ აბსურდზე სერიოზულად კამათი, რადგან ისედაც ნათელია, სინამდვილეში ვინ არიან ბედიის ოქროს ბარძიმზე გამოსახულნი. კერძოდ, ბარძიმი გაყოფილია თერთმეტ ნაწილად. ის თალებში გამოსახულ თითოეულ ფიგურას, გარდა ღვთისმშობლისა და იესო ქრისტესი, ახლავს ქართული ას-



ომთავრული წარწერა. იესო ქრისტეს დაქარაგმებული წარწერა შესრულებულია ბერძნული ასოებით. ამ წარწერების თანახმად ბარძიმის წრეზე გამოსახულნი არიან მოციქულები და მახარებლები: იოანე მოციქული, ანდრია მოციქული, ლუკა მახარებელი, მარკოზი მახარებელი, პავლე მოციქული, პეტრე მოციქული, თადეოსი მოციქული, ბართლომე მოციქული, იაკობი მოციქული. დიას, ეს ჩვენთვის არის ცნობილი, მაგრამ აფხაზებისთვის? ტუუბა წუხს კიდეც ამის გამო: „როგორ შევისწავლოთ ეს საკითხი, თუ სინამდვილეში ბედიის ოქროს თასი ჩვენთვის მიუწვდომელია?“ (შეგახსენებთ ის ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ნ.კ.) და იქვე აგრძელებს მათთვის დამახასიათებელ ცილისმწამებლურ ლანძღვა-გინებას: „ქართველებმა, ისტორიის ფალსიფიკაციის მიზნით, უამრავი ისტორიული ფასეულობანი მოიპარეს, გაიტანეს და აფხაზეთის კულტურის ძეგლები გაანადგურეს(!). ეს წერილი კი წვეთია იმ სამუშაოების ზღვაში, რომელიც აფხაზი მეცნიერების არაერთი თაობის წინაშე დგას, რათა „ისტორიის ნამდვილი სურათი აღადგინონ“.

ეს კი ის შემთხვევაა, როცა ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია, აფხაზებს ხელი წავაშველოთ, მთლიანად „ისტორიის ნამდვილის სურათის აღდგენაში“ თუ არა, იმ ისტორიის შემადგენელი ნაწილის – ერთი მნიშვნელოვანი საგანძურის – ოქროს ბარძიმის შესწავლაში (თუ, რა თქმა უნდა, ამას ინებებენ და სიყალბე უფრო არ აძლევეთ ხელს, ვიდრე ქეშმარიტება).

სხვათა შორის, წლების წინათ, ტუუბას წერილისაგან სრულიად დამოუკიდებლად, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, სამხატვრო აკადემიის პედაგოგს, არქეოლოგ ანზორ სიხარულიძეს ბედიის ბარძიმთან დაკავშირებით გაუჩნდა ერთი საინტერესო იდეა: თავიდან მან ბედიის ოქროს ბარძიმის დაკარგული ფეხის აღდგენა გადაწყვიტა. როგორც ცნობილია, ოქროს ბარძიმს თავდაპირველად ჰქონია ოქროსსავე სადგამი, რომელიც საუკუნეების წინათ დაკარგულა და მიტროპოლიტ გერმანე ჩხეტიძის დაკვეთით მოგვიანებით აღუდგენიათ. ბედიის ბარძიმი ამ აღდგენილი ფეხით დიმიტრი ბაქრაძეს 1865 წელს უნახავს ილორის წმიდა გიორგის ეკლესიაში.

1883 წელს ილორში ხელმეორედ ჩასულ დიმიტრი ბაქრაძეს ეს ფეხი დაკარგული დახვედრია. 1930 წელს ბარძიმი გადატანილ იქნა სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, 1952 წლიდან კი ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, რა თქმა უნდა, სადგამის გა-

რეშე. ოქროს ბარძიმის ფეხის აღდგენის იდეა მოიწონეს ხელოვნების მუზეუმშიც. ანზორ სიხარულიძემ მიიღო სადგამის აღდგენის უფლება, შესაბამისი სერთიფიკატი და იგი თანამოაზრეებთან ერთად მინიესკიზების შექმნას შეუდგა. მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ საჭირო იყო ბარძიმის ასლი, რათა მისთვის შესაფერისი სადგამის ესკიზი შეექმნათ. ხელოვნების მუზეუმს არც ამ შემთხვევაში შეუქმნია პრობლემა, მალე სპილენძისგან საგანგებოდ ჩამოისხა ბარძიმის ასლი, რამაც ანზორ სიხარულიძის იდეა კიდევ უფრო განავრცო, კერძოდ, ბარძიმის სადგამის აღდგენის შემდეგ ჩამოესხათ იგი მთლიანად ვერცხლში, მოეოქროვებინათ და ილორის წმიდა გიორგის ეკლესიაში საგანგებო მსვლელობით ჩაეტანათ. ვიმეორებ, მაშინ ანზორ სიხარულიძემ საერთოდ არაფერი იცოდა ტუყუბას წერილისა და მისი გულისტკივილის თაობაზე: „ბედიის ოქროს თასი ჩვენთვის მიუწვდომელიაო“. მას უნებლიეთ დაებადა ისეთი იდეა, რომელიც ოქროს ბარძიმს აფხაზებისათვის ხელმისაწვდომს გახდიდა და მისი შესწავლის საშუალებას მისცემდა მათ. ეს იქნებოდა მაგალითი იმისა, როგორ ქმნიდნენ და ქმნიან აფხაზები ბუზისაგან სპილოს, როგორ ამახინჯებენ ფაქტებს, ისტორიას, როგორ ნება-ნება მიუყვებიან სიყალბის გზას, რომელზეც ისინი ვერც ერთხელ ვერ შევაჩერეთ. იქნებ, ამჯერად მაინც შეგვეჩერებინა? ამასთანავე, ეს იქნებოდა აფხაზებისადმი ჩვენი ტრადიციული მიდგომის გაგრძელება: „კარგი ქენი, ქვა მიწაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება“. მერე რა, თუ აფხაზები იმ ქვას ისევ ჩვენ დაგვიშენენ. ჩვენ გავიაროთ და ახალი ქვა ვნახოთ. ეს ისე, თვითირონიისთვის, რეალურად კი ღირს, ვიფიქროთ ამ შანსზე, რათა აფხაზური მხარე საქვეყნოდ ვამხილოთ უტყუარი სინამდვილის გაყალბების ფაქტზე და ერთხელ მაინც ღირსეულად მოვეუგოთ ინფორმაციული ომი.

## **რუსები აფხაზებს აღარ ენდობიან და მათ გაკონტროლებას ცდილობენ**

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრის ზურაბ ჯგუბურიას განცხადებით, რუსი სამშვიდობოები გალის რაიონის სოფელ ჩხორთოლში პოსტის გახსნით თავად აფხაზების გაკონტროლებას ცდილობენ. მისი თქმით, ჩხორთოლი ტყვარჩელის რაიონის მოსაზღვრე სოფელია და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ადგილს წარმოადგენს.

„ამ სოფელში რუსი სამშვიდობოების პოსტის გახსნა საქართველოს წინააღმდეგ გადადგმული პროვოკაციული ნაბიჯია, თუმცა რუსული მხარე ამ გზით თავად აფხაზების გაკონტროლებასაც ცდილობს, რუსებს კარგად ესმით, რომ აფხაზები ქართველებს ომს არ გამოუცხადებენ და ამიტომ მათაც არ ენდობიან“, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ზურაბ ჯგუბურიამ.

მისივე თქმით, სოფელი ჩხორთოლი გალის რაიონის განაპირა სოფელია და ის უსაფრთხოების ზონიდან დაახლოებით 25 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

„ამდენად, ამ სოფელში რუს სამშვიდობოებს არა თუ პოსტის გახსნის, არამედ გადაადგილების უფლებაც კი არ აქვთ“ – აღნიშნა ჯგუბურიამ.

იგი აფხაზეთის მიმართ რუსული მხარის მიერ ბოლოდროინდელ პოლიტიკას ერთიანი გეგმის ნაწილად მიიჩნევს, რომლის მიზანიც აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის დე იურედ აღიარებაა.

„რუსეთი ცდილობს საპრეზიდენტო არჩევნებისა და ნატო-ს სამიტის წინ პრობლემები შეგვიქმნას. გარდა ამისა, მოსკოვს იმედი აქვს, რომ კოსოვოს სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, აფხაზეთის აღიარების რეალური შანსი მიეცემა. სწორედ ამ გეგმის ნაწილია რუსი პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების განცხადებები იმის შესახებ, რომ აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეების უფლებების დასაცავად დე ფაქტო რესპუბლიკის აღიარება აუცილებელია“, – განაცხადა ზურაბ ჯგუბურიამ.

რუსეთის სამშვიდობო ძალებმა გალის რაიონის სოფელ ჩხორთოლში ახალი დამატებითი საგუშაგო გახსნეს. აღნიშნული ინფორმაცია „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ გაავრცელა. საგუშაგოზე 12 ჯარისკაცი და ერთი ჯავშანტრანსპორტიორია განთავსებული.

## **უმრავლესობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გალის რაიონში პლაკატებს ისევ შეიტანენ**

უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ გალის რაიონის მოსახლეობა არჩევნებში მონაწილეობას მაინც შეძლებს. როგორც უმრავლესობის წევრები ვარაუდობენ, გალიდან ზუგდიდში გადასვლას 15-20 ათასი ადამიანი აპირებს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

„მოსახლეობის სურვილია, რომ მათ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. აირჩიონ თავისი ქვეყნის პრეზიდენტი და მათ ამაში ხელს ვერავინ შეუშლის“, – აცხადებს უმრავლესობის წარმომადგენელი ზურაბ ჯგუბურია.

„უმრავლესობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გალის რაიონში პლაკატებს ისევ შეიტანენ და მოსახლეობას ყველანაირად დაეხმარებიან მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. ეს არის ხალხის სურვილი და ჩვენც უნდა გავაკეთოთ ის, რაც მათ სურთ“ – აცხადებს ზურაბ ჯგუბურია.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ გალის რაიონში აფხაზურმა მხარემ გალის რაიონის მოსახლეობას საშუალება არ მისცა მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი პლაკატები გაეკრათ. აღსანიშნავია, რომ ამ პლაკატებს შორის იყო ისეთი შინაარსის პლაკატებიც, რომელიც მოსახლეობას არჩევნებზე წასვლისაკენ მოუწოდებდა და არც ერთი კანდიდატის მხარდამჭერ პლაკატს არ წარმოადგენდა.

როგორც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება აცხადებს, ისინი საქართველოს შემადგენლობაში არ შედიან და მოსახლეობა ამ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

## აფხაზეთის პრობლემა ახალი საერთაშორისო რეალობის ფონზე

კონფლიქტებით დასერილი მსოფლიო მიმდინარე წლის თებერვალში უმნიშვნელოვანესი ფაქტის მომსწრე გახდა:

კოსოვოელმა ალბანელებმა კოსოვოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და აშშ-ის და დასავლეთის ალიარებაც მოიპოვეს.

ამ ფაქტს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა საქართველოშიც, კერძოდ გაჩნდა კითხვა, ხომ არ შეიძენდა ის რუსეთის მხრიდან პრევენციის მნიშვნელობას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ. მართალია, რუსეთი ოფიციალურ დონეზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერად მოგვევლინა, მაგრამ არავენ იცის, რა ფორმით გახდება კოსოვო რუსეთისათვის საქართველოზე ზემოქმედების ერთ-ერთი ბერკეტი.

ამდენად, ჩვენთვის უმთავრესი უნდა იყოს არა რუსეთის ამჟამინდელი პოლიტიკა კოსოვოს მიმართ, არამედ თავად კოსოვოს მოვლენის კარგად შესწავლა, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ უცებ სერბული ანალოგიის წინაშე არ აღმოვჩნდეთ.

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა გავითვალისწინოთ კოსოვოს ის გაკვეთილიც, როცა ნეიტრალური პოზიციის მქონე ამერიკელი და ევროპელი, თვით რუსი დიპლომატები და ექსპერტები სერბული მხარის დიდ შეცდომად მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ მას 1999 წლიდან 2008 წლამდე აქტიურად, უფრო სწორად, კატეგორიულად არ მოუთხოვია:

კოსოვოს ტერიტორიაზე კომპაქტურად (მიტროვიცა) მცხოვრები სერბული უმცირესობის უსაფრთხოებისა და უფლებების, კოსოვოს სხვა რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების, მათი ქონებისა და პირადი უსაფრთხოებისა და კოსოვოს ტერიტორიაზე არსებული ეროვნული სინმინდეების – მართლმადიდებლური საკულტო ნაგებობის (ეკლესია-მონასტრების) დაცვის საერთაშორისო გარანტიები.

„გარდა ამისა, სერბეთმა გასულ პერიოდში არაფერი გააკეთა კოსოვოელი ალბანელების ინტეგრაციისთვის. მათ არ უშვებდნენ სერბეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში და საშუალებას არ აძლევდნენ რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის“ (4.03.2008, მარტი ახტისაარი – კოსოვოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო გეგმის ავტორი,

## გაეროს სპეცნარმომადგენელი კოსოვოში 2005-2007 წლებში.

კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტმა საბოლოოდ უნდა გამოგვაფხიზლოს, ის ჩვენთვის უნდა იქცეს მიჯნად, საიდანაც უნდა დავიწყოთ აფხაზეთში შექმნილი ვითარებისა და აფხაზეთისადმი არსებული პოლიტიკის (შინ თუ გარეთ) მასშტაბური გაანალიზება. უპირველესად, აუცილებელია ამ რეალობას თვალი გავუსწოროთ და პირდაპირ და შეულამაზებლად ვთქვათ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესი ჩიხშია შესული და ადგილიდან არ იძვრის. ამასობაში კი სეპარატისტული რეჟიმი თავის სასარგებლოდ იყენებს დროის ფაქტორს. ამას ადასტურებს რუსეთის კვლევის ავტორიტეტული ცენტრებისა თუ ცნობილი რუსი ანალიტიკოსების (ნიკოლაი ზლობინი – აშშ-ს მსოფლიო უსაფრთხოების ინსტიტუტის რუსული და აზიური პროგრამების ხელმძღვანელი: ლევ ნიკიფოროვი – დიპლომატი – საგანგებო დავალებათა ელჩი, ბალკანეთის საკითხების სპეციალისტი; ფეოდორ ლუკიანოვი - ჟურნალის „რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში“ მთავარი რედაქტორი) დამოკიდებულება აფხაზეთის პრობლემისადმი. ისინი დროს წამითაც არ კარგავენ და სწორედ კოსოვოს მაგალითზე აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის მრავალსაფეხურიანი მოლაპარაკებების სცენარს წარმოადგენენ. მაგალითისთვის აქვე ზოგიერთ მათგანს მოვიხმობთ:

- მოლაპარაკებათა პირველ ეტაპზე უნდა შემუშავდეს აფხაზეთის სპეციალური ასოცირებული ურთიერთობები რუსეთთან და საქართველოსთან, რომელთაც ექნებათ განსხვავებული კონფიგურაციები და დამოუკიდებლობის ხარისხი. ამ ურთიერთობების ჩარჩოებში აუცილებელია ისეთი პრობლემების განხილვა, როგორცაა აფხაზეთის უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის, მოქალაქეთა კერძო საკუთრების დაცვა, ინვესტიციების საკანონმდებლო რეგულირება, საგადასახადო ნესების შემუშავება და სხვა.

- მნიშვნელოვანია სხვადასხვა მხარეების იურისდიქციის სფეროების გამიჯვნა, რუსეთ-აფხაზეთისა და აფხაზეთ-საქართველოს საზღვრების დადგენა, მათი საერთო დემილიტარიზაცია, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც შესაძლოა, საქართველო უახლეს მომავალში ნატო-ს წევრი გახდეს, აფხაზეთის კონსტიტუცია „აფხაზეთის რესპუბლიკის“ ნეიტრალურ სტატუსს აცხადებს და არის გარანტი იმისა, რომ ქვეყანა არასდროს შევა სხვა სახელმ-

ნიფოს შემადგენლობაში ან არ განევირინდება სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში.

- მოლაპარაკებათა პროცესის მთავარი საკვანძო საკითხი იქნება დევნილთა პრობლემა, მათი უფლება დაუბრუნდნენ საკუთარ ტერიტორიას და მიიღონ მატერიალური კომპენსაცია დაკარგული საკუთრების სანაცვლოდ. დევნილთა უფლებებსა და მათ დაცვაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს აფხაზეთის მხარე, ხოლო პოლიტიკურ გარანტიორებად შეიძლება მოგვევლინონ რუსეთი, ევროკავშირი და აშშ, რომელთაც ასევე შეუძლიათ დევნილთა დახმარებების მიზნით შექმნან სპეციალური ფონდი.

- მოსკოვსა და თბილისს შორის მოლაპარაკების შემდეგ, აფხაზეთში დღეს მოქმედი რუსული პასპორტები შეიცვლება აფხაზეთის პასპორტებით და აფხაზეთის მოქალაქეობა გახდება „რესპუბლიკაში მცხოვრებთა ძირითადი სტატუსი“, თუმცა სოხუმის მოსკოვთან, თურქეთთან და საქართველოსთან მოლაპარაკებების შედეგად, მსურველთათვის, შესაძლოა, დაწესდეს ორმაგი მოქალაქეობა.

- აფხაზეთის მხარე აიღებს პასუხისმგებლობას იმ საბრძოლო იარაღთან დაკავშირებით, რასაც „რესპუბლიკის“ მოქალაქეები ფლობენ, ასევე სამი ოფიციალური ენის – აფხაზურის, ქართულის და რუსულის – შენარჩუნების თაობაზე და უზრუნველყოფს ამ ენებზე განათლების მიღებასა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მუშაობას. ყოველივე ეს და ამავდროულად ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში განხორციელებული რიგი ღონისძიებები უნდა გახდეს დსთ-ს მხრიდან აფხაზეთისათვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნის საფუძველი.

რუსი ანალიტიკოსების აზრით, უნდობლობა და გეოპოლიტიკური მეტოქეობა ევრაზიაში რუსეთს და აშშ-ს ხელს უშლის იმის გაცნობიერებაში, რომ ამ კონფლიქტის მოწესრიგებით ყველა მოგებული დარჩება. კერძოდ, ეკონომიკური თვალსაზრისით, აფხაზეთი უნდა გადაიქცეს თავისუფალ ეკონომიკურ ზონად, რაც მთლიანად რეგიონის (სამხრეთ კავკასიის) პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების სერიოზული სტიმული გახდება. პოლიტიკური თვალსაზრისით კი, დემოკრატიული, ნეიტრალური და დემილიტარიზებული აფხაზეთი იქცევა გამყოფ, ბუფერულ ზონად რუსეთსა და საქართველოს შორის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ნატო-ს წევრი გახდება.

რუსეთის პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ბოლო პერიოდში გაცხადებული პოზიციები მნიშვნელოვნად ემთხვევა ზემოაღნიშნულ მიდგომებს. კეთდება მინიშნებები, რომ პრობლემის პოლიტიკური გზით მოგვარების კომპრომისულ ალტერნატივად შეიძლება განვიხილოთ საკითხის სოციალურ-ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ ქრილში გადაწყვეტა. ხმამაღლა გაიჟღერა აფხაზეთის „ტაივანიზაციის“ შემდგომმა პერსპექტივამაც, გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯებიც.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ქართულმა მხარემ უნდა შეძლოს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს რუსული ანალიტიკური ცენტრებისა თუ ცალკეული რუსი ანალიტიკოსების მიერ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით გამოთქმული პოზიტიური შეხედულებები. ამასთანავე, აქცენტირება გააკეთოს იმ ფაქტზე, რომ რუსეთი სერბეთის მხარდაჭერისას (ცხადია, მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე), უნებლიეთ, გაეროს ფუნდამენტური პრინციპებისა და საერთაშორისო სამართლის დამცველად გვევლინება, მაშინ, როდესაც აფხაზეთთან მიმართებაში არ ცნობს, უფრო მეტიც, ეწინააღმდეგება მას. არადა გაეროს მიერ აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით მიღებული სამ ათეულზე მეტი რეზოლუცია და საერთაშორისო სამართალი – ჰელსინკის შემაჯამებელი აქტი და მისი მე-2 დამატება – მუდმივად უსვამს ხაზს საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას.

ამასთან ერთად, მსოფლიო თანამეგობრობას უნდა ვამცნოთ ის ნონსენსები, რაც აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის სახალხო კრების მიერ აფხაზეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადებას ახლავს, ანუ რის „საფუძველზე“ მიიჩნევენ აფხაზი სეპარატისტები აფხაზეთს დამოუკიდებელ რესპუბლიკად. კერძოდ, 1999 წლის 12 ოქტომბერს აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის სახალხო კრების (პარლამენტის) სხდომაზე მიიღეს „აქტი აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის შესახებ“, რომელსაც ხელი მოაწერეს მაშინდელმა პრეზიდენტმა ვ. არძინბამ, სახალხო კრების სპიკერმა ს. ჯინჯოლიამ და პარლამენტის დეპუტატებმა. ამ აქტის ბაზისს წარმოადგენდა იმავე წლის 3 ოქტომბერს ჩატარებული რეფერენდუმი აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ „აფხაზეთის რესპუბლიკის“ მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად. მათი მონაცემებით, რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 219 534 ამომრჩეველმა(!).



უნდა გავითვალისწინოთ, რომ 2007-2008 წლებში აფხაზეთში მიმდინარე პასპორტიზაციის პირობებში, რუსულ-აფხაზური მონაცემებით, 117 ათასი ამომრჩეველია, რაც ბოლო, 2007 წლის 4-18 მარტის საპარლამენტო არჩევნების დროსაც დადასტურდა. მაშინ გაურკვეველია, როგორ დაფიქსირდა 1999 წელს 2007 წელთან შედარებით ამომრჩეველთა ორჯერ მეტი რაოდენობა(!).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1996 წლის 23 ნოემბერს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩატარდა პლებისციტი კითხვაზე: „მხარს უჭერთ თუ არა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სეპარატისტული რეჟიმის მიერ დანიშნული საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე და აფხაზეთში დევნილთა და ლტოლვილთა დაბრუნებამდე“. პლებისციტში მონაწილეობა მიიღო და წინააღმდეგ ხმა მისცა 224 925-მა დევნილმა ამომრჩეველმა.

ფაქტობრივად, ამ აქტით სამართლებრივად გაბათილდა აფხაზეთის კონსტიტუცია, რომელიც სეპარატისტებმა აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის გარეშე და მისი ნების წინააღმდეგ მიიღეს.

სამართლის ნორმების ამგვარი იგნორირებითა და დარღვევით, ძალადობრივი გზით აფხაზეთში შექმნილი რეალობა ძალიან მძიმეა. მიუხედავად ამისა, ის ასევე გვანიშნებს და გვახლოდებულებს კიდევ, ხმამაღლა განვაცხადოთ, თანაცხოვრების რა ფორმას ვთავაზობთ აფხაზურ მხარეს და რისთვის ვართ მზად. მსგავსი შეთავაზებები, ბუნებრივია, სერბების მხრიდან კოსოვოს მიმართაც იყო, მაგრამ ეს არ იყო სერბეთის ერთიანი სახელმწიფო მიდგომა ამ საკითხის მიმართ. თვით სერბეთის პრეზიდენტი ბ.ტადიჩი მკვეთრად არ აფიქსირებდა საკუთარ პოზიციას, ხოლო ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი – გ.სვილანოვიჩი, ფინანსთა მინისტრი – მ.დინკიჩი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი დ.ჩოსიჩი საერთოდ არ ეწინააღმდეგებოდნენ კოსოვოს სრულ დამოუკიდებლობას. ზოგიერთი რუსი დიპლომატი და ანალიტიკოსი და ცალკეული სერბი პოლიტიკოსებიც კი (ვ.კომტუნიცა – პრემიერ-მინისტრი, ვ.დრაშკოვიჩი, ვ.იერემიჩი – სერბეთის ყოფილი და მოქმედი საგარეო საქმეთა მინისტრები) ერთიანი სერბეთის შემადგენლობაში კოსოვოს „შეზღუდულ ანუ კონტროლირებად დამოუკიდებლობას“ სთავაზობდნენ. „შეზღუდული

დამოუკიდებლობის“ კოსოვოს ეძლეოდა უფლება შეექმნა აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების საკუთარი სტრუქტურები, განესაზღვრა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები სერბი და სხვა არაალბანური უმცირესობების უფლებების დაცვის გარანტიით, მას ექმნებოდა ევროპულ ინსტიტუტებთან დამოუკიდებლად ურთიერთობისა და თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში, გარდა გაეროსი, საკუთარი წარმომადგენლობის ყოლის უფლება. ფაქტობრივად, „შეზღუდული დამოუკიდებლობის“ ცნება ესადაგება საყოველთაოდ გავრცელებული „ფართო ავტონომიის“ განსაზღვრებას. ამას, დამოუკიდებლობის აპელირებით, სეპარატისტული ლიდერების „პოლიტიკური ღირსებების“ მოჩვენებითი დაკმაყოფილების მიზანი ჰქონდა. რეალურად „შეზღუდული დამოუკიდებლობა“ იგივე ხარისხის პოლიტიკური პროდუქტია, რაც ევროპაში უკვე არსებული „ფართო ავტონომიები“ (კატალონია, ბასკების ქვეყანა – ესპანეთში, კორსიკა და ზღვისგალმა ტერიტორიები – საფრანგეთში, გრენლანდია და ფარერების კუნძულები – დანიაში, სამხრეთ ტიროლი, სიცილია, სარდინია, ვალლე-დ’ აოსტა, ფრიული-ვენეცია-ჯულია – იტალიაში და ა.შ)

„ფართო ავტონომიის“ მინიჭების საკითხი ერთხანს აფხაზეთთან მიმართებაშიც იხილებოდა. ბოდენის დოკუმენტად ნოდებულის „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები“ გაეროს უშიშროების საბჭომ ((1393 რეზოლუცია) ჯერ კიდევ 2002 წლის 31 იანვარს მოიწონა.

სწორედ ბოდენის დოკუმენტი ესადაგება თავისი შინაარსით ევროპული „ფართო ავტონომიისა“ და სერბულ-რუსული „შეზღუდული დამოუკიდებლობის“ სახელმწიფო წარმონაქმნის მოდელებს. მართალია, ამ დოკუმენტთან დაკავშირებითაც იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ მათი შეჯერების ნაცვლად ბოდენის დოკუმენტის განხილვა საბოლოოდ შეწყდა.

მსოფლიოში შექმნილი ახალი რეალობები კი, უწინარესად კოსოვოს დამოუკიდებლობის გათვალისწინებით, აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისადმი ახალ მიდგომებს ითხოვს. ქართულმა მხარემ – საერთაშორისო დონეზე – თავის თავზე უნდა აიღოს აფხაზი ეთნოსის დაცვის საკითხები, ხმამაღლა უნდა განაცხადოს, რომ ის მზად არის დაიცვას აფხაზეთის არა მარტო ქართული მოსახლეობის, არამედ ადგილობრივი ეროვნული უმცირესობების - აფხაზეთისა და

სხვა ეთნიკური ჯგუფების პირადი და ქონებრივი უსაფრთხოება, კულტურული თვითმყოფადობა, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. ამ მიზნით, ქართულმა მხარემ უნდა მიიღოს შესაბამისი კანონმდებლობა დღეისათვის ამ დარგში მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაში, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით. ქართული სახელმწიფოს პოლიტიკა ამ მიმართულებით მეტი აქტიუალური უნდა იყოს, ვიდრე რეაქტიული, დრო არ ითმენს!

აფხაზეთის პრობლემის მოგვარების ახალი და თანამედროვეობის შესაბამისი, მეტნაკლებად რეალური პროგრამის შექმნაში სათანადო აქტიურობაც ძალიან მალე უნდა გამოიკვეთოს, რადგან კოსოვოს მოვლენამ ისიც ნათლად დაგვანახა, რომ მხოლოდ ისტორიული სიმართლისა და გაეროს რეზოლუციების აპელირებამ შეიძლება, სერბეთის ბედი გავვაზიარებინოს. მერმე არც ის იქნება გასაკვირი, რომ ჩვენი პასიურობის დაგმობით თვით რუსეთმაც გამოიღოს თავი(!).

საბოლოოდ, ერთიც უნდა ითქვას – აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხში განსაკუთრებულ როლს იძენს 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის ფაქტორი. რუსეთის ხელისუფლებამ ეს მოვლენა სახელმწიფოს უმთავრეს პრიორიტეტად გამოაცხადა არა მარტო სპორტული, არამედ იქ განსახორციელებელი საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული პროექტების მნიშვნელობის გათვალისწინებით. ამდენად, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს სოჭის მოსაზღვრედ მდებარე კონფლიქტურ რეგიონში – აფხაზეთში სტაბილურობის შენარჩუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის მნიშვნელოვანი „ეროვნული პროექტის“ განხორციელებას საფრთხე შეექმნება. ეს გარემოება აიძულებს რუსეთს, ყველაფერი იღონოს აფხაზეთში სიტუაციის გასანივრალეზლად, რაც ქართული მხარის მონაწილეობის გარეშე, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება, ასე რომ საქართველომ ეს კოზირი ხელიდან არ უნდა გაუშვას და გონივრულად გამოიყენოს.

P.S. ბოლო დღეებში რუსეთმა მაინც გაიმეორა მისი „ისტორიული გამოცდილება“ და აფხაზეთის მიმართ მკვეთრი სვლების გაკეთება დაიწყო:

- 8 მარტს ის ოფიციალურად გამოვიდა აფხაზეთისთვის ეკონომიკური ბლოკადის დაწესების შესახებ დსთ-ს 1996 წლის 19 იანვრის დადგენილებიდან;
- რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ 13 მარტისთვის დანიშნა საპარლამენტო მოსმენა აფხაზეთის

ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებისთვის;

- 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადის მზადების წინა პერიოდში რუსეთის მთავრობამ აქტიურად დაიწყო ოლიმპიური პროექტების რეალიზაციაში აფხაზეთის ინფრასტრუქტურის, ბუნებრივი და შრომითი რესურსების ჩართვის პროგრამების შემუშავება.

რუსეთმა ეს ნაბიჯები უმთავრესად კოსოვოს საკითხებზე დასავლეთისთვის პასუხად, სოჭის ოლიმპიადისთვის მზადებისა და ბოლო პერიოდში საკუთარი პოლიტიკტებლიშმენტის შოვინისტური განწყობილების და აფხაზეთში შექმნილი ანტირუსული ატმოსფეროს გასაწეიტრალეებლად გადადგა.

ამასთან ერთად, ჩანს, რომ რუსეთი არ შეეცდება აფხაზეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღიარებას, რათა კიდევ ერთხელ „წარმოჩნდეს“ მსოფლიოში სტაბილურობის შენარჩუნების გარანტიად, აგრეთვე საკუთარ მოსახლეობას და მეგობრებს გაუმყაროს მათ „უფლებებზე ზრუნვის“ ილუზორული წარმოდგენა, ხოლო აფხაზებს კიდევ ერთხელ შეახსენოს „აფხაზური სამოთხის“ შექმნის შესაძლებლობა.

„მცდარი, უზნეო და პროვოკაციული“ უწოდა საქართველოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა რუსეთის ამ ქმედებებს. აფხაზეთთან მიმართებაში საქართველოს უამრავი რესურსი გააჩნია და მათი დროული ამოქმედებით არა მარტო რუსეთის მხრიდან მიმდინარე საქართველოს ტერიტორიების „მცოცავი ანექსიის“ შეჩერება, არამედ კონფლიქტების გადაწყვეტის პროცესის სრულიად ახალ ფაზაში გადაყვანა შეიძლება.

## აზხაზეთი – დამოუკიდებელი სახელმწიფო თუ რუსეთის ახალი გუბერნიის ნაწილი?

რუსეთი ანექსირებული აფხაზეთის მიმართ ახალ, გამოკვეთილად აქტიურ მოქმედებებზე გადადის და ის მშვიდობისმყოფლის ნიღბის ახდას საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშეც არ ერიდება. ამ თვალსაზრისით, მისი ბოლო უცერემონიო სვლები აფხაზეთისათვის ყბადალებული ეკონომიკური ბლოკადის მოხსნა და აფხაზეთში სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენის მიზნით დამატებითი სამხედრო ძალის შეყვანა იყო. ამასთანავე, აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების საკითხს სულ უფრო ხშირად უბრუნდება რუსეთის დემა. რუსეთი რომ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობას არ აპირებს და ამისთვის არ ირჯება, ეს სიახლეს არავისთვის წარმოადგენს. აფხაზეთის მიერთება მისი დიდი ხნის ოცნებაა, მაგრამ აფხაზეთი მისთვის განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ნატოსთან მიმართებაშიც. ამ და ბოლო დროს გამძაფრებულ ზოგიერთ სხვა საკითხზე გვესაუბრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საგანგებო დავალებათა ელჩი ზურაბ ჯგუბურია.

– ბატონო ზურაბ, თქვენი აზრით, რა განსაკუთრებულ მისიას ანიჭებს რუსეთი აფხაზეთს ნატო-სთან დაკავშირებით და რატომ არის მისთვის ასე საშიში ამ რეგიონში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შემოსვლა?

– რუსეთის მიერ ბოლო პერიოდში აფხაზეთში განხორციელებული აშკარად ექსპანსიონისტური ქმედებები, ერთი შეხედვით, შეიძლება აიხსნას: დასავლეთის მხრიდან კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისა და საქართველოს ნატო-ში განწევრიანების სწრაფვის პასუხად; ამასთანავე, საკუთარი, იმპერიული, საუკუნეების განმავლობაში გამყარებული, წმინდა რუსული პოლიტიკური მენტალობის – „დაყავი და იბატონე“ გამოხატულებად.

თუმცა საკითხს ბევრად უფრო ღრმა ახსნა გააჩნია, რაც საერთოდ არ გულისხმობს რუსეთის მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობას და, მით უმეტეს, მისგან დამოუკიდებლად არსებობას, კერძოდ:

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსა და უკრაინის ნა-

ტო-ში განვერიანების შემდეგ შავი ზღვის აუზის მთელი მიმდებარე რეგიონი, ფაქტობრივად, ნატოს მოქმედების არეალში მოექცევა და, ამასთანავე, 2017 წლისათვის რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა უნდა დატოვოს მისი უმთავრესი, ისტორიული სამხედრო-საზღვაო ბაზა სევასტოპოლში, რუსეთი რეალურად კარგავს ყოველგვარ სამხედრო კონტროლს შავ ზღვაზე. შავი ზღვის აუზზე სამხედრო კონტროლის დაკარგვის შემთხვევაში კი რუსეთი უნდა შეეგუოს იმ რეალობას, რომ ის კასპიის ენერგომატარებლების ევროპისკენ ტრანსპორტირების პროცესს ვერ გააკონტროლებს, რაც პუტინისეული „სუვერენული დემოკრატიის“, ანუ რუსეთის ახალ სუპერსახელმწიფოდ ჩამოყალიბების იდეის ფიასკო იქნება.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ევროპული დიდი სახელმწიფოს ლიდერები ვერ მიხვდნენ, რომ საქართველოზე კონტროლით, კასპიის ენერგომატარებლების ევროპისკენ ტრანსპორტირების (პროექტები: „ნაბუკო“, ბაქო-თბილისი-ფოთი-ოდესა-ბროდი-აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპა) ალტერნატიული პროექტების ჩაგდებათ, რუსეთი ევროპის მთლიან გაკონტროლებას ცდილობს(!). რუსეთმა, ფაქტობრივად, უკვე შემოავლო ევროპას „ენერგეტიკული ალყა“ თვით ხმელთაშუა ზღვის აუზის (ლიბია, სირია, ირანი) ენერგო-სატრანსპორტო გზებისა და ნავთობსადენების გაკონტროლებით. დარჩა საქართველოს დერეფანი და ამის არდანახვა დღეს შეუძლებელია.

ანალოგიურად მკვეთრი რეაქცია ჰქონდა რუსეთს ბალტიის პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ნატო-ში განვერიანების დროსაც, თუმცა მთლად ასეთი მძაფრი არა, როგორც უკრაინისა და განსაკუთრებით საქართველოს ნატო-ში შესვლის მიმართ აქვს. ბუნებრივია, ამასაც თავისი ახსნა გააჩნია – ბალტიის ქვეყნების „დაკარგვით“ ის მაინც ინარჩუნებდა ბალტიის ზღვაზე მნიშვნელოვან გასასვლელს კალინინგრადის რეგიონის სახით, ხოლო საქართველოსა და უკრაინის ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში განვერიანებით ის შავი ზღვის აუზს ფაქტობრივად კარგავს. ეს კი მისი მზარდი იმპერიული ზრახვების დასამარებას ნიშნავს! ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ თვით რუსეთის სერიოზული ანალიტიკური ცენტრების, ცალკეული პოლიტოლოგებისა და ანალიტიკოსების აზრით, რუსეთმა უკვე დაკარგა ყოველგვარი სამხედრო გავლენა შავ ზღვაზე და მისი სამხედრო მონაწილეობა ამ საზღვაო აუზში მხოლოდ საბჭოთა ნოსტალგიის გამოვლინებად თუ მიიჩნევა.

ამდენად, რუსეთისთვის თეორიულად აფხაზეთი დარჩა შავი

ზღვის აუზის იმ ერთადერთ რეგიონად, სადაც მას უკრაინიდან საკუთარი ფლოტის გამოყვანის შემთხვევაში ახალი ღრმანწყლიანი სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობა შეუძლია. ასეთ ადგილად მოიაზრება ოჩამჩირე და სწორედ ოჩამჩირემდე იგეგმება აფხაზეთის ტერიტორიაზე სოჭიდან რკინიგზის ხაზის აღდგენა-გაგრძელება და სწორედ ოჩამჩირის ყოფილ სამხედრო ნავსადგურში ხდება რკინიგზის ახალი შტოს შეყვანაც.

– ბატონო ზურაბ, აფხაზეთის „კულტურული ექსპანსიის“ და იქ ქართული ისტორიულ-კულტურული ძეგლების მიმართ გამოჩენილი ვანდალიზმის პასუხად, თქვენ ქართველ მეცნიერებთან ერთად გამოცეით წიგნი „ქართული ისტორიულ-კულტურული ფასეულობები აფხაზეთში“. წიგნში წარმოდგენილია ის ძეგლები, რომლებიც 1997 წელს ოუნესკოს დელეგაციამ მოინახულა. შესაბამისად, მოცემულია მათი მდგომარეობის ამ ექსპერტებისეული აღწერილობაც. გამოცემის უმთავრესი მიზანი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ამ ფაქტით დაინტერესებაც იყო. თუ დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩანაფიქრი ბოლომდე არც ამჯერად განხორციელდა. რა ხდება, რითი აიხსნება ეს, მაინც რითი გვჯობნიან მონინალმდევნი?

– გულწრფელად უნდა ვთქვათ, რომ აფხაზეთის პრობლემატიკისადმი მიდგომაში თანმიმდევრულად აქტიურნი ვერ ვართ. ყველაფერი ისევ ცალკეული პიროვნებების ინიციატივების იმედად არის დარჩენილი. სხვათა შორის, ასევე მოხდა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც. საშიშ ხასიათს იძენს ბოლო დღეებში მოსკოვში ოფიციალურად დაწყებული აფხაზეთის „კულტურული ექსპანსიის“ ნიშნები:

აფხაზეთში განთავსებული უძველესი ქართული ქრისტიანული საკულტო ძეგლების (ბიჭვინთა, ანაკოფია-ფსირცხა-ახალი ათონი, ბზიფი, გაგრა, მიუსერა და სხვა) მხოლოდ ბიზანტიური ეკლესიის ნიმუშებად წარმოჩენა (რაც ხდებოდა წლეულს, 4 ივნისს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს კულტურისა და სპორტის საკომიტეტო მოსმენაზე – ს.მარკოვი) აშკარა ისტორიულ-კულტურული ექსპანსიაა. ცნობილია, რომ ისტორიულად რუსული მართლმადიდებლური ეკლესია ბიზანტიური ეკლესიის სამართალმემკვიდრედ მიიჩნევს თავს, რუსეთი კი „მე-3 რომის“ სიმბოლური უფლებების დამკვიდრებაზე აკეთებს აქცენტს. ამ ხასიათის პოლიტიკური განცხადებებით და დემოგოგიური პროპაგანდით კი ის იმპერიული გეგმის შენიღბვას ცდილობს. ჩვენ უყურადღებოდ არ უნდა

დავტოვოთ ეს მეტად საშიში იდეოლოგიური ნალმი, თორემ მერე მეტად გვიანი იქნება!

სწორედ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე უნდა გაკეთებულიყო ჩვენი მხრიდან უმთავრესი იდეოლოგიური პიარაქციენტი, მაგრამ მიუხედავად საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის დიდი მცდელობისა, ეს საკითხი ვერ გახდა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების სათანადო განსჯის საგანი.

შარშან საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის საკითხთა დროებითი კომისიის ეგიდით ოთხ ენაზე გამოიცა ნიგნი-დოკუმენტი „ქართული ისტორიულ-კულტურული ფასეულობები აფხაზეთში“ (ავტორები: ზურაბ ჯგუზურია, დავით ლორთქიფანიძე, ნიკა გვარამია, გიორგი ხუბუა), რომლის მთავარი გზავნილი იყო საქართველოს პარლამენტის მიმართვა გაეროს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, უეთოს, იუნესკოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, მეგობარი ქვეყნების მთვარობებისადმი – „ხმა აიმაღლონ აფხაზეთში მიმდინარე კულტურული გენოციდის წინააღმდეგ და ქართული ისტორიული ფასეულობების გადასარჩენად“. სამწუხაროდ, განვლილ პერიოდში მუშაობა ამ მიმართულებით მხოლოდ საქართველოს ყოფილი თუ მოქმედი რამდენიმე ელჩის აქტიურობით შემოიფარგლა. იმედია, რომ მომავალში არა მხოლოდ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, არამედ კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენ ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს.

**– თქვენი აზრით, რა უნდა იყოს ქართული მხარის მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომელმაც შეიძლება აფხაზეთში თუ მის გარშემო არსებული ურთულესი ვითარება შეცვალოს?**

– აფხაზეთის პრობლემის მონესრიგების გზაზე უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა საქართველოს პრეზიდენტის მ.სააკაშვილის ინიციატივებმა აფხაზეთისათვის ფართო პოლიტიკურ-ავტონომიური და ეკონომიკური განვითარების სპეციფიკური უფლებების მინიჭების თაობაზე.

საქართველოს პრეზიდენტის ამ ფუნდამენტური წინადადებების რეალიზაციისათვის, შესაბამის სახელისუფლებო სტრუქტურებში, სოხუმსა და თბილისს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის თაობაზე სათანადო დოკუმენტის მოსამზადებლად კონკრეტული



საქმიანობა უნდა წარიმართოს. მით უმეტეს, როცა არსებობს ამ საკითხზე გაეროს უშიშროების საბჭოს 2002 წლის 31 დეკემბრის №1393 რეზოლუცია – საბაზისო დოკუმენტი, რომელიც მონ-ონებული იყო გაეროს გენერალური მდივნის „მეგობარი ქვეყნების ჯგუფის“ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი) ყველა მონაწილის მიერ.

უმნიშვნელოვანესია თავისი მომავალი ეკონომიკური პერსპექტივებით ოჩამჩირე-გალის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის პრეზიდენტისეული ინიციატივა. აქედან გამომდინარე, სპეციალური მიმართულებების თეზების შექმნა შესაძლებელია აფხაზეთის სხვა ტერიტორიაზეც. ბიჭვინთა-მიუსერა-ახალი ათონის საკურორტო რეგიონის უნიკალური ხასიათი იძლევა საშუალებას, შეიქმნას მსოფლიოში სრულიად ახალი ტიპის საერთაშორისო საკურორტო რაიონი, ხოლო სოხუმის ი.ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი (სფტი) ბაზაზე ჩამოყალიბდეს მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი – აფხაზეთის ტექნოპარკი. შეიძლება საზოგადოების უმრავლესობამ არც იცის, რომ სფტი იყო საბჭოთა ატომურ-ბირთვული და ნახევარგამტარების ფიზიკის პროექტების განხორციელების ძირითადი და მსოფლიო მასშტაბის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი. აქ უმუშავიათ სახელგანთქმულ ფიზიკოსებს გუსტავ შერცს, ლევ ლანდაუს (ნობელის პრემიის ლაურეატები), ლ.არდენეს – შემდგომში გდრ-ს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, სხვა ცნობილ ფიზიკოსებს. ეს ცენტრი თამამად შეიძლება დავაყენოთ დუბნის (რფ), ცერნის (ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი), რეზერფორდის ლაბორატორიის (დიდი ბრიტანეთი), ლოს-ალამოსის, ბერკლის, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (აშშ) და მსოფლიოში ცნობილი სხვა სამეცნიერო-გამოყენებითი ცენტრების გვერდით. უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობის ფაქტორია სოხუმის აეროპორტიც, რომლის ანალოგი არ არსებობს მთლიანი კავკასიის (ჩრდილო და სამხრეთი) ფარგლებში. სოხუმი წარმოადგენს უდიდეს სატრანსპორტო კვანძს ამ რეგიონში, სადაც ერთდროულად თავს იყრის საჰაერო, სარკინიგზო, საზღვაო და საავტომობილო ჩრდილო-სამხრეთის დამაკავშირებელი მაგისტრალები.

მაგრამ აქაც მეტი კონკრეტულობა უნდა იყოს ჩადებული, თუ რის ბაზაზე ან რომელი მიმართულების თეზებზეა საუბარი: საქართველოში დღეს არსებული კანონმდებლობა „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ ამ შემთხვევაში ნაკლებად ადაპ-

ტირებადი იქნება გალი-ოჩამჩირის მიმართ, რადგან იქ დღეისათვის არსებული ვითარება და საბაზისო ეკონომიკური ვითარება დიამეტრულად განსხვავდება ფოთის ზონისაგან. არსებობს კონკრეტული გეგმები გალი-ოჩამჩირე თეზის განვითარების თაობაზე, მაგრამ მისი წინასწარი აფიშირება ან დეტალური ახსნა მცირე საგაზეთო სტატიაში, მით უმეტეს, სატელევიზიო გადაცემის ფორმატში, მიზანშეწონილი არც იქნებოდა. ეს თემა დეტალურ განხილვას მოითხოვს როგორც საქართველოს და დე ფაქტო აფხაზეთის სახელისუფლებო სტრუქტურებში, ასევე რუსეთის და ჩვენი მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებთან. პირველ ეტაპზე, ალბათ, უფრო საკუთარ რესურსებზე და შესაძლებლობებზე უნდა იყოს გათვლა გაკეთებული საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიებისა და მონიტორინგის ზუსტი გეგმის შესაბამისად, მხოლოდ შემდგომ ეტაპზე შეიძლება უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. არსებობს ამის ანალოგი – სწორედ ასე დაიწყო დუბაის განვითარებაც.

მხოლოდ ერთიანი კომპლექსური სამშვიდობო პროგრამით შეიძლება ამ კონფლიქტის დაძლევა, სადაც სამხედრო კომპონენტი თავიდანვე უნდა იყოს უკუგდებული. ყოველ შემთხვევაში, ეს პრობლემა ნამდვილად არ შეიძლება სატელევიზიო დისკუსიის ან განხილვის საგანი იყოს, მით უმეტეს, ხელისუფლების ჰუმანიტარული, თუ სოციალური მიმართულების ხელმძღვანელების მხრიდან.

უკვე მრავალჯერ მინევს სხვადსხვა ფორმით იმის გამეორება, რომ ყველა ჩვენი ქმედება უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს პრეზიდენტის ფუნდამენტური პოლიტიკური ინიციატივების ბაზაზე შექმნილ საერთო სახელმწიფო გეგმას, იყოს თანმიმდევრული და შეთანხმებული როგორც საკუთარ სახელისუფლებო სტრუქტურებში, ასევე მსოფლიო თანამეგობრობასთან და განსაკუთრებით – ჩვენს მეგობრებთან.

## თვითგადარჩენის თუ თვითმკვლელობის მცდელობა?

**რუსეთი საკუთარ ტერიტორიას იცავს და აფხაზეთს ანადგურებს. ვერაფერს იტყვი, მართლაც რომ „მეგობარი“ ქვეყნის „მეგობრული“ შესტია!**

არახალია, ძველია, რომ რუსეთის შოვინისტური პოლიტიკა საფრთხეს უქმნის არა მარტო საქართველოს, არამედ თავად აფხაზ ეთნოსს და მას რუს ერთან ასიმილაციითა და სრული გაქრობით ემუქრება. სწორედ აფხაზების წინაშე მდგარი სერიოზული საშიშროებებისა, მათ მიერ (ალბათ, რუსეთის მიზანძვით) ორმაგი სტანდარტის მოქმედების მცდელობაზე, ასევე, რეგიონალური უსაფრთხოების მნიშვნელოვან ასპექტებზე გვესაუბრა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ზურაბ ჯგუჭურია:**

**– ბატონო ზურაბ, ამას წინათ გაზეთ „კომერსანტში“ გამოქვეყნებულმა სკანდალურმა პუბლიკაციამ „ჩიხიდან გამოსავალი“, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის აფხაზეთის გავლენის სფეროებად დაყოფის ერთგვარი ვერსია იყო თითქოს, ქართული საზოგადოება ძლიერ დააფიქრა. როგორც რუსული, ისე ქართული მხარის მიერ ამ ინფორმაციის უარყოფამ კი გაურკვეველი გახადა, სად გადიოდა ამ შემთხვევაში ზღვარი სიმართლესა და სიცრუეს შორის?**

– აფხაზეთის ნებისმიერი ფორმით და მოტივით გაყოფაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, ყველაზე ცუდ ვარიანტადაც კი არ შეიძლება ის განვიხილოთ. საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლება თუ ხელისუფალი, მით უმეტეს, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამ ვარიანტს არასოდეს დათანხმდება. ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ აფხაზეთში კონფლიქტის საბოლოო მონესრიგებამდე რამე შუალედური ვარიანტის შემუშავებაზე, კერძოდ, საერთაშორისოდ აღიარებული სამშვიდობო გეგმის საწყის ეტაპზე, ანუ გარდამავალ პერიოდში მხოლოდ მხარეებს შორის ნდობის აღდგენის მიზნით ჩასატარებელ გადაუდებელ ღონისძიებებზე. აქ საუბარია ძალიან კონკრეტულ თემებზე: საერთაშორისო თანამეგობრობის, განსაკუთრებით გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის უშუალო გარანტიით დაიწყოს კონფლიქტის მონესრიგების პირველი ეტაპი. სამშვიდობო ოპერაციის კოდორამდე გადატანით, ქართულ-რუსული ინტერესების და-

ბალანსებით და აფხაზეთის მთელი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების დაცვით, გალი-ოჩამჩირის ტერიტორიაზე დაიწყო საერთო ეკონომიკური და ჰუმანიტარული პროგრამების განხორციელება. კონკრეტულად კი მოხდეს:

– აფხაზეთის მთლიანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აღდგენა;

– გალი-ოჩამჩირის სპეციალური ეკონომიკური ზონის (სეზ-ი) ჩამოყალიბება;

– აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზე ეკონომიკის სპეციალური პროგრამების განხორციელებისათვის ხელისშემწყობი პირობების შექმნა;

– კულტურულ-სპორტული ერთობლივი ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების შემუშავება და განხორციელება (შეიძლება წარმატებით გამოყენებულ იქნეს დანიის გამოცდილება ფარერების კუნძულის მიმართ);

– სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მომზადებასა და განხორციელების პროგრამაში საქართველოს (აფხაზეთის) სპეციალური მონაწილეობის პროგრამების შედგენა და სათანადო სამმხრივი (საქართველო-რუსეთი, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ჩართვის) და საერთაშორისო (საქართველოს, რუსეთის ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტები და სოკ) სპეციალური ხელშეკრულებების გაფორმება;

– სახალხო დიპლომატიის განვითარებისთვის სპეციალური პროგრამების მომზადება და მათი სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა.

– **თუმცა ამ და ნებისმიერ სხვა გეგმას – უარესს თუ უკეთესს – წინ ეღობება რუსეთის ულტიმატუმი საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. სხვათა შორის, გაზეთ „კომერსანტის“ თანახმად, საქართველოს მიერ რუსეთისთვის შეთავაზებულ გეგმაში თითქოს საქართველოს მიერ ნატო-ში გაწევრიანებაზე უარის თქმის შესაძლებლობაზეც არის ლაპარაკი, აფხაზეთის დაყოფის ფონზეც კი, ადვილი წარმოსადგენია, რა იქნება სხვა შემთხვევაში.**

– ნატო საქართველოს მომავლის სტრატეგიული გზაა. ის საქართველოს მთელი მოსახლეობის არჩევანია, რომელიც 2008 წლის 5 იანვრის რეფერენდუმმა განამტკიცა და მას ვერავინ შეცვლის! აფხაზეთთან მიმართებაში კი სანყის ეტაპზე უმთავრესი საგანი უნდა იყოს მხარეებს შორის სამხედრო დაპირისპირების ეტაპო-

ბრივი განეიტრალება, რისთვისაც საჭიროა;

– გალი-ოჩამჩირის ტერიტორიაზე (სეზ-ის ტერიტორია) შერეული ორმხრივი ადგილობრივი ადმინისტრაციის შექმნა;

– სამშვიდობო ოპერაციის ფარგლებში საერთაშორისო პოლიციური კონტიგენტის ეგიდით შერეული ადგილობრივი საპოლიციო ძალების ჩამოყალიბება გალი-ოჩამჩირის (სეზ-ის) ტერიტორიაზე;

– დსთ-ის ეგიდით განსაზღვრული სამშვიდობო ძალებისათვის ფორმატის შეცვლა ანუ მისთვის ახალი სამოქმედო არეალის განსაზღვრა მომავალი მე-2 (კოდორი-გუმისთის ზონა) და მე-3 (გუდაუთა-გაგრის ზონა) რიგის ერთობლივი ეკონომიკურ-ჰუმანიტარული პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად.

ყველა ქმედების საბოლოო მიზანი უნდა იყოს დევნილთა დაბრუნება მათი განსახლების ძირითად რაიონებში (გალი, ოჩამჩირე, გულრიფში, სოხუმი) და ახალი სქემით: აფხაზეთში საერთაშორისო ეგიდით დემოკრატიული არჩევნების ჩატარება (გარდამავალი პერიოდის ხელისუფლების არჩევნები).

– **თქვენ ზემოთ სახალხო დიპლომატიის განვითარების პროგრამები ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, სინამდვილეში, განსაკუთრებით ბოლო დროს, საერთოდ ხომ არ არის უგულვებელყოფილი ეს ფენომენი? ძირითადად ლაპარაკია ტერიტორიის დაბრუნებაზე და არაფერს ამბობენ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ თუ იქიდან გამოძევებულ ადამიანებს შორის ურთიერთობაზე, მათ შორის ნდობის აღდგენის ფაქტორზე.**

– მიმაჩნია, რომ როცა ლაპარაკია აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პროცესში დაინტერესებული მხარეების, სახელმწიფო ინსტიტუტების და საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობაზე, იქვე ლაპარაკი უნდა იყოს ამ პროცესში ზოგადად, საზოგადოების და კონკრეტულად, დევნილი საზოგადოების ჩართვაზე.

დღევანდელ ქართულ ბიზნეს თუ პოლიტიკაში თავმოყრილია აფხაზეთიდან დევნილთა უსერიოზულესი ინტელექტუალური ძალა. მათ ბიზნესში თუ პოლიტიკაში საკვანძო პოსტები უკავიათ და, მიუხედავად ამისა, მათი პოტენციალი რატომღაც სრულად არ არის გამოყენებული, ისინი ჯეროვნად არ არიან ჩაბმულნი აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პროცესში. ამ თვალსაზრისით, არც აფხაზეთის უმადლესი საბჭო და მთავრობაა ბოლომდე გამოყენებული. ცალკეული კერძო ინიციატივების გამოჩენა კი სახიფა-

თოა, რადგან თავის დროზე რა უბედურებაც მოგვიტანა ამგვარმა ინიციატივებმა, ყველამ კარგად დავინახეთ(!)

განსაკუთრებული მნიშვნელობა და, ალბათ, გადამწყვეტიც, ექნება გეგმის შემუშავების პროცესში სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად საზოგადოების მონაწილეობის ხარისხს. სინამდვილეში ბოლო პერიოდამდე შემუშავებული ყველა გეგმა პროცესუალურად მაინც ხელისუფლების ცალკეული შტოების თუ ხელმძღვანელობის ინიციატივად შეიძლება მივიჩნიოთ. საქართველოს პრეზიდენტის ბოლოდროინდელ შესაბამის მნიშვნელოვან მონოდეტებსაც ქვეყნის პოლიტიკური ელიტის თუ არასამთავრობო სექტორის ცალკეული წარმომადგენლები თუ გამოეხმაურნენ. აქ საზოგადოებრივი აზრი ნაკლებად იყო გამოხატული, რაც, სიმართლე უნდა ითქვას, საზოგადოების პასიური დამოკიდებულებითაც შეიძლება აიხსნას. არადა, სწორედ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა ანუ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საბოლოო დაკარგვის საშიშროება უნდა გახდეს საზოგადოების გამთლიანების საფუძველი. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და მის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი სამართლებრივი სივრცის აღდგენა პოზიცია-ოპოზიციის ტრივიალური დამოკიდებულების თემად ნამდვილად არ შეიძლება განხილულ იქნეს.

სიმართლეს თვალეში უნდა შევხედოთ: აფხაზები ამ თვალსაზრისითაც გეგვობნიან. უფრო დიდი გამოცდილება ჩვენ შეიძლება ხორვატიის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის უახლესმა ისტორიულმა წარსულმაც მოგვცეს. გასული საუკუნის 90-იან წლებში მაშინდელი სამოკავშირეო რესპუბლიკა იუგოსლავიის (ფაქტობრივად, სერბეთის) მიერ ნაწილობრივ ოკუპირებულმა ხორვატიამ 4-5 წლიანი ყოველმხრივი სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ სულ რამდენიმე დღიანი ბლიც-მოქმედებით არა მარტო აღადგინა ტერიტორიული მთლიანობა, არამედ ყოველმხრივ წარმატებული სახელმწიფოს აშენებაც შეძლო. ხორვატიის პოლიტიკურ ძალებს, მოსახლეობის სრული მხარდაჭერისა და ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის, ფრანიო ტუჯმანის პირადი თავგანწირვის ფონზე, ნაკლებად ანუ უხებდათ პოზიცია-ოპოზიციის თამაში. ისინი არც ანტიდემოკრატიულ სახელმწიფოდ აღიარებას შეუშინდნენ, არც ილუზორული საერთაშორისო მხარდაჭერის იმედად დარჩნენ და 2008 წელს დემოკრატიული თუ წარმატებული სახელმწიფო ტრიუმფით შეიყვანეს ნატოში!

– აფხაზი ხალხი რუსეთს გასაქრობად ჰყავს განწირული და ეს ბუნებრივია, გაცნობიერებული აქვს აფხაზურ მხარესაც, თუმცა მანაც ნებაყოფლობით მიექანება „ოკეანეში დასახრობად“. დღეს ეს რეალობა ისე ნათელია, როგორც არასდროს. როგორ ფიქრობთ, ქართულმა მხარემ ვერ გამოიყენა შანსი, დაერწმუნებინა აფხაზები, რომ მათი გადარჩენა მხოლოდ ქართველებთან თანაცხოვრებას შეუძლია?

– ეს უმნიშვნელოვანესი, მე ვიტყვოდი აფხაზური პრობლემის საკვანძო საკითხია, რაც დრო გადის, აფხაზებს ნამდვილად ეტყობათ, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ყოფის ტრაგიზმი. თუმცა, ვერ ვიტყვოდი, რომ შესაბამისი გონივრულობით იქცეოდნენ. პირიქით, ისინი ერთგვარ გაუაზრებელ ორმაგ თამაშში ჩაებნენ.

ძნელი სათქმელია, რა ჰქვია იმას, როცა აფხაზები საკუთარი ინტერესების განივრის ხარჯზე რუსეთის ინტერესებს იცავენ. სხვა რა შეიძლება ენოდოს იმ გარემოებას, რომ როცა რუსეთი აფხაზებს გადაშენებისთვის ანუ მათი სრული ასიმილაციისთვის იმეტებს, აფხაზებმა (ოსებთან ერთად) სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ინტერესების დაცვა იკისრეს და ამ გეოსტრატეგიულ გზაჯვარედინზე ნატოს შემოსვლის წინააღმდეგ, „შეუვალ დარაჯად“ დადგნენ. აუხსნელიც კია, რატომ ურჩევნია აფხაზს რუსი, რომელიც მის გაქრობას ცდილობდა და ახლაც ამას უქადის და რატომ გაურბის ქართველს, რომელმაც მას თვითმყოფადობა შეუწარმოა და მომავალშიც ამასვე ჰპირდება. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში თითო-ოროლა ქართველი ვაი-ჩინოვნიკის გაუაზრებელი მუქარა მხედველობაში მისაღები არ უნდა იყოს.

რაც შეეხება აფხაზური ორმაგი თამაშის პოლიტიკას, მას აფხაზები რუსეთსა და თურქეთს შორის წარმართავენ. თუ აფხაზები, ერთი მხრივ, რუსეთის ინტერესებს იცავენ სამხრეთ კავკასიაში, მეორე მხრივ, გრძნობენ რა მისი მხრიდან გაქრობის საშიშროებას, თითქოს ვითარების ერთგვარად დაბალანსების მიზნით, რუსეთისთვის (შეიძლება ჩვენთვისაც) თურქეთის კოზირის დაპირისპირებას ცდილობენ. ეს აშკარად სახიფათო თამაშია, რომელიც აფხაზურმა მხარემ ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დამთავრებისთანავე წამოიწყო, კერძოდ 1994-95 წლებში თურქეთიდან ჩამოსახლეს 3 ათასამდე მუჰაჯირთა შთამომავალი. შემდეგ ეს პროცესი შეწყდა, ბევრიც უკან წავიდა, რადგან ეკონომიკური კრიმინალის გამო რამდენიმე თურქი მოკლეს. თურქების აფხაზეთში ჩამოსახლება 2004 წლიდან ისევ განახლდა. 2007 წელს აფხაზურ პარლამენტში ორი

თურქი რეპატრიანტი ანუ თურქეთის ორი მოქალაქეც კი აირჩიეს. საერთოდ კი, სრული პოლიტიკური გაუგებრობაა, აბა, სხვა რა შეიძლება დაერქვას იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის ე.წ. პარლამენტი რუსეთისა და თურქეთის მოქალაქეებისგან შედგება.

ამასთანავე, აფხაზეთში მოქმედი თითქმის ყველა სამრეწველო საწარმო თურქულ-აფხაზურია, ეს განსაკუთრებით ითქმის სოხუმში, ოჩამჩირესა და ტყვარჩელში არსებულ საწარმოებზე. რაც შეეხება გაგრას, აქ თურქი ბიზნესმენები, აფხაზეთში მომძღვრებულმა კიდევ ერთი ჩვენი მეზობელი ერის წარმომადგენლებმა არ შეუშვეს, რაც ცალკე საუბრის თემაა. სამწუხაროდ, აფხაზები ვერც თავიანთ უმძიმეს დემოგრაფიულ მდგომარეობას ეკიდებიან სერიოზულად, მაშინ როდესაც აბსოლუტურ უმცირესობაში არიან უკვე არა მხოლოდ ქართველებთან, არამედ რამდენიმე სხვა ერის წარმომადგენლებთან მიმართებაშიც.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამ დღეებში აფხაზეთის საზოგადოებრივმა პალატამ, საკმაოდ გავლენიანმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, საერთოდაც საგანგებო სხდომა მიუძღვნა მუჰაჯირების შთამომავალთა „ისტორიულ სამშობლოში“ დაბრუნების საკითხს. სხდომას ე.წ. აფხაზეთის პარლამენტის თურქეთის მოქალაქე წევრებთან ერთად ბალაფშიც ესწრებოდა. საზოგადოებრივმა პალატამ მიიღო რეკომენდაციები აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტისადმი, შეიქმნას რეპატრიანტთა დაბრუნების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მათთვის აფხაზეთის რაიონებში მინის ხელუხლებელი ფონდიდან ნაკვეთების გამოყოფასაც ითვალისწინებს.

ამასთანავე, ცნობილია, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი 2007 წელს საიდუმლოდ შეხვდა ადიღეელ, ყარაჩო-ჩერქეზ, ყაბარდო-ბალყარელ ნაციონალ ლიდერებს და მოილაპარაკეს, რომ ააშენონ პირადაპირი გზა ფსხუს უღელტეხილის გავლით, „რათა ყველა ძმას ჰქონდეს თავისუფალი გასასვლელი ზღვაზე და შეიძლოს აფხაზეთის მეშვეობით კავშირის დამყარება საკუთარ დიასპორებთან“ (პანთურქიზმის იდეა). არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ თუ აფხაზეთში 2004 წელს მხოლოდ ერთი მუსლიმანური სალოცავი (ჯამე) იყო, 2006 წელს 6 გახდა. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, არსებობს სოხუმში დიდი მეჩეთის მშენებლობის გადანყვებილებაც.

– თქვენი აზრით, რატომ უყრუებს ამ რეალობას რუსეთი? ეს პრობლემა საშიშად არ მიაჩნია თუ თურქეთთან ურთიერთობების



**გამწვავებას ერიდება? ამ გარემოების კონკრეტულ გამოძახილად ხომ არ უნდა მივიჩნიოთ ის ინფორმაცია, რომ რუსეთი, რკინიგზის აღდგენისა და მისი ექსპლუატაციის საბაზით, აფხაზეთში 50 ათასამდე რუსი ეროვნების მუშახელის ჩამოსახლებას აპირებს?**

– დღეს თუ ხვალ რუსეთი აფხაზებს ამ გაუაზრებელ თუ გააზრებულ ორმაგ თამაშს არ აპატიებს და უნდა ვივარაუდოდ, რომ კიდევ უფრო სასტიკად დასჯის. ახლა სხვა დროა და, ალბათ, აფხაზეთიდან არ გაასახლებს, მაგრამ საბოლოოდ მიიერთებს და გააქრობს.

აფხაზეთის წინაშე მდგარი რეალური საფრთხეები კი დღეს ასე გამოიყურება: თუ საქართველოსთან აფხაზური მხარის სამხედრო დაპირისპირება მოხდა, ეს აფხაზების სრული განადგურებით დასრულდება; აფხაზებს უამისოდაც ემუქრებათ გაქრობა რუსეთთან ასიმილაციის გზით, ბოლო დროს განსაკუთრებით გამოიკვეთა ეკოლოგიური საფრთხეც, რაც აფხაზეთში ხე-ტყის ინტენსიური ქრითა და სოჭის ოლიმპიადის ახალმშენებლობებისათვის ზღვისპირეთიდან ინერტული მასალების ამოღებით გამოიხატება. უნდა ითქვას, რომ თვით ყველაზე მტაცებლური საბჭოთა სახალხო მეურნეობის გეგმაც არ ითვალისწინებდა ამგვარ რამეს, თვით კომუნისტებმაც კი აკრძალეს ხე-ტყის ჭრა და ადგილობრივი სამშენებლო ნედლეულის ათვისება აფხაზეთის უნიკალურ მიდამოებში. ერთი სიტყვით, აფხაზები ყოველმხრივ საფრთხეს უქმნიან საკუთარ არსებობას, მათი მიწების უმეტესი წილიც უკვე სხვა ეთნოსის ხელშია.

აქვე ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ განსაკუთრებით საგანგაშოა ის ეკოლოგიური საფრთხეები, რომელიც რეალურად ემუქრება არა მარტო აფხაზეთს, არამედ მთლიანად შავი ზღვის სანაპიროს. რუსეთის ხელისუფლებამ გაითვალისწინა საკუთარი და საერთაშორისო ეკოლოგ-მეცნიერების რეკომენდაცია სოჭის 2014 წლის ოლიმპიადის სპორტული ობიექტების მშენებლობის მიმართ და სამი უდიდესი მშენებარე ობიექტის სხვა უსაფრთხო ადგილას გადატანას დათანხმდა. ამასთანავე, ოლიმპიური ობიექტის მშენებლობების ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის და „სოჭის მიმდებარე, მსოფლიოში უნიკალური, ხელუხლებელი ტერიტორიის დაცვის“ მოტივით 500 მლნ. რუსული რუბლი (20 მლნ. დოლარზე მეტი) გამოუყო.

ამავდროულად, უფრო მეტად მნიშვნელოვანი და უნიკალური

აფხაზეთის ტერიტორიაზე (ბიჭვინთა-მიუსერას ნაკრძალი, რიწის ტბის ნაკრძალი, კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი ქაობები და სხვა), მის მთელ სანაპირო ზოლში, ზღვასთან უკლებლივ ყველა მნიშვნელოვანი მდინარის შესართავთან – დანყებული მდ. ბზიფთი, გუმისთა, კელასური, კოდორი, მოქვი, დალიძგა, ოქუმი, ენგურის კალაპოტი ვიდრე განმუხურამდე – ინერტული მასალების (35 მლნ. ტონა) მოპოვებას ანარმოებს, რაც ნამდვილი ბარბაროსობაა. თავად რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვ.პუტინი კი სოკი-ს საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარესთან ჟან-კლოდ კილთან ერთად 3 ივლისს სოჭში გამართულ ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე სწორედ რომ სოჭის რეგიონის ეკოლოგიურ პრობლემებს იხილავდა. რუსეთი საკუთარ ტერიტორიას იცავს და აფხაზეთს ანადგურებს. ვერაფერს იტყვი, მართლაც რომ „მეგობარი“ ქვეყნის „მეგობრული“ შესტია!

ჩვენ კი სასწრაფოდ უნდა მივმართოთ იმავე სოკ-ს, იუნესკო-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის კომიტეტს და გაერო-ს გარემოს დაცვის პროგრამების ხელმძღვანელობას, საერთაშორისო ორგანიზაცია „გრინპისს“, ველური ბუნების საერთაშორისო ფონდს, შავი ზღვის აუზის ქვეყნების მთავრობებს და ვაცნობოთ აფხაზეთში მიმდინარე ეკოლოგიური ბარბაროსობის თაობაზე! ეს სკანდალი მთელი მსოფლიოსთვის უფრო სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ვიდრე თვით რუსეთის მიერ ინიცირებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები. ეს ფაქტი მძიმედ დაარტყამს არა მარტო რუსეთის ხელისუფლების საერთაშორისო იმიჯს, არამედ არანაკლებ იმოქმედებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრესტიჟზე – ეს კი უკვე გლობალური ხასიათის სკანდალია და მსოფლიო თანამეგობრობა ამას არ შეეგუება. ეს ჩვენთვის უპირველესი რიგის ამოცანაა, ამ შემთხვევაში დრო ნამდვილად არ ითმენს!

## ენგურჰანი – პოლიტიკონომიკური თამაშების „პოლიგონი“

რუსეთი, პოსტსაბჭოთა ქვეყნების დარად, თანდათან ევროპისთვის ენერგოსაფრთხობელად იქცა, რომელიც თავის ენერგორესურსებს მათზე პოლიტიკური ზემოქმედების ბერკეტად იყენებს. ძნელი დასაჯერებელია, რუსეთს იგივე მიზანი არ ამოძრავებდეს ქართული ენერგეტიკის ფლაგმანის – ენგურჰანის (რომლის მიერ წარმოებული ელექტროენერჯის 60 პროცენტს საქართველო, 40 პროცენტს კი აფხაზეთი მოიხმარს) მიმართაც და ამიტომაც არ ისწრაფვოდეს მისი მართვის სადავეების ხელში ჩასაგდებად.

როგორც ზურაბ ჯგუბურია, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებთა ელჩი აცხადებს: „ნებისმიერი მასშტაბური ეკონომიკური პროექტის განხორციელება ისეთ მტრულად განწყობილ ქვეყანასთან, როგორც არის რუსეთი, საბოლოოდ მაინც პოლიტიკურ ხასიათს შეიძენს. თუკი ჩვენ ჩრდილოელი მეზობლის მიმართ აშკარად ვაფიქსირებთ მის მტრულ დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ და შესაბამისი ფაქტებით საქვეყნოდ ვამხელთ მას, რატომ ვივინყებთ ამ რეალობას ენგურჰანთან, საქართველოსთვის ამ სტრატეგიული ობიექტთან მიმართებაში?“

ამდენად, ცხადია, რუსეთი უპირველესად სწორედ მისი მოპოვებისკენ ისწრაფვის რუსეთის ენერგოკომპანია „ინტერ რაოს“ სახელით, რომელსაც საქართველოში ეკუთვნის ელექტროგამანაწილებელი კომპანია „თელასის“ აქციათა 75 პროცენტი, თბილისის თბოსადგურის მე-9 და მე-10 ენერგობლოკები და მართავს ხრამჰეს I-სა და ხრამჰეს-II-ს. რუსეთის ძირითადი სამიზნე რომ ამ შემთხვევაში კაშხალი უნდა იყოს, ამაზე თვით აფხაზურმა მხარემ მიგვანიშნა, როცა აფხაზური ენერგოკომპანია „ჩერნომორენ-ერგოს“ დირექტორმა რეზო ზანთარიამ განაცხადა: „ჩვენ მხარეს არსებულ აგრეგატებს სამართავად არავის გადავცემთ, კაშხალი კი ნყალთან ერთად საქართველოს ხელისუფლებამ იმას გადასცეს, ვისაც მოესურვებაო.“

„აფხაზურმა პროტესტმა“ უნებლიედ გამახსენა ის ფაქტი, როცა

აფხაზურმა მხარემ ერთხელ უკვე ჩაშალა ენგურჰესის ექსპლუატაციაში რუსეთის აქტიურად ჩართვის მცდელობა.... ჩემს არქივში ინახება 2003 წლის 16 მაისით დათარიღებული, მოსკოვში შედგენილი „პროტოკოლი“, რომელიც ითვალისწინებდა ენგურჰესის, ვარდნილჰესი-1-ის, სოხუმჰესის, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაციისა და ენგურჰესის 25 წლით ერთობლივ ექსპლუატაციას.

მაშინ ეს ოქმი მოსკოვიდან ჩამოიტანეს რუსეთის ენერგოელიტის ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობმა სახეებმა – „რაო ეესის“ თავმჯდომარის მოადგილემ ანდრეი რაპოპორტმა, „ინტერ რაოს“ გენერალურმა დირექტორმა ევგენი დოდმა და სხვ. ქართულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა დავით მირცხულავა, საქართველოს ენერგეტიკის მაშინდელი მინისტრი, აფხაზურს კი – სერგეი ბალაფში, „ჩერნომორენერგოს“ მაშინდელი გენერალური დირექტორი.

განსხვავებით რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელი მემორანდუმისა, რომელიც მომავალი შეთანხმების წინაპირობად ცხადდება, მაშინ ოქმი შემუშავებული იყო და მხარეების ხელმოწერა აკლდა. დელეგაციის მიერ ენგურჰესის ობიექტების დათვალიერების შემდეგ ოფიციალურმა სოხუმმა ოქმის ხელმოწერაზე უარი თქვა, ანუ „ოკეანეში დახრჩობის“ გაუმხელელი შიში გაამჟღავნა და თავისი ბუტაფორიული დამოკიდებულებების ერთადერთ „გარანტს“ – ენგურჰესს გაუფრთხილდა. ისე მოიქცა, როგორც ნამდვილი სახელმწიფო მოიქცეოდა, რომლისთვისაც ენერგეტიკული დამოუკიდებლობა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავდაცვისუნარიანობის განმსაზღვრელია.

განზილებული რუსი ენერგეტიკოსები სოხუმიდან თბილისში ჩამოფრინდნენ პრეზიდენტ შევარდნაძესთან მოსათათბირებლად. ოქმის ხელმოსაწერად მომზადების პერიოდი ხომ ხანგრძლივი და დაძაბული იყო. მას წინ უძლოდა რუსეთის პრეზიდენტ პუტინსა და საქართველოს პრეზიდენტ შევარდნაძეს შორის გამართული 2003 წლის 2 მარტის სოჭის შეხვედრა, რომლის დეტალების მოგვიანებით გახმიანების შემდეგ ითქვა, რომ საუბარი ენგურჰესის აღდგენასა და გაზის და ელექტროენერჯის აფხაზეთის გავლით თურქეთის რესპუბლიკაში ტრანზიტსაც შეეხებოდა. გარდა ამისა, ასლან აბაშიძის, როგორც საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის სოხუმსა და თბილისს შორის კონფლიქტის მონესრიგების საკითხებში, გახმაურებულ წერილში შევარდ-

ნაძისადმი სწორედ ეს საკითხები ფიგურირებდა აფხაზეთისთვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნასა და აფხაზეთში სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო სატრანსპორტო კომუნიკაციების გახსნასთან ერთად. ასლან აბაშიძე კი, გასაგებია, ვის დაკვეთსაც ასრულებდა. ყოველივე ეს მიანიშნებს, როგორ მიზანმიმართულად მუშაობდა რუსეთი ენგურჰესთან მიმართებაში.

მასზე – თავის დროზე საბჭოეთის დამკვერელურ მშენებლობად გამოცხადებული ელექტროსადგურის აღმშენებელზე – უკეთ ვინ უწყის მისი მნიშვნელობა მთლიანად კავკასიის რეგიონში. შესაბამისად, რუსული ტანკები და რუსი ჯარისკაცები აფხაზეთის ოკუპირების პირველივე დღეებიდანვე გაძლიერებულად იცავენ მას (ამიტომაც ღმისლისმომგვრელიც კია, როცა ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი აცხადებს, რომ რუსეთმა თითქოს ახლა ჩააყენა ენგურჰესზე რუსული ტანკები).

ერთი სიტყვით, 2003 წელს აფხაზურმა მხარემ ენგურჰესის ერთობლივ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული შეთანხმება ჩაშალა, მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმების ერთ-ერთი მხარე თავადაც იქნებოდა. აქვე აუცილებლად მიმაჩნია ერთი ეპიზოდის გახსენება: მაშინ „დილის გაზეთში“ გამოქვეყნებული ოქმით განპირობებული ჩემი წერილების – „საით მიდის ენგურჰესი და მასთან ერთად საქართველო“, „ჩუბაისმა ენერგოდესანტი საქართველოში ჯერ კიდევ მაისში გადმოსხა“ და „ქართველი ბჭობდა და რუსი იცინოდაო“ – პასუხად ენერგეტიკის მაშინდელმა მინისტრმა დავით მირცხულავამ განრისხებულმა დამირეკა. მისი თქმით, თურმე რუსეთს, ჩემი წერილების გამო(!), ენგურჰესიდან ელექტროენერჯის შესყიდვის თაობაზე ძლივს მიღწეული შეთანხმება ჩაუშლია.

დიალოგი საინტერესო იყო, განსაკუთრებით – დღევანდელი გადასახედიდან, მაგრამ ერთ საგაზეთო, ისედაც ვრცელ წერილში მისი გადმოცემისგან თავს ვიკავებთ. მირცხულავას ამგვარ დაინტერესებას კი **ზურაბ ჯგუბურია** ასე ხსნის: „აფხაზეთიდან ჩვენი გამოძევების პერიოდისათვის გუდაუთის რეგიონი ელექტროენერჯით ყოფილი „კრასნოდარენერგოდან“ მარაგდებოდა, სოხუმს აქეთა აფხაზეთი კი – ენგურჰესიდან. სწორედ მირცხულავას დროს „მოხერხდა“ ენგურჰესის მიერთება „კრასნოდარენერგოსთან“. ამიტომაც 2003 წლის მაისის მოსკოვის „პროტოკოლი“ ამ რეალობის იურიდიულად გაფორმებასაც ითვალისწინებდა“.

საინტერესოა, რომ აფხაზურ მხარეს ენგურჰესთან მიმართებაში

პოზიცია რუსეთის მიერ „აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების“ შემდეგაც არ შეუცვლია. მართალია, აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ზალაფში რამდენიმე თვის წინათ აქტიურად ლაპარაკობდა „ენგურჰესის“ რუსეთისთვის მიყიდვის თუ გადაცემის თაობაზე, მაგრამ ამჯერად განაცხადა: ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა შეიძლება, მაგრამ აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ენგურჰესის ყველა ობიექტი აფხაზეთის სახელმწიფოს საკუთრებაა და მას მხოლოდ ის განკარგავსო. იგივე აზრი გამოხატა მან საგანგებოდ ამ საკითხის გამო სოხუმში ჩამოსული „ინტერ რაოს“ მეთაურთან ევგენი დოდთან შეხვედრის შემდეგ და ენგურჰესს აფხაზეთის ენერგეტიკული უსაფრთხოების გარანტი უწოდა. კიდევ უფრო საგულისხმოა სერგეი შამბას, აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება: „ენგურჰესი ერთადერთია, რაც ქართველებთან საერთო დაგვრჩა და ყველენაირად უნდა ვეცადოთ, ბოლო შანსი ხელიდან არ გავუშვათ“. ვინ იცის, რა ბოლო შანსს გულისხმობს შამბა და უნდა ვეძებოთ თუ არა მასში ჩვენთვის სასურველი ტენდენციები. აფხაზური უკმაყოფილების მიზეზი შესაძლოა ისიც იყოს, რომ „აფხაზების ზურგს უკან“ ქართველებთან შეთანხმების მცდელობა „აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე“ რუსეთის დამოკიდებულების დასტურიცაა. რაც შეეხება ენგურჰესის შეპირებულ მოდერნიზებას, მისი მიწისქვეშა დარბაზი უკვე შეკეთებულია და ჩვენ წილობრივ გადასახადს ვიხდითო, თითქოს ჩვენი სათქმელი თქვეს აფხაზებმა.

აფხაზური პრესა ოფიციალური სოხუმის ამგვარ პოზიციას საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოების კონტექსტში განიხილავს: წინასაარჩევნო პერიოდში ენგურჰესის არც გაყიდვა და არც სხვისთვის მართვის უფლებით გადაცემა ხალხის თვალში მომგებიანი არ იქნებაო. განსაკუთრებით საყურადღებოა აფხაზი ხალხის განწყობის გამომხატველი ეს შეფასება. გარდა ამისა, ერთი ფაქტია, რატომ უნდა უნდოდეს აფხაზურ მხარეს, რომ მის მიერ ენგურჰესიდან მიღებული ელექტროენერჯის საფასური რუსეთმა გადაუხადოს და ამით მასზე კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული გახდეს? შესაბამისად, რატომ უნდა გააჩეროს აფხაზურმა მხარემ ენგურჰესი, რისი შიშიც ჩვენ მხარეს გამოითქვა, და გახდეს დამოკიდებული რუსეთზე, რომელიც ძნელი დასაჯერებელია, რომ მას ელექტროენერჯიას იაფად და მით უმეტეს, უფასოდ მიანვდის? სხვათა შორის, **ელექტროენერჯის ტარიფის შესაძლო გაძვირებასა**

## და მის, სავარაუდოდ „სოჭის ტარიფთან“ გატოლებაზე ალაპარაკდა აფხაზური პრესაც.

ცოტა ხნით ადრე ტარიფის საკითხს საქართველოს სინამდვილეში შეეხო **ზურაბ ჯგუბურია**. მისი თქმით, „ჰიდროენერგეტიკა ენერჯის განახლებადი წყაროების კლასს მიეკუთვნება. შესაბამისად, ის ყველაზე იაფი და მაღალრენტაბელურია და საერთაშორისო პრაქტიკაში ამ ტიპის ენერგოსანარმოების ანუ ჰესების გასხვისება მიღებული არ არის. ჰესების მიერ გამომუშავებული ენერჯია, მზის ენერჯის შემდეგ, ყველაზე იაფია. სწორედ მისი დაბალი თვითღირებულების ხარჯზე ხდება მოსახლეობისათვის მიწოდებული მრავალკომპონენტური ენერჯის (ჰიდრო, გაზის, ქვანახშირის, ქარის) ტარიფების დარეგულირება ანუ მაღალგანაკვეთიანი (სითბური და ქარის) ელექტროენერჯის ფასის დარეგულირება. საინტერესოა, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ჩვენს სატარიფო პოლიტიკაში ენგურჰესის – საქართველოში ყველაზე მძლავრი ჰიდროენერჯის წყაროს – შესაძლო გასხვისებას (მართალია, ამ ეტაპზე მხოლოდ მის ერთიან მართვაზეა ლაპარაკი, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის საბოლოოდ, რას უმიზნებს რუსეთი?) ან რის საფუძველზე შეიძლება არეგულიროს ჩვენმა სახელმწიფომ ქვეყანაში არსებული ისედაც ფაქტობრივად ევროპული ანუ მსოფლიოში ერთადერთი უმაღლესი ელექტროტარიფი? შესაძლოა, დროის გარკვეულ მონაკვეთში ეს საკითხი ხელოვნურად დაკონსერვდეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც იჩენს თავს, თუ არადა, ვინ იქნება ამაზე პასუხისმგებელი?“

რაც შეეხება აფხაზური მხარის „სოჭის ტარიფით“ შემფოთებას, **ზურაბ ჯგუბურიასავე** თქმით: „სოჭის ტარიფი განსაკუთრებით ძვირი იმიტომაც არის, რომ „დიდი სოჭის რაიონი“ ენერგოდეფიციტით არის ცნობილი. რუსეთის ამ ბოლო დროს ენგურჰესით განსაკუთრებით დაინტერესების ძალის თავიც აქ არის დამარხული, კერძოდ, სოჭის ოლიმპიადა, ბუნებრივია, განსაკუთრებით დიდძალ ელექტროენერჯიას მოითხოვს, რისი უზრუნველყოფაც რუსეთს საკუთარი ენერგონწყაროებიდან ძალიან გაუჭირდება. ახალი ელექტროსადგურის აშენებისთვის კი არც ტექნიკური და არც ფინანსური საშუალება არ გააჩნია. ამ დროს ენგურჰესი „იქვეა“, მის ხელში და რუსეთი იმაზე უკეთესს რას ინატრებს, ახლაც და სამომავლოდაც, დაეუფლოს სრულად მისი მართვის პულტს. უცნაურია, როდესაც ევროპა, საქართველოს მიმართ დამპყრობლური

პოლიტიკის გამოც, რუსეთზე ზემოქმედების ბერკეტებზე (მათ შორის, ლამის სოჭის ოლიმპიადის სხვაგან გადატანაზეც) ფიქრობს, ჩვენ ვაპირებთ, ხელი შევუწყოთ მას ენერგეტიკული დეფიციტის დაძლევაში“.

აფხაზური მხარე კი კიდევ ერთხელ ეწინააღმდეგება მათ განეიტრალებას ენგურჰესზე, რაც არც ჩვენ – ქართველებს გვაძლევს ხელს, რადგან ეს გარემოება კიდევ უფრო დაგვაშორებს აფხაზებს და, შესაბამისად, აფხაზეთს. ენგურჰესი ხომ კონფლიქტის ზონაში აღმოჩნდა ერთადერთი ობიექტი, რომელთან მიმართებაში დაპირისპირებულმა ქართველებმა და აფხაზებმა არიდებული მზერა ისევ გაუსწორეს ერთმანეთს და საერთო ენის გამონახვა შესძლეს. ამიტომაც დაარქვა მერე ხალხმა ენგურჰესს ომზე გამარჯვებული ჰესი (ამაში იგულისხმება ენგურჰესის მაშინდელი დირექტორის – გიორგი მიქვასასა და მისი თანამშრომლების გმირობაც, როცა მათ სიცოცხლის რისკის ფასად არ მიატოვეს სადგური და დატბორვას გადაარჩინეს). თავად აფხაზებმა ამ დღეებში ენგურჰესის ქართველებთან ერთად მართვის ფაქტს „ჯენტლმენური“ შეთანხმების შედეგი უწოდეს.

სწორედ ამ რეალობის გათვალისწინებით **ზურაბ ჯგუბურია** ამბობს: „ჩვენი უზენაესი მიზანი – რუსეთის მიერ მოკვეთილი აფხაზეთის ქართული სახელმწიფოსკენ შემობრუნებაა. ამ თვალსაზრისითაც იყო საგულისხმო შარშან საქართველოს პრეზიდენტის მიერ გახშირებული აფხაზეთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაფუძნების იდეა, რომელიც ამგვარი ზონის შექმნას თავდაპირველად გალი-ოჩამჩირის რეგიონში გულისხმობდა. ამაში მნიშვნელოვანი ადგილი ენგურჰესს უნდა მიკუთვნებოდა. მაშ, რა შეიცვალა მას მერე არსებულ პოლიტ-ეკონომიკურ მოცემულობაში? რუსეთი, შესაძლოა, მის მიერ შემოთავაზებული „პროექტებით“ ამ ფაქტის დაშვებას, ქართველებსა და აფხაზებს შორის ნებისმიერი და მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობის ძაფების გაბმას ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ ჩვენ რატომ ვუშვებთ ხელიდან, ფაქტობრივად, ამ უკანასკნელ კოზირსაც, როცა პოსტკონფლიქტურ პერიოდში (1993-2008წწ.) ენგურჰესი იყო ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ერთადერთი შედარებით წარმატებული სფერო?“

იმ უცვლელ რეალობაში, როცა რუსეთი, ამკარად თუ შეფარვით, მისაღები თუ მიუღებელი ხერხებით გვებრძვის და ცდილობს ჩვენს დამორჩილებას, სავსებით ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ის



ენგურჰესისგან – მოსკოვის პოლიტ-ეკონომიკური თამაშების ამ „პოლიგონისგანაც“ – ეკონომიკურზე მეტად პოლიტიკურ დივიდენდებს ელის, მიუხედავად საქართველოსთან ერთიან ენერგოსისტემაში ინტეგრირების აუცილებლობისა, რაც როგორც იტყვიან „არ ახალია, ძველია“. ეს საკითხი ადრეც აქტუალური იყო და მომავალში კიდევ უფრო მეტად იქნება. „დილის გაზეთის“ 2003 წლის 4 ივნისის ნომერში ზემოთ ხსენებულ ხელმოუწერელ ოქმთან დაკავშირებით გაკეთებულ ჩემს ინტერვიუში – „ქართველი ბჭობდა, რუსი იცინოდაო“ – ინსტიტუტ „ჰიდროპროექტის“ მაშინდელი დირექტორი ანზორ ჭითანავა ამბობს: “რუსეთი ჩვენი მეზობელია და აუცილებლობა მოითხოვს ენერგეტიკულ კავშირში ვიყოთ მასთან. ამ მხრივ ჩვენ არ ვართ გამონაკლისი. აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის და სხვა ქვეყნების რეგიონული ინტერესები იკვეთება რუსეთთან. ამდენად, ჩვენ რუსეთს, როგორც ძლიერი ენერგოსისტემით ცნობილ მეზობელს, გვერდს ვერ ავუქცევთ. რუსების ამბიციები უნდა დაითრგუნოს ენერგეტიკული მონყობის პოლიტიკით. რუსეთს უნდა დავანახოთ საქართველოს ენერგეტიკული შესაძლებლობები, რომ საქართველო იქით გასცემს და რუსეთი საქართველოს ენერგეტიკის გარეშე ვერ ძღვება. ამდენად, უნდა ვისწრაფოდეთ ჩვენი წილით და რესურსით მოძებნოთ საკუთარი ადგილი ჩვენი პრობლემური მეზობლის – რუსეთის ცხოვრებაში. თუ მის დიდ ენერგოსისტემაში საქართველოს ჩართვა „ენგურჰესით“ დაიწყება, ეს იქნება ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯი.

... და აი, ვოცნებობ იმაზე, როცა გვექნება რუსეთთან ერთიან ენერგოსისტემაში ჩართული „ენგურჰესი“, „ხუდონჰესი“... რომელთა ამოვარდნაც იქიდან რუსეთის ენერგოსისტემის პარალიზებას და, შესაბამისად, რუსეთის ეკონომიკითვის დიდი ზარალის მიყენებას გამოიწვევს“.

„ოცნების უფლება ვინ წამართვაო“, - ამბობს იმ ინტერვიუში ანზორ ჭითანავა. მართლაც ვინ წაგვართვა ოცნების უფლება, მაგრამ აგვისტოს მოვლენებით კიდევ უფრო დამძიმებულ რეალობაში, როცა შუა ქართლში, ახალგორში ბოგინობს აქ შემოჭრილი, თვით ევროპის ნებას დაუმორჩილებელი რუსეთი, დადგა კი ამ ოცნების ასრულების ჟამი და გაგვიჩნდა იმის რამენაირი გარანტია, რომ ენგურჰესის მართვის უფლებას რუსეთი თანდათან საკუთრების უფლებად არ აქცევს? უფრო მეტიც, რამდენად ზუს-

ტი არის ამისთვის შერჩეული ის დრო, როცა რუსეთის მიერ შუა ზამთარში გაზის მიწოდების შეწყვეტით დაშანტაჟებული ევროპა გამოსავალს, ანუ ახალი გაზსადენის – „ნაბუკოს“ აშენების გზებს გამაღებით ეძებს?

P.S. ენგურჭესი საკავშირო დამკვერელური მშენებლობა იყო-მეთქი, ზემოთ ვახსენე. ამდენად ენგურჭესის მშენებელთა დასახლებებიც ძირითადად რუსული დასახლებები იყო. ენგურჭესის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, მშენებლების ძირითადმა ნაწილმა იქაურობა დატოვა და დასახლებები ქართულად იქცა. ამ მხრივ საფრთხე ისევე გაჩნდა, როცა 1978 წელს ენგურჭესის მიწისქვეშა დარბაზში პირველი სამი აგრეგატი ამუშავდა. თავი იჩინა უამრავმა გაუთვალისწინებელმა პრობლემამ, აგრეგატების გაშვებიდან, სულ რამდენიმე დღეში დაიწყო მათი ქუსლების, მმართველი საკისრების, გენერატორების, ჰაერის და გამობდილი წყლის მაცივებელი მილების ღორღით გაგმანვა, რაც აგრეგატების ხშირ გაჩერებას იწვევდა.

მწვავე პრობლემა დადგა კადრების საკითხში. ზემდგომი ინსტანციების მითითება იყო კავშირის მასშტაბით არსებული სხვადასხვა მოქმედი ელექტროსადგურებიდან მოენვიათ სპეციალისტები, რასაც არ დაემორჩილა ენგურჭესის იმჟამინდელი დირექტორი შოთა მაისურაძე. მან აქცენტი ადგილობრივი კადრების მომზადებაზე გააკეთა და ენგურჭესის მთავარ ინჟინერ ვახტანგ თოფურიასთან ერთად თანდათან შეძლო ენგურჭესის საექსპლუატაციო და სარემონტო კადრებით უზრუნველყოფა.

ეს ტრადიცია კიდევ უფრო განმტკიცდა ენგურჭესზე გიორგი მიქავას დირექტორობის პერიოდში. საბოლოოდ კი, ამ გონივრული საკადრო პოლიტიკით „საქართველოს ენერგეტიკამ მიიღო ყველაზე დიდი განძი – მაღალკვალიფიციური კადრები“. ენგურჭესი გახდა სხვათაგან დამოუკიდებელი, რისი შორს მიმავალი შედეგი გაცხადდა აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ. ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა ენგურჭესზე, ის რომ მაშინ ძირითადად არაქართველი კადრებით დაკომპლექტებულიყო.

## აფხაზეთის გადასარჩენად სრულიად ახალი გზებია საძიებელი

გაეროს მისიის აფხაზეთში ყოფნის თითქმის 15-წლიან „შემოთებათა“ სერიალში ჩვენთვის შემამაფოთებელი ახალი ეტაპი დაიწყო. გაერო კონფლიქტის ზონაში თავისი ყოფნის გადასარჩენად ქართული სახელმწიფოს ინტერესებს წირავს: გაეროს გენერალური მდივნის გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე წარსადგენ, ეგრეთ წოდებულ შუალედურ მოხსენებაში, რომლიდანაც გამომდინარეობს ხოლმე უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, ამ ხნის განმავლობაში პირველად „არ არის ნახსენები საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობა და არ არის მინიშნებული, რომ აფხაზეთი მისი შემადგენელი ნაწილია“.

როგორც ჩანს, რუსეთის მიერ აფხაზეთურ და ოსურ მხარეებთან ერთად საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე განხორციელებულმა დემარშებმა შედეგი გამოიღო. ამასთანავე, ნიშანდობლივია, რომ ეს ხდება სარკოზი-მედევედევის ნ-პუნქტიანი „შეთანხმების ოქმის“ შესრულება-არშესრულებასთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟის ფონზე. შესაბამისად, ახლა მაინც ბრმათათვისაც ნათელი ხდება მხოლოდ სხვათა იმედად ყოფნის პოლიტიკის ილუზორულობა და სრულიად ახალი გზებისა და მიდგომების დაუყოვნებლივ ძიების აუცილებლობა. ყოველივე ამაზე საკუთარ ხედვას გვიზიარებს **აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზურაბ ჯგუბურია**, რომელმაც მარტში, პირადი განცხადების საფუძველზე, დატოვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩის თანამდებობა.

– **ბატონო ზურაბ, საინტერესოა, რატომ დატოვეთ თანამდებობა სწორედ ამ რთულ ვითარებაში, როცა რუსეთი მთელი მსოფლიოს თვალწინ დე ფაქტოდან დე იურე იმტიციებს აფხაზეთს და, როცა უმოქმედობა, განსაკუთრებით დიპლომატიურ სამსახურში მყოფი ადამიანის მხრიდან, დანაშაულის ტოლფასია?**

– არ მინდა თავის მართლებასავით გამომივიდეს, მაგრამ სწორედ არსებული რთული ვითარების გათვალისწინებით, ჯერ კიდევ 2008 წლის ივნისიდან ვითხოვდი სამინისტროს ხელმძღვანელობისაგან, ჩემთვის კონკრეტული სამოქმედო არეალი განესაზღვრათ. კერ-

ძოდ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, განსაკუთრებით აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხზე მცირერიცხოვანი, პროფესიული გუნდის მეშვეობით აქცენტირებულად გვემუშავა. პასუხი ვერ მივიღე, თუმცა მე თვითონ ამ მიმართულებით ვაკეთებდი იმას, რაც შემიძლო. საბოლოოდ კი, როცა ამ მხრივ არაფერი შეიცვალა, სამინისტროში უმოქმედოდ ყოფნას, იქედან წამოსვლა ვარჩიე.

**– თქვენი ნათქვამი ზოგადი რომ არ მოეჩვენოს ვინმეს, კონკრეტულად, რას გულისხმობთ?**

– გარდა იმისა, რომ ჩემს მოსაზრებებს წერილობით ვაცნობდი ხელმძღვანელობას, პრესაშიც ვაქვეყნებდი შესაბამისი შინაარსის ანალიტიკურ სტატიებს („აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო თუ რუსეთის გუბერნიის ნაწილი“, „იყოფა თუ არა აფხაზეთი გავლენის სფეროებად“, „რუსეთი აფხაზეტსა და ქართველებს შორის ბუფერულ ანკლავს ქმნის“ ა.შ).

2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში საკუთარი ინიციატივით, შვებულების ხარჯზე, ვიმყოფებოდი ფოთსა და ზუგდიდში, საიდანაც ტელეფონით თუ ელ-ფოსტით ვატყობინებდი სამინისტროს ხელმძღვანელობას რუსეთის აგრესიის შედეგად საერთაშორისო კონვენციის, საერთაშორისო და ორმხრივი ხელშეკრულებების დარღვევის კონკრეტულ ფაქტებს.

ასევე, პირადი ინიციატივით, შარშან, სექტემბრის დასაწყისში გავაცანი რუსული აგრესიის დამადასტურებელი დოკუმენტები სარკოზი-მედვედევის ნ-პუნქტიანი სამშვიდობო გეგმის შესრულების მიმდინარეობა და საგარეო საქმეთა საინისტროს ხედვები ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს და კრინიცას (პოლონეთი) საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის მონაწილეებს.

ამასთანავე, არსებული ვითარების ანალიზის საფუძველზე სამინისტროს წინა და ამჟამინდელ ხელმძღვანელობას ვანვდიდი მასალებს „საქართველოს სახელმწიფოს მიმართ, ეგრეთ წოდებული, აფხაზეთის რესპუბლიკის მხრიდან გამომდინარე საფრთხეებისა და გამონწვევების და მათი შესაძლო განეიტრალების გზებზე“.

არც ერთი ჩემი თხოვნა თუ წინადადება, მიუხედავად წინასწარი მოწონებისა, არ იქნა ოფიციალურად გათვალისწინებული, რაც, სამწუხაროდ, ჩემ მიერ დასმული საკითხების „არააქტუალურობით“, მათდამი არაპროფესიული მიდგომითაც შეიძლება აიხსნას.

აქედან გამომდინარე, ამ პირობებში ჩემთვის პრინციპულად მიუღებელი იყო მაღალ დიპლომატიურ თანამდებობაზე, რეალურად სრულ უმოქმედობაში, ფორმალურად ყოფნა და გადავდექი.

**– როგორ ფიქრობთ, რას შეცვლიდა თქვენი წინადადებების გათვალისწინება და რას მოიაზრებდა „საფრთხეებისა და გამონწვევების შესაძლო განეიტრალების“ თქვენეული გზები?**

– ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენიმე კონკრეტული მიმართულებით გააქტიურებას ვთავაზობდი. ამჯერად მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდები. ზემოთ ხსენებულ ინფორმაციაში ცალ-ცალკე იყო ჩამოთვლილი სამხედრო-პოლიტიკური, ჰუმანიტარული, დემოგრაფიული, ეკონომიკური და ა.შ. საფრთხეები და მათი შესაძლო განეიტრალების გზები. სამხედრო-პოლიტიკურ საფრთხეში ვგულისხმობდი რუსეთის საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ჯარების აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე განთავსებას, გალის რაიონის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გამაგრებულ რაიონად გადაქცევას, რასაც თავის მხრივ მოჰყვება ჰუმანიტარული საფრთხე: ძირითადად გალის რაიონში და, საერთოდ, მთელ აფხაზეთში დარჩენილი ქართული მოსახლეობის თავდაპირველად ძალით გააფხაზება, საბოლოოდ კი გარუსება. ჩვენი წინადადებები შარშან, სექტემბერ-ნოემბერში წინასწარი ექსპერტიზისათვის გავაცანით მომავალი ევროპრეზიდენტი ქვეყნის-ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებების მიმღებ წარმომადგენლებს. შემუშავებულ იქნა შესაბამისი საერთაშორისო მხარდაჭერის აქტივიზაციის პროექტი, მაგრამ ჩემთვის გაურკვეველი მიზეზით ეს წინადადებები ჩეხურ მხარეს ოფიციალურად არ გადაეცა.

რუსეთი სარკოზი-მედვედევის „შეთანხმების ოქმის“ ვითომ-შესრულების პარალელურად, აქტიურად შეუდგა ამ ოქმის სამშვიდობო სულისკვეთების საპირისპიროდ მოქმედებას. ამის დასტური იყო 2008 წლის 17 სექტემბრის რუსეთის ფედერაციასა და „აფხაზეთის რესპუბლიკას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“, რომელიც გულისხმობს აფხაზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციული საზღვრის რუსეთ-საქართველოს „სახელმწიფო საზღვრად“ გადაქცევას და მის გაკონტროლებას რუსულ-აფხაზურ სასაზღვრო ნაწილებით. ამას ერთვის იქ მცხოვრები ქართველების ძალით პასპორტიზაცია, ანუ მათთვის აფხაზური (ან რუსული) პასპორტების დარიგება. 2008 წლის 17 სექტემბრის ხელშეკრულე-

ბაში ორმაგი მოქალაქეობისა და მათი ინტერესების დაცვის შესახებ (მე-7,8,9,10,11-ე მუხლები) ჩადებული დებულებები კი საშუალებას მისცემს რუსულ მხარეს, მოახდინოს ქართულენოვანი მოსახლეობის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (ანუ აფხაზეთიდან სამეგრელოსკენ და ა.შ) გადაადგილების მკაცრი რეგლამენტირება. ამ ქმედებით ქართულ მხარეს აიძულებენ:

– ან პირდაპირ უარი თქვას საკუთარი, მაგრამ ძალით „გააფხაზეთული“ მოსახლეობის თავისუფალ გადაადგილებაზე საკუთარ სამშობლოში;

– ან აფხაზურ-რუსული კანონმდებლობის საფუძველზე აფხაზეთის დე ფაქტო ტერიტორიაზე მცხოვრები საკუთარი მოქალაქეები ჩათვალოს უცხო ქვეყნის მოქალაქეებად და გახსნას სასაზღვრო-საკონტროლო გამშვები პუნქტი მდ. ენგურზე, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავს სახელმწიფო საზღვრის აღიარებას, აქედან გამომდინარე ყველა ნეგატიური შედეგით.

ამ მეტად საშიში და შორს მიმავალი გეგმის რეალური ალტერნატივა იქნებოდა ჩვენი აქტიური და კატეგორიული მოთხოვნა საერთაშორისო ინსტიტუტებისა და შუამავლებისადმი, „დაეცვათ ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი უფლება – მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების უფლება. განხილვის თემად შეიძლება ქცეულიყო გალის რაიონის ქართულენოვანი მოსახლეობის ადმინისტრაციულ საზღვარზე თავისუფალი გადაადგილებისათვის საჭირო საერთაშორისო სტანდარტის დოკუმენტების („ლესე-პასე“-ს ანალოგიური) შემუშავება და დარიგება. ამ წინადადების ლეგალიზაციის დროს შეიძლებოდა გვესარგებლა რეგიონში გაეროს მისიის (UNOMIG) საქმიანობის გამოცდილებით და მისი რესურსებით, გვეცადა მისთვის განახლებული დატვირთვის მინიჭება.

გარდა ამისა, უნდა გვებრძოლა კოსოვოს ერთი პრეცედენტის გამეორებაზე. მართალია, კოსოვოს დამოუკიდებლობა 57-მა ქვეყანამ აღიარა, მაგრამ სერბეთმა დიპლომატიური დემარშებით მიაღწია იმას, რომ საერთაშორისო კონტროლქვეშ დარჩენილიყო კოსოვოს სუფთა სერბული ანკლავი მიტროვიცა-მეტონია, სადაც არ ვრცელდება არც კოსოვოს და არც სერბეთის იურიდიქცია. ფაქტობრივად, ის არის საერთაშორისო პროტექტორატის ქვეშ და მისი განსაკუთრებული სტატუსი მომავალში განხილვას ექვემდებარება. სერბეთთან ამ საკითხზე ქართულ მხარეს არც ერთი კონსულტაცია არ ჩაუტარებია, ანუ მთლიანი გალის რაიონის და, შეს-

აბამისად დღევანდელი აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ბედზე თავი დიდად არც შეგვიწუხებია, ბოლომდე არ ვიბრძოლეთ გალის რაიონის გადასარჩენად(!). თუმცა, მჯერა, საბოლოოდ მაინც გალმა უნდა გადაწყვიტოს, როგორც მთლიანად აფხაზეთის, ისე აფხაზი ეთნოსის ბედი.

**– მიუხედავად იმისა, ვალიარებთ თუ არა, დღეს ჩვენ დიპლომატიურ ომსაც ვაგებთ. მონინალმდევე პოლიტიკური დემარშებით გვიგებს, იმას აკეთებს, რასაც ჩვენ – ტერიტორიებწართმეული ქვეყანა უნდა ვაკეთებდეთ.**

– უპირველესად აღვნიშნავ იმას, რაც ისტორიას არ ახსოვს: ბოლო 5 წელიწადში საქართველოში 5 საგარეო საქმეთა მინისტრი და ხელმძღვანელობა გამოიცვალა. კარიერული დიპლომატები მოიშორეს და ახალი კადრების მიღების მთავარ კრიტერიუმად ინგლისური ენის და არა საკითხის ცოდნა აქციეს. ამასთანავე, ახალგაზრდული შემართება კარგია სპორტში და არა დიპლომატიკაში, რომელიც ზოგადად ერთ-ერთი ყველაზე ინერციული და გარკვეულად კონსერვატიული დარგია.

ამგვარი მიდგომის შედეგია ის, რომ ამა თუ იმ (წესითა და რიგით) მნიშვნელოვანი დოკუმენტის გაანალიზება ხდება არა მის ხელმოწერამდე, არამედ ხელმოწერის შემდეგ. ამ ტენდენციის გამონათულებაა ირაკლი ალასანიას გაეროში საქართველოს წარმომადგენლის – გაერო-ს „სამზარეულოში“ და კონფლიქტების საქმეში უკვე კარგად გარკვეული პროფესიონალის ხედვების და მოსაზრებების იგნორირება და შედეგად მისი პოლიტიკურ, ოპოზიციურ ლიდერად ჩამოყალიბება.

სამწუხაროა, რომ ერთ პოლიტიკურ ჯგუფს (და არა პარტიას) – ყოფილ არასამთავრობო ორგანიზაციიდან გამოსულ ხალხს მიჰყავს საგარეო პოლიტიკა, როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დონეზე. მათ მანამდე არანაირი შეხება არ ჰქონიათ დიპლომატიურ საქმიანობასთან, საერთაშორისო ურთიერთობების არანაირი გამოცდილება არა აქვთ და შედეგიც შესაბამისი გვაქვს.

2004 წლიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკის ვექტორი მთლიანად იქნა მიმართული მხოლოდ ამერიკისკენ. ხდებოდა საგარეო პოლიტიკის სრული „ამერიკანიზაცია“, რის ხარჯზეც დასავლეთეუროპელი უდიდესი მოთამაშეები ჩვენი მხრიდან ნაწილობრივ უგულვებლყოფილნი აღმოჩნდნენ. ვერ გავითვალ-

ისწინეთ ტრადიციული ევროპისა და იმდროინდელი ამერიკის ადმინისტრაციის დაძაბული ურთიერთობა, რაშიც გარკვეული როლი „რუსულმა ხელმაც“ ითამაშა. ამასთანავე, ძალიან დიდი იყო ქართული სახელმწიფოს მიერ ევროპის, ეგრეთ წოდებული, ახალი დემოკრატიის ქვეყნების – პოლონეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის მხარდაჭერით გამოიმწვევად აპელირება, რაც გარკვეულნილ აღიზიანებდა კიდევ „ტრადიციულ ევროპას“ – გერმანიას, საფრანგეთს, იტალიას, ესპანეთს, ბენელუქსის ქვეყნებს (ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი). ეს ფარული ანტაგონიზმი ჩვენსა და ტრადიციულ ევროპას შორის ხშირად ჩვენი მხრიდან ცუდად შენიღბული დემარშებითაც გამოიხატებოდა, რაც იმ ქვეყნებში ჩვენ მიერ არაკვალიფიციური, გამოუცდელი დიპლომატიური წარმომადგენლების გაგზავნით ან დასავლეთელი პარტნიორებისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებში ჩვენი მონაწილეობის დაკნინებით დასტურდებოდა. მაგალითად, ფრანკოფონიის მსოფლიო ასამბლეებზე ვაგზავნიდით არაპროფესიონალებს და, რაც უნდა საკვირველი იყოს, ფრანგული ენის არმცოდნეებს(!).

– **სარკოზი-მედვედევის „შეთანხმების ოქმის“ შესრულება-არშესრულება აგვისტოს მოვლენების შემდეგ უკიდურესად დაძაბული ვითარების განმუხტვის თითქმის ერთადერთ შესაძლებლობად გამოცხადდა. თქვენი აზრით, რამდენად ასახავს ეს მიდგომა რეალობას და სინამდვილეში რას გულისხმობს შეთანხმების ეს ოქმი?**

– უპირველესად, მინდა გითხრათ, რომ ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება არის ლამის მათემატიკური სიზუსტის, მეცნიერულ ენაზე შედგენილი დოკუმენტი და ის არასოდეს იძლევა თავისუფალი ინტერპრეტირების შესაძლებლობას. 2008 წლის 12 აგვისტოს სარკოზი-მედვედევის 6 პუნქტიანი შეთანხმების ოქმი ფორსმაჟორულ სიტუაციაში შედგენილი მცირე მოცულობის, სპეციფიკური დიპლომატიური ტერმინების შემცველი დოკუმენტია. ეს „შეთანხმების ოქმი“, როგორც მას სიტყვა-სიტყვით ჰქვია, ექვსი პუნქტისგან შედგება და მთავარი დატვირთვის მატარებელია მისი მე-5 და მე-6 პუნქტები.

ყველაზე მნიშვნელოვანი და დასკვნითი ხასიათის არის მე-6 პუნქტი, რომელიც წარმოადგენს შენევის შეხვედრის საფუძველს. ამ პუნქტში ნათქვამია, „გაიხსნას საერთაშორისო დისკუსია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების შესახებ“. როგორც ფრანგული და სხვა ევროპული წყაროები



არაოფიციალურად აღნიშნავენ, სწორედ ქართული მხარის ინიციატივით შეიცვალა მე-ნ პუნქტის თავდაპირველი ფორმულირება, რომელიც ასე გამოიყურებოდა: „დაიწყოს საერთაშორისო დისკუსია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივ სტატუსზე“. როგორც დრომ ცხადყო, ჩვენთვის ბევრად უფრო მომგებიანი იქნებოდა ეს ფორმულირება. ჯერ ერთი, დისკუსიის საგანი იქნებოდა „აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი სტატუსი“, რაც რუსეთს საშუალებას არ მისცემდა, ცალმხრივად ელიარებინა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რადგან თავად რუსეთი იქნებოდა „შეთანხმების ოქმის“ დაცვის ერთ-ერთი გარანტი და ის ამ საკითხზე უშუალოდ აგებდა პასუხს ევროკავშირთან, ასევე, მეორე გარანტორ მხარესთან.

აქედან გამომდინარე, რუსეთი ვერ დადებდა სამხედრო ხასიათის სახელმწიფო ხელშეკრულებებს „დამოუკიდებელ“ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, რაც მისი შეიარაღებული ძალების ამ ტერიტორიაზე „ლეგალურად“ ყოფნას თავიდან აგვაცილებდა. გამომდინარე აქედან, რუსეთი ვერ შექმნიდა სამხედრო ბაზებს ამ ტერიტორიებზე: ვერ გააფორმებდა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან საზღვრების „ერთობლივი გაკონტროლების“ ხელშეკრულებებს და საბოლოოდ, ვერ გადმოიტანდა რუსეთის სახელმწიფო საზღვარს ენგურისპირამდე და კასპამდე.

გარდა ამისა, თავის დროზე ქართული მხარის მიერ მე-ნ პუნქტის არასიღრმისეულმა შეფასებამ და ანალიზმა რუსეთს საშუალება მისცა, ფაქტობრივად, უგულებელეყო მეტად მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონე მე-5 პუნქტი, რომელიც შეიძლებოდა, რეალურად განხილულიყო, როგორც საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის საშუალება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მე-ნ პუნქტში საუბარი იქნებოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის განხილვაზე.

**– მაგრამ რუსეთს ხომ არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი დაურღვევია და ამ დოკუმენტს რატომ არ თუ ვერ დაარღვევდა?**

– სარკოზიმ მოსკოვიდან 12 აგვისტოს ღამეს ჩამოიტანა მედვედევის მიერ უკვე ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც, ვიმეორებ, ჩვენ თვითონ უარყავით. სიტყვა – სტატუსმა დააფრთხო ქართული მხარე და მივიღეთ დოკუმენტი, რომელშიც არის თითქოს ჩვენთვის სასარგებლო მე-5 პუნქტი, რომელიც გულისხმობს „აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალებ-

ის“ გაყვანას. თუმცა, სინამდვილეში, ეს პუნქტი რუსეთმა გაანეიტრალა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივი აღიარებით და მათთან ორმხრივი „სახელმწიფოთაშორისი“ ხელშეკრულებების გაფორმებით და მის მიერ შემუშავებული გეგმის პასიურ მყურებლად გვაქცია. უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, რუსეთმა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან გაიყვანა ე.წ. სამშვიდობო ძალები და აგვისტოს ომში მონაწილე სხვა შეიარაღებული ძალები, მაგრამ ზემოთ ხსენებული ხელშეკრულების თანახმად, სამხრეთ ოსეთს – მე-4, აფხაზეთში მე-7 სამხედრო ბაზები დააარსა და „სახელმწიფო საზღვრების“ ერთობლივ გაკონტროლებას შეუდგა. აღმოჩნდა, რომ დღევანდელ „აფხაზეთსა და, ეგრეთ წოდებულ, სამხრეთ ოსეთში რუსეთის ჯარები იმყოფებოდნენ „დამოუკიდებელი სახელმწიფოების“ მოთხოვნების საფუძველზე, რომელთა დენონსაცია ვერ ხერხდება მხოლოდ სარკოზი-მედევედების შეთანხმების ოქმის მეშვეობით.

ამიტომაც არის, რომ დემოკრატიული მსოფლიო კატეგორიულად მოითხოვს, გაუქმდეს რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ცალმხრივი აქტები, შედეგად აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან 2008 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული „თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების“ ხელშეკრულებები.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჟენევის სამშვიდობო კონსულტაციებმა შეიძინა ჩვენთვის წამგებიანი და რუსეთისთვის მომგებიანი პიარკამპანიის დატვირთვა. თანაც მან ხელი შეუწყო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის „ხელისუფლებების“ წარმოჩენას მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე. საერთოდაც, ჟენევის პროცესი არ ითვალისწინებს პრობლემის მოგვარებას, ის მხოლოდ კონსულტაციით არის დაკავებული და ის ევროპული ძალები, რომელთაც რეალურად შესწევდათ დახმარების ძალა, განეიტრალებულნი აღმოჩნდნენ.

**– ის, რაც ხდებოდა ჟენევაში, ნათლად აისახა პან გი მუნის მოხსენებაში, რომლითაც ის უნდა გამოვიდეს გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე. ახლა მაინც ბრმათათვისაც ცხადი ხდება სხვების იმედად ყოფნის პოლიტიკის ილუზორულობა და სრულად ახალი გზებისა და მიდგომების ძიების აუცილებლობა. თქვენი აზრით, ჩანს კი გზა?**

– არა, საბედნიეროდ, მხოლოდ ჟენევის უფუნქციო პროცესის გაგრძელებაა ის, რაც ხდება. ეს ჩვენივე არაპროფესიონალიზმის

შედევია.

საბედნიეროდ, საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრება ისეთ დინამიკაშია, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები (და განსაკუთრებით, ქართულ-აფხაზური) მომავალში შეიძლება, ძალიან საინტერესოდ განვითარდეს. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში თავიანთი საგულისხმო წინადადებებითა და ხედვებით ერთვებიან ირაკლი ალასანიას და კახა შარტავას. ადამიანები, რომლებიც აფხაზეთთან, როგორც პოლიტიკურად, ისე სისხლხორცეულად, გენეტიკურად არიან დაკავშირებულნი. სხვათა შორის, ორივე მათგანს წლების წინათაც ჰქონდა აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გამორჩეული ხედვა, მაგრამ ხელისუფლების უმაღლეს ემელონებში არც ერთი მათგანი არ იქნა სათანადოდ განხილული და გააზრებული.

ერთსაც დავძენდი, 25-28 მაისს ევროპრეზიდენტი ქვეყნის – ჩეხეთის სენატის და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ზოგადად, კავკასიის და კონკრეტულად, საქართველოს საკითხებზე არაოფიციალური შეხვედრებისას (წინადადებები „მშვიდობიანი სამხრეთ კავკასიისათვის“), დავინახე, რომ ევროპელები დიდი ინტერესით აკვირდებიან საქართველოს სახელმწიფო მმართველობაში ახალი სახეების მოსვლის შესაძლებლობას. ახლა მთავარია, პროცესების შემდგომი განვითარების დეტალები ნორმალურად მიეწოდოს სწორედ ევროპას, რადგან აშშ ისედაც, ტრადიციულად, მაღალი პასუხისმგებლობითა და ყურადღებით ეკიდება საქართველოში განვითარებულ მოვლენებს.

მთავარია, ქვეყანაში სასწრაფოდ დაიწყოს სისტემური მუშაობა ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ქართული და აფხაზური ეთნოსების გადარჩენისთვის ეროვნული თანხმობის მიღწევისა და ამ ეროვნული შეთანხმების საერთაშორისო არენაზე დიპლომატიური გზებით და მეთოდებით (1870-1920 წლების საფრანგეთის „ეროვნული თანხმობის“ ანალოგის“) გასამყარებლად.

## ფეთქებადსაშიში სიტუაციის განეიტრალების სავარაუდო გზები

2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან განხორციელებულმა ღია აგრესიამ, ოკუპაციის ახალმა ტალღამ და აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობის ფაქტმა მნიშვნელოვნად შეცვალა ევრაზიის კონტინენტზე „ცივი ომის“ შემდეგ ჩამოყალიბებული უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ფუნდამენტური პრინციპები. ამ ფაქტმა ევროატლანტიკური სტრუქტურების, განსაკუთრებით ნატოსა და ევროკავშირის, დიდი შეშფოთება გამოიწვია. მიმდინარეობს ინტენსიური დისკუსია და კონსულტაციები რუსულ მხარესთან აგრესიის შედეგების აღმოსაფხვრელად.

**„დე-ფაქტო აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დღევანდელი პოლიტიკური ლიდერები ქართული მხრიდან შემოთავაზებულ ნებისმიერ სამშვიდობო წინადადებებს მხოლოდ მოსკოვის გადასახედოდან აღიქვამენ.“**

საქართველოს პოლიტიკური და სახელმწიფო ინსტიტუტებიც თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ძირითადად ამ საკითხით არიან დაკავებული. ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა რუსეთის მზარდი იმპერიალისტური ზრახვების შეკავება მისი უახლოესი მეზობლების მიმართ? შეიძლება თუ არა მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით საქართველოს სუვერენული უფლებების აღდგენა მის მთელ ტერიტორიაზე ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინებით? ამ კითხვებზე პასუხის ძიება კიდევ უფრო აქტუალური გახდა ტალიავინის კომისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ. აზრთა სხვადასხვაობა ამ დასკვნის გარშემო გვარწმუნებს, რომ ეს პასუხები უპირველესად, ჩვენ თავად უნდა ვეძებოთ.

სწორედ ამ ფონზე გვსურს, ერთხელ კიდევ მივუბრუნდეთ არსებული მდგომარეობის ანალიზს და წარმოვადგინოთ ამ ფეთქებადსაშიში სიტუაციის განეიტრალების სავარაუდო გზები.

2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და მის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სრული ოკუპაციის შემდეგ, რუსეთი აქტი-

ურად შეუდგა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დაკარგული სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის სრულმაშტაბიან აღდგენას სამხრეთ კავკასიაში. ეს გულისხმობს ნატო-ს „სამხრეთი ფლანგის“ (შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები) საწინააღმდეგო საკუთარი სამხედრო ინფრასტრუქტურის აღდგენა-განახლებას და რეგიონში სამხედრო ძალების კონცენტრაციას.

უფრო კონკრეტულად კი ეს გულისხმობს: სტრატეგიული დანიშნულების სამხედრო-საჰაერო ბაზის შექმნას გუდაუთაში (ბომბორას აეროდრომზე); სამხედრო საზღვაო ბაზის განთავსებას ოჩამჩირეში; სამხედრო-გამაგრებული რაიონის ჩამოყალიბებას გალის რაიონის ტეროტორიაზე; ხმელთაშუა და შავ ზღვებში მცურავი წყალზედა და წყალქვეშა სამიზნეების გაკონტროლებას; ელექტრონული სადგურის („ემერის ლაბორატორია“) და მისი დამხმარე სისტემური ქსელის რეანიმაციას სოხუმის და გაგრის საზღვაო აკვატორიებში (ობიექტები: „ატოლი“, „კასატკა“); სამხედრო-სახმელეთო ბაზის შექმნას ცხინვალის რეგიონში; რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის დე-ფაქტო ენგურამდე (დასავლეთიდან) და კასპამდე (ჩრდილოეთიდან) გადმოტანას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ამის პარალელურად:

– დღევანდელ სომხეთში, ფაქტობრივად, აღდგენილია და გასული საუკუნის 80-იან წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაძლიერებულიცაა რუსეთის სამხედრო ძალების ინფრასტრუქტურა და მოცულობა (გიუმრი/დილიჟანის სამხედრო ბაზები, ერევნის ორმხრივი სარგებლობის სამხედრო-საჰაერო ბაზა, ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის მოდერნიზებული სარაკეტო-ელექტრონული კომპლექსების სისტემა);

– აზერბაიჯანში შენარჩუნებულია და რუსეთის კონტროლქვეშ ფუნქციონირებს სტრატეგიული დანიშნულების ადრეული აღმოჩენის და შეტყობინების გაბალის რადიოსალოკაციო სადგური (ანტი-სარაკეტო რადარი).

მთელი მსოფლიოს, განსაკუთრებით ევროპისა და ნატოს მისამართით გარკვევით უნდა ითქვას, რომ ევროპამ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მთლიანი ოკუპაციის შედეგად, 20-წლიანი შესვენებით, სამხრეთიდან ისევ მიიღო „ცივი ომის“ შემდგომ სრულიად ახალი მოცულობით რეანიმირებული აგრესიული რუსული სამხედრო საფრთხე. ეს საფრთხე კი თავისი სამხედრო

მნიშვნელობით, ობიექტური საერთაშორისო კონტროლის არარსებობის პირობებში, გაცილებით უფრო სახიფათოა, ვიდრე რუსეთის მიერ ბოლო პერიოდში დიდად პროპაგანდირებული, მაგრამ სამხედრო-პოლიტიკური და რეალიზაციის თვალსაზრისით ნაკლებად ეფექტური კალინინგრადის „ისკანდერების“ სარაკეტო ბაზა.

საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია არა მარტო საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, არამედ „ცივი ომის“ დამთავრების შემდგომ პერიოდში დამყარებული მსოფლიო უსაფრთხოების ახალი კონსტრუქციის წინააღმდეგ მიმართული რევანშისტული, მტრული აქტია. უუპირველესად ევროკავშირმა და ნატომ უნდა გააცნობიერონ, რომ საქართველოს ტერიტორიების (აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი) ოკუპაცია არა მხოლოდ ანტიჰუმანური აქტია, არამედ ამ მოვლენამ შეიძლება, რეალურად დააჩქაროს პოსტსაბჭოური სახელმწიფოების დემოკრატიული განვითარების წინააღმდეგ მიმართული სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური აგრესია, მსოფლიოში სეპარატისტული მოძრაობების წაქეზების პოლიტიკა. ასევე, შეაფერხოს გლობალური სამხედრო დაპირისპირებების, ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ალტერნატიული „სამხრეთკავკასიური დერეფნის“ პროექტის (ნაბუკოს) რეალიზაცია; გააფართოოს სამხრეთ კავკასიის მიმდებარე უაღესად წინააღმდეგობრივ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ბირთვული და ატომური იარაღის უკონტროლო გავრცელების არეალი; ფარულად წაახალისოს საერთაშორისო ტერორიზმის მხარდამჭერი პარამილიტარული სტრუქტურები და ორგანიზაციები.

**„დღევანდელ სომხეთში, ფაქტობრივად, აღდგენილია და გასული საუკუნის 80-იან წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაძლიერებულიცაა რუსეთის სამხედრო ძალების ინფრასტრუქტურა და მოცულობა“.**

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ცივილიზებულ მსოფლიოსთან ერთად ჩვენ უნდა ვეძებოთ ახალი ინიციატივები საქართველოს დეოკუპაციისათვის. ჩვენი აზრით, ამისთვის აუცილებელია, ევროკავშირის ორგანიზებით და ეგიდით ჩატარდეს საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც მოხდება სარკოზ-მედვედევ-სააკაშვილის 2008 წლის 12 აგვისტოს 6-პუნქტიანი სამშვიდობო გეგმის („შეთანხმების ოქმი“) შესრულების განხილვა და მისთვის ახალი სტიმულის (ახალი ქართული ინიციატივების) მინიჭება.

საერთაშორისო კონფერენციაზე, საერთაშორისო კონსესუსის პირობებში, ახალი სამშვიდობო გეგმის განსახორციელებლად, დაინიშნოს ევროკავშირის სპეციალური უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოში კონფლიქტების საკითხებზე ცნობილი ევროპოლიტიკოსი (ევროპული ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი).

არსებული რეალური სიტუაციის გათვალისწინებით, საქართველომ საყოველთაოდ და სრული პასუხისმგებლობით უნდა განაცხადოს, რომ სამხრეთ კავკასიაში გლობალური სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიკური დაპირისპირებების კერების აღმოსაფხვრელად აუცილებელია რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების სრულად დატოვება ქართული მხრიდან შეთავაზებული შემდეგი პირობების დაცვით:

- ორმხრივად უარი ითქვას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მომავალ სამხედრო დაპირისპირებებზე გაეროს (ევროკავშირის მონაწილეობით) მიერ დამტკიცებული მყარი საერთაშორისო გარანტიის (გარანტორები: ევროკავშირი, რუსეთი, აშშ) საფუძველზე. ამ მიზნით საქართველო/აფხაზეთის და საქართველო/ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული „საზღვრების“ მიმდებარე ტერიტორიებზე გაერო-ს (ევროკავშირის გარანტიით) გადანიშნულებით, ახალი მოცემულობებით, შეიქმნას ე.წ. „უსაფრთხოების ზონები“, ანუ სრულად დემილიტარიზებული ტერიტორიები, სადაც ორივე მხრიდან ყოფნის უფლება უნდა მიეცეთ მხოლოდ ადგილობრივ სამართალდამცავ (საპოლიციო) ორგანოებს მკაცრად განსაზღვრული პარიტეტული საშტატო განაკვეთებით, რეგლამენტირებული ტაბელური და საშტატო იარაღის ტარების უფლებით;

- „უსაფრთხოების ზონების“ ორივე მხარის მიმდებარე ტერიტორიები (მდ.კოდორი-ფოთი-თეკლათის ხაზების შიგნით) გამოცხადდეს „შეზღუდული შეიარაღების“ ზონებად, სადაც აკრძალული იქნება ყოველგვარი მძიმე ტექნიკის, მათ შორის ტანკების, ქვეითთა საბრძოლო მანქანების, ჯავშანტრანსპორტიორების, ყველა სახის არტილერიისა და ნაღმსატყორცების შეტანა-განლაგება;

- „უსაფრთხოების“ და „შეზღუდული შეიარაღების“ ზონებში განლაგდნენ გაერო-ს და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიები მათი ზუსტად განსაზღვრული მანდატების შესაბამისად;

- „უსაფრთხოების“ და „შეზღუდული შეიარაღების“ აფხაზეთის სექტორში (გალი-ოჩამჩირის რაიონებში) შეიქმნას რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციისა და აღორძინების

ხელისშემწყობი სპეციალური (თავისუფალი) ეკონომიკური ზონა, მისი გარდამავალი საერთაშორისო ადმინისტრაციული მართვის პირობებით.

ყოველივე ამასთან ერთად, ქართულმა მხარემ საერთაშორისო მონიტორინგის რეჟიმში, ევროკავშირის სპეციალური უმაღლესი წარმომადგენლის უშუალო ხელმძღვანელობით, უნდა დაიწყოს პირდაპირი მოლაპარაკება აფხაზურ მხარესთან აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის საკითხებზე, მისგან შემდეგი აუცილებელი წინაპირობების მიღების შემდეგ:

ა) აფხაზეთის მიერ სამხედრო დაპირისპირებებისა და შემდგომი მტრული მოქმედებებისაგან თავის შეკავების საერთაშორისო გარანტიის შექმნა და უარის თქმა ნებისმიერი უცხო ქვეყნის სამხედრო ძალის (ბაზების) მის ტერიტორიაზე განთავსებაზე; ამასთანავე, მოხდეს 2008 წლის 17 სექტემბრის რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის გაფორმებულ „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების“, ასევე საზღვრების ერთობლივი დაცვის შესახებ თანამშრომლობის 2009 წლის 30 აპრილის და სხვა ანალოგიური სამხედრო ხასიათის ხელშეკრულებების დენონსაცია;

ბ) აფხაზეთის ხელისუფლების მიერ, საერთაშორისო ინსტიტუტების ხელშეწყობითა და მონიტორინგის განხორციელებით, სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების დაფუძნება-განვითარებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო-იურიდიული ბაზის შექმნა და შემდგომი ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დემოკრატიული არჩევნების გზით ფორმირება;

გ) იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უპირობო, ეტაპობრივი დაბრუნების ხელშემწყობი მექანიზმის შემუშავება მათი მუდმივი განსახლების ადგილებში, პიროვნების ხელშეუხებლობის, ქონებრივი, სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების დაცვის გარანტირებული უზრუნველყოფით.

**„საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია არა მარტო საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, არამედ „ცივი ომის“ დამთავრების შემდგომ პერიოდში დამყარებული მსოფლიო უსაფრთხოების ახალი კონსტრუქციის წინააღმდეგ მიმართული რევანშისტული, მტრული აქტია.“**



ამ საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებთან დაკავშირებით კი აუცილებლად მიგვაჩნია, განვმარტოთ: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მიმართ, რომელთაც ლეგალიზებული დოკუმენტაციის საფუძველზე, მიღებული აქვთ აფხაზეთიდან წარმომავლობის დამადასტურებელი საქართველოს პირადობის მონმობა (აფხაზურ და ქართულ ენებზე), პირველ ეტაპზე ავტომატურად გავრცელდეს. დე-ფაქტო აფხაზეთის მუდმივი მაცხოვრებლის სტატუსი. შემდეგ კი, ამის საფუძველზე გაცემული საერთაშორისო სტანდარტის დოკუმენტის (ე.წ. „ლესე-პასე“) საშუალებით მიენიჭოთ შეუზღუდავი გადაადგილების უფლება საქართველო-აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე.

კარგადაა ცნობილი, რომ დე-ფაქტო აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დღევანდელი პოლიტიკური ლიდერები ქართული მხრიდან შეთავაზებულ ნებისმიერ სამშვიდობო წინადადებებს, მხოლოდ მოსკოვის გადასახედიდან აღიქვამენ. სახალხო დიპლომატიის და სხვა სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციებიდან კი ნათელია, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილის და ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების ინტერესები უმეტეს შემთხვევაში დიამეტრულად განსხვავდება ამ რეგიონებისადმი მოსკოვის შოვინისტური მისწრაფებებისგან. ქართულ-აფხაზური თანაცხოვრებისა და ერთიანი სახელმწიფოებრიობის ათასწლიანი (1008-2008წწ) ისტორია ზუსტად ამის დამამტკიცებელი არგუმენტია. სწორედ საქართველო იყო და იქნება მათი ფიზიკური გადარჩენის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მუდმივი გარანტი.

## წიგნი, რომორც გზავნილი მსოფლიოს, ანუ ავხაზეთში „ქვათა ღალადი“ რომ შეისმინო

ავხაზეთი, დანარჩენი საქართველოს მსგავსად მიღდარია შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებით. მათ წარმომავლობაზე კი თავად „ქვები ღალადებენ“ – ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი არქიტექტურითა და მათზე აღბეჭდილი ქართული წარწერებით. მათ გვერდით, ასევე, უამრავი არქეოლოგიური ძეგლია, უძველესი ქვის ხანიდან შუა საუკუნეების ჩათვლით, რომელთა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ აფხაზეთი ერთიანი კოლხური კულტურის ლოკალური რაიონია. თუმცა ქართული სულიერებისა და ცნობიერების დაუძინებელ მტრებს არასოდეს ესმოდათ „ქვათა ღალადი“. ისინი აფხაზეთში არსებული ძეგლების კედლებიდანაც სატყეხით ტყეხდნენ ქართულ წარწერებს და ქართულ ფრესკებს ანადგურებდნენ.

ეს პროცესი საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის შემდეგ, ბუნებრივია, კიდევ უფრო დაჩქარდა. ამასობაში, დრო დაღს ასვამს ქრისტიანული სამყაროს თავისთავად ნაწილად აღიარებულ, მრავლისმომსწრე ეკლესია-მონასტრებს, რომელთა მდგომარეობის შესასწავლად ქართული მხარის თხოვნით, 1997 წელს საქართველში „იუნესკოს“ ექსპერტთა მისია ჩამოვიდა. თუმცა მათ სრულყოფილი მუშაობის საშუალება არ მიეცათ: ჯერ ერთი, აფხაზეთში, „იუნესკოს“ წარმომადგენლებთან ერთად არ შეუშვეს ქართველი მეცნიერი და მეორე, ისინი იქ მხოლოდ ორი დღე ამუშავეს. ექსპერტთა დასკვნები მოგვიანებით გახდა ცნობილი. ისინი ძეგლების რთულ მდგომარეობას აღწერდნენ და მათი რეაბილიტაციის აუცილებლობაზე მიანიშნებდნენ.

შემდეგ უკვე (2000 წელს) აფხაზურმა მხარემ, როგორც ამ ძეგლების „ერთადერთმა“ მემკვიდრემ მიმართა „იუნესკოს“ და მათი „მდგომარეობის“ გასაცნობად საგანგებო მისიის გამოგზავნა ითხოვა. მაშინ აფხაზური მხარე ჩვეულებისამებრ შეეცადა, ამ პროცესისთვის ქართველები ჩამოეშორებინა, მაგრამ – ამაოდ.

იმ რეალობის ფონზე, როცა რუსეთი მსოფლიოს წინაშე დაუფარავად წარმოჩნდა, როგორც აფხაზეთისა და შიდა ქართ-

ლის ოკუპანტი, ჩვენ მოვალენი ვართ, მსოფლიოს წინაშე უფრო მწვავედ დავსვათ აფხაზეთში არსებული ძეგლების გადარჩენის საკითხი. ამასთანავე, ნათლად დავანახოთ, რამდენად არის ის ქართული კულტურის ორგანული ნაწილი. უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით, 2007 წელს სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა – გამოიცა ილუსტრირებული წიგნები „ქართული ისტორიულ-კულტურული ფასეულობები აფხაზეთში“ და „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა – აფხაზეთი“. ამ გამოცემებს, როგორც გაირკვა, სამწუხაროდ, არ იცნობენ ის ადამიანებიც კი, რომელთაც პრეტენზია აქვთ, იყვნენ ავტორები ისეთი მნიშვნელოვანი პროექტისა, როგორცაა „აფხაზეთისა და შიდა ქართლის კულტურული მემკვიდრეობა“. ამიტომაც აუცილებლად მივიჩნiewთ, რომ ფართო საზოგადოებას გავაცნოთ ისინი.

პირველი გამოცემის იდეისა და პროექტის ავტორია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი, იმხანად პარლამენტის წევრი ზურაბ ჯგუბურია, მეორისა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე სალომე კაპანაძე.

წიგნში „ქართული ისტორიულ-კულტურული ფასეულობები აფხაზეთში“ წარმოდგენილია მხოლოდ ის ძეგლები, რომლებიც 1997 წელს „იუნესკოს“ დელეგაციამ მოინახულა, მათ შორის, ბიჭვინთის, ახალი ათონის, ბედიის, ლიხნის, მოქვის, ილორის, დრანდის, ბზიფის, ძველი გაგრის, კამანის და ა.შ. ეკლესია-მონასტრები. შესაბამისად, მათ ძეგლების იმჟამინდელი მდგომარეობის ექსპერტებისეული აღწერილობა ახლავს. წიგნი ქართულთან ერთად „იუნესკოს“ სამივე სამუშაო ენაზე - ინგლისურად, ფრანგულად და რუსულადაა გამოცემული. ერთვის საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის მიმართვა გაეროს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს და ეუთოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი, „ხმა აიმაღლონ აფხაზეთში მიმდინარე კულტურული გენოციდის წინააღმდეგ და ქართული ისტორიულ-კულტურული ფასეულობების გადასარჩენად“.

მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ილუსტრირებული წიგნი ადრესატებს – საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გადაეცათ.

იმაზე, თუ რა რეაქცია მოჰყვა საერთაშორისო საზოგადოებრი-

ობისგან ფაქტებით გაჯერებულ მიმართვას, გვესაუბრება **ზურაბ ჯგუბურია**; რაც შეეხება სასაჩუქრე ალბომს „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა-აფხაზეთი“, ის სრულად მოიცავს აფხაზეთში არსებული ხუროთმოძღვრების, მხატვრობის, რელიგიური სკულპტურის, ჭედური ხელოვნებისა და წარწერების ნიმუშებს და მასზე **სალომე კაპანაძე** მოგვითხრობს.

**ზურაბ ჯგუბურია**: ამ თვალსაზრისით უნდა გავითვალისწინოთ კოსოვოს ის გაკვეთილიც, როცა ნეიტრალური პოზიციის მქონე დილომატები და ექსპერტებიც სერბული მხარის დიდ შეცდომად მიიჩნევდნენ იმ გარემოებას, რომ მას 1998 წლიდან 2008 წლამდე კატეგორიულად არ მოუთხოვია კოსოვოს ტერიტორიაზე არსებული ეროვნული სინმინდეების – მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების დაცვის საერთაშორისო გარანტიები.

არ არის გამორიცხული, ერთ მშვენიერ დღეს იგივე გვისაყვედურონ ჩვენც, მით უმეტეს, რომ აფხაზეთის პრობლემატიკისადმი მიდგომაში არც ჩვენ ვართ თანმიმდევრულად აქტიურნი. ხოლო მათ შორის, ვინც ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ჩვენს ინიციატივას, იყო ქართული წარმომავლობის ცნობილი ფრანგი დიპლომატი და პოლიტიკოსი კლოდ დე კემულარია. იმედი გვაქვს, რომ მისი დიდი კავშირები და ავტორიტეტი ხელს შეუწყობს ამ პრობლემის განხილვის გააქტიურებას.

საქართველოს მეგობარი ქვეყნებიდან პრობლემით განსაკუთრებით დაინტერესდნენ ჩეხეთი, პოლონეთი, უკრაინა, ისრაელი, რაც იმ დროისათვის იქ აკრედიტებული საქართველოს ელჩების დამსახურებაა. სავარაუდოდ, საკითხი, იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე დაისმება.

ნიგნი, რომლის შედგენაშიც მონაწილეობდნენ ქართველი მეცნიერები და ექსპერტები: დავით ლორთქიფანიძე, გიორგი ხუბუა, ნიკა გვარამია, ზურაბ თვალჭრელიძე, დინარა ვაჩნაძე, შოთა მალაშხია და სხვები, მე თვითონ წარვადგინე პოლონეთში, ქალაქ კრინიცაში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე. ეს ქალაქი ხშირად მოიხსენიება აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრის ადგილად. იქ ყოველწლიურად იმართება ეკონომიკური ფორუმი, რომლის მისიაა „ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური თანაშრომლობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა“. ფორუმში 60 ქვეყნის 1800-ზე მეტი წარმომადგენელი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცნობილი პოლიტი-

კური და ბიზნესელიტა მონაწილეობს და ეკონომიკურ საკითხებთან ერთად კულტურისა და პოლიტიკის საკითხებზე განიხილება.

ფორუმზე განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დისკუსიებმა, რომლებიც სამხრეთ კავკასიის, მათ შორის აფხაზეთის და შიდა ქართლის კონფლიქტებს ეხებოდა. ერთ-ერთი სადისკუსიო სემინარი იყო „ბიზნესის როლი პოსტკონფლიქტური რეაბილიტაციის საქმეში“. სემინარზე ერთ-ერთი თანამომხსენებელი მეც ვიყავი და ჩემივე ინიციატივით, მნიშვნელოვანი ყურადღება კულტურულ ისტორიული მემკვიდრეობის შენახვა-რეაბილიტაციის საკითხს დაეთმო. გარდა ამისა, მორიგ სემინარზე ჩეხეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, სენატორ იარომირ შტეტინას ინიციატივით, სადისკუსიო თემა გახდა კონფლიქტის პრობლემა და კულტურული მემკვიდრეობის საკითხი. უნდა ითქვას, რომ იგი ამ დროისთვის ჩვენს წიგნს უკვე იცნობდა. ეს საკითხი მოგვიანებით ჩეხეთის სენატის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტში დაისვა, რაც იმიტომაც არის საგულისხმო, რომ ჩეხეთი ამაჟამად ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაა. ამ წიგნს გაეცნო და მისი გამოცემის გამო მადლობის წერილი გამოაგზავნა ცნობილმა იტალიელმა პოლიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ, პალერმოს ყოფილმა მერმა ლეო-ლუკა ორლანდომ.

ამ მიმართულებით მუშაობას ცხადია, საგარეო საქმეთა სამინისტროშიც ვაგრძელებ. სამინისტროს ხელმძღვანელობამ კი დიპლომატიურ მისიებს, საზღვარგარეთ და განსაკუთრებით, საქართველოს წარმომადგენელს იუნესკოში, დაავალა, უფრო აქტიურად იმუშაონ ამ საკითხებზე, ახალი რეალობების ანუ რუსეთის მხრიდან აშკარა ოკუპაციაზე გადასვლის გათვალისწინებით.

**სალომე კაპანაძე:** გამოცემა „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა – აფხაზეთი“ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების პოპულარიზაციასაც ისახავს მიზნად. ამასთანავე, იმის დემონსტრირება გვინდოდა, რომ ქართველები აფხაზეთში ისეთივე განცდით ქმნიდნენ კულტურის ნიმუშებს, როგორც საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიებზე. როდესაც იქ არსებულ IX-X საუკუნეების ეკლესია-მონასტრებზე ამოტივფრულ ქართულ წარწერებს ეცნობი, შეიძლება, შეკამათების ღირსადაც არ მიიჩნიო ზოგიერთი აფხაზი (და რუსი) ვაი-მეცნიერი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თითქოს აფხაზეთში არსებული ტაძრები თავისი არქიტექტურით არ გვანან საქართველოში არსებულ ეკლესია-მონასტრებს, მაგრამ ხომ შეიძლება ვილაც მართლა ენდოს ამგვარ შეგნებულად

გაყალბებულ დასკვნას? სწორედ ამიტომაც გვეჭირდება ისტორიის ფოლიანტებიდან ბევრი რამის გამოხმობა და მისი უცხოელებისთვის ასეთი თვალსაჩინო ფორმატით მიწოდება. ამიტომაც ალბომში თითოეული ძეგლი სამ – ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენაზე აღწერილი. დღეს სხვა ძალიან ბევრი კარგი სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომი გვაქვს და საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევას ისინიც შეუწყობდნენ ხელს, რომ არა ის გარემოება, რომ მხოლოდ ქართულ ენაზე არსებობენ.

უნდა ითქვას, რომ აფხაზურმა მხარემ, ამ შემთხვევაშიც დაგვასწრო – ჟურნალისტიმა ნინო ძიაფშპამ უფრო ადრე გამოსცა აფხაზეთში არსებული კულტურის ძეგლების ალბომი, რომელშიც, სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი მათ ქართულ წარმომავლობაზე.

ჩვენს ალბომზე მუშაობის პროცესი კი ძალიან რთული იყო. მოგეხსენებათ, რომ როცა ისტორიასთან გვაქვს საქმე, მცირედი უზუსტობაც კი დაუშვებელია, ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელი შრომა გასწიეს პროფესორებმა: დიმიტრი თუმანიშვილიმა, ლეილა ხუსკივაძემ, ლია ახალაძემ, ბეჟან ხორავამ, ელენე კავლელაშვილიმა და ელენე მაჭავარიანიმა. სწორედ მათი კომპეტენტურობის წყალობაა ის სოლიდური სამეცნიერო მასალა, რომელიც წიგნში ამა თუ იმ ძეგლთან დაკავშირებით არის წარმოდგენილი.

**წიგნზე მუშაობას ახლდა ის უხერხულობა, რომ ახალი ფოტომასალის მოძიება აფხაზეთის ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამასთანავე, კიდევ ერთხელ „აღმოვაჩინეთ“, რომ აფხაზეთზე ერთადერთი ფერადი ალბომი გაგვანდა და ისიც საბჭოთა მოსკოვში იყო გამოცემული, ამდენად, გამოვიყენეთ ძველი ფოტომასალაც, რომელიც გრაფინია კ.უვაროვას, პ.ვორონოვის და მ.ჩუბინიშვილის ალბომებში იქნა დაცული. ამდენად, ზოგიერთი ფოტოს ხარისხი დამაკმაყოფილებელი არ არის. თუმცა გვაქვს აფხაზეთში ჩვენი მიერ ამჟამად გადაღებული ფოტოები.**

ამ ალბომის გამოცემა, ჩვენი პროექტის პირველი ეტაპი იყო. მეორე ეტაპი კი გულისხმობს ანალოგიური ხასიათის სამენოვანი ალბომის გამოცემას არქეოლოგიის სფეროში. ალბომი უკვე სტამბაშია და მალე გამოვა სამზეოზე.

გვჯერა, ამ წიგნების უცხოელი მკითხველები საკუთარი თვალით ნახავენ, რომ აფხაზეთი საქართველოა და იქ არსებული ძეგლები იმ მთლიანობის ნაწილი, რომელსაც ქართული კულტურა ჰქვია.

## რუსეთი აფხაზეზსა და ქართვქლზს შორის გუფირულ ანკლავს ქმნის

რუსეთის მიერ აღიარებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ის შირმაა, რომელზე ამოფარებაც რუსეთს ჯერ კიდევ სჭირდება თავისი შოვინისტური ზრახვების ბოლომდე მისაყვანად ანუ ამ ტერიტორიების მისაერთებლად. ამ „შირმას“ ამოფარებული რუსეთი კი შესამჩნევად აქტიურად შეუდგა აფხაზეთში თავისი სამხედრო-პოლიტიკური გეგმის განხორციელებას. გეგმისა, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩის, ზურაბ ჯგუბურიას თქმით, აფხაზეთთან მიმართებაში გულისხმობს:

„გუდაუთის (ბომბორას) აეროდრომზე რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების ბაზის განთავსებას;

ოჩამჩირის ნავსადგურში რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სარეზერვო და ფედერალური უშიშროების სამსახურის (ფსბ) სასაზღვრო ჯარების სანაპირო დაცვის ნავსადგურის შექმნას;

გალის რაიონის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გამაგრებულ რაიონად (უკრეპრაიონირუს.რედ) გადაქცევას.

რუსეთი ცდილობს, აფხაზეთში თავი მოუყაროს ჯარების ყველა სახეობას, კონკრეტულად კი, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ბაზებს. შესაბამისად, მან უკვე დაიწყო გალში – სახმელეთო და ოჩამჩირეში – საზღვაო დანიშნულების ერთიანი სამხედრო-გამაგრებული რაიონების მშენებლობა. რუსეთს ანალოგიური ჩანაფიქრი აქვს. ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც, უშუალოდ „საზღვართან“ – ახალგორში და მის სიღრმეში – ჯავაში.

რუსეთი თავისი, სტალინისეული სამხედრო დოქტრინის თანახმად, სამხედრო-გამაგრებულ რაიონებს აშენებს მთავარ მონინალმდეგედ მიჩნეულ ძალასთან შეხების წერტილებში. მან ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ააშენა სამხედრო-გამაგრებული რაიონები გერმანიის მოსაზღვრე ბელორუსსა და უკრაინაში. მაგალითად ბელორუსის (მინსკის) სამხედრო-გამაგრებული რაიონი მოიცავდა მთლიანად დასავლეთ ბელორუსიას და შედგებოდა ცალკეული გარნიზონებისა (მაგ. ბრესტში) და ყველა დანიშნულების (სახმელეთო, სარაკეტო-საარტილერიო, საავიაციო, საინჟინრო, სარკინიგზო და ა.შ) სამხედრო ნაწილისაგან. მართალია, ამ სტრატეგიამ მაშინდელ სსრკ-ს ნაკლებად გაუმართლა, პირიქით, „ტომარაში“ მოქცეული თითქმის მილიონიანი „წითელი ჯარის“ დაჯგუფებები მინსკთან თუ კიევთან გერმანული ვერმახტის ადვილი ლუკმა აღმოჩნდა, მაგრამ ჯერ სსრკ-ს, შემდეგ კი დღევანდელი რუსეთის ხელმძღვანელობა

განა ადვილად შეელებვა შეუცვლელი „ბელადის“ სამხედრო სტრატეგიას?

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სსრკ ანუ რუსეთი სამხედრო-გამაგრებულ რაიონებს ქმნის უკვე ევროატლანტიკურ ალიანსთან ანუ მის ნევრ ქვეყნებთან შეხების ნერტილებში. მათ შორის ქვეყნის ჩრდილოეთით – ნორვეგიასთან; სამხრეთით – თურქეთის საზღვრების გაყოლებაზე: ბათუმში – ხელვაჩაურის რაიონი, სამცხე-ჯავახეთში – ახალქალაქის რაიონი, სომხეთში – ყოფილი ლენინაკანი (ამჟამად გიუმრის მოქმედი და დილიჟნის მომავალი სამხედრო ბაზები)“.

როგორც ჩანს, რუსეთი გრძნობს რა საქართველოს ნატოში განევრიანების გარდაუვალობას, თავისი სამხედრო დოქტრინის შესაბამისად, აქედანვე ზრუნავს (ამ რეგიონში არსებული მისი შეუცვლელი სტრატეგიული ინტერესების დაცვასთან ერთად) ევროატლანტიკურ ალიანსთან სავარაუდო საზღვრების გამაგრებაზე და შესაბამისად, აფხაზეთის მთელი ტერიტორიის სრულ სამხედრო გაკონტროლებაზე.

რუსეთის შესაბამისი მოძრაობები ჩვენთვის უფრო თვალმისაცემია გალის რაიონში. აქ აფხაზური ადმინისტრაციის ყოფნა თავისი შემადგენელი სტრუქტურებით და მათ შორის აფხაზი „მებაჟეებითა თუ მესაზღვრეებით“ რუსეთისთვის სრულიად ზედმეტი ბარგია და ის მათი აქედან ეტაპობრივად განდევნის პროცესს უცერემონიოდ იწყებს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სწორედ ამ სინამდვილისთვის ერთგვარ შემზადებას ისახავდა მიზნად გალისა და ოჩამჩირის რაიონებში განლაგებული რუსეთის სამხედრო ნაწილების მეთაურის პოლკოვნიკ ვლადიმერ რაგოზინის საგანგებო შეხვედრა გალის აფხაზური ადმინისტრაციის, სამხედრო, შინაგანი და უშიშროების სამსახურების თანამშრომლებთან და რუსულან ქიშმარიასთან, აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენელთან გალისა და ოჩამჩირის რაიონებში. ამ შეხვედრაზე პოლკოვნიკ რაგოზინს საქართველოს ისტორიის „შესაშური ცოდნა“ გამოუვლენია და აფხაზეთისთვის განუმარტავს: გალის რაიონი არასოდეს ყოფილა აფხაზეთის შემადგენელი ნაწილი, არც აფხაზებს უცხოვრიათ აქ ოდესმე, ის უბრალოდ სტალინმა შეუერთა აფხაზეთს და თქვენ აქაურობაზე პრეტენზია არც უნდა გქონდეთო...

ეს ის შემთხვევაა, როცა უადგილო ხდება შეკითხვა, თუ გალის რაიონი აფხაზეთს არ ეკუთვნის, მაშინ ვისი კუთვნილებაა ის? უადგილოა, რადგან სულ სხვა რამის დამტკიცება სურს „რუსულ რკინისებურ ლოგიკას“, რომელიც ცდილობს, ძალას აღმართი ახლაც მოახნეინოს. ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით კი ზურაბ ჯგუბურია განმარტავს:

„რუსეთის საოკუპაციო ჯარების ხელმძღვანელმა ლიად განუცხადა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს აფხაზებისა და გალელი მეგრელების-სამურზაყანოელების (რუსული რედ.)



არაიდენტიფიკაციის და სტალინის რეჟიმის მიერ აფხაზეთისთვის ამ რეგიონის ხელოვნურ მიერთების თაობაზე, რითაც მან აფხაზებს მიანიშნა, რომ რუსეთმა ისტორიული სიმართლე იცის. რაგოზინმა ასევე მოსთხოვა აფხაზური ძალოვანი სტრუქტურების წამომადგენლებს, დატოვონ გალის რაიონი, რომლის საკუთარი სამხედრო-ადმინისტრაციული გამგებლობის ქვეშ ასაყვანად მზად არის. გარდა ამისა, რუსი სამხედროები აქტიურად შეუდგნენ გადასახადების (ხარკის) აკრეფის სამზადისს მთელ გალის რაიონში, რაც აქამდე აფხაზური „მაკი ბიუჯეტის“ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა (დაახლოებით 20-25 მლნ. აშშ დოლარის ექვივალენტი).

შეუიარაღებელი თვალითაც აშკარაა რუსეთის უახლოესი, მერკანტილური და შორსმიმავალი, სტრატეგიული მიზნები. კერძოდ, პირველი გულისხმობს, რუსეთის გამათხოვრებული საოკუპაციო ჯარების ხელმძღვანელობის ფინანსურ გაძლიერებას და უახლოეს მომავალში დაგეგმილი ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების სრული მანიპულირების შესაძლებლობას. მეორე კი:

ქართველებსა და აფხაზებს შორის ნათესაური, კულტურულ-სულიერი, ყოფითი და, საერთოდ, ყოველგვარი კავშირის განწყვეტას;

დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით სამეგრელოს, რეგიონებზე მომავალი იდეოლოგიური და სამხედრო ძირგამომთხრელი ზემოქმედებისთვის სათანადო პლაცდარმის შექმნას;

და, ბოლოს, ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის კრასნოდარის მხარეში სრულად ინტეგრირების გზაზე უპირატესად ეთნიკური რუსებით დასახლებული ახალი ბუფერული ანკლავის შექმნას რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის.“

აქვე ხაზგასმით და გამოკვეთილად უნდა ითქვას გალის რაიონში მცხოვრები დაახლოებით 55-60 ათასი ქართველის ბედზე. ისინი წლების განმავლობაში ამ რაიონის „გამაგრებას“, იქ ქართული სულის შენარჩუნებას ემსახურებოდნენ და ახლა კი, შესაძლოა, რუსეთის დიდი მზაკვრული ჩანაფიქრის მსხვერპლად იქცნენ.

ამ საფრთხეს განსაკუთრებით ამძაფრებს აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის არსებული ადმინისტრაციული საზღვრის „სახელმწიფო საზღვრად“ გადაქცევის მცდელობა და მისი შესაძლო გაკონტროლება რუსული მხარის ფედერალური უშიშროების სამსახურის (ფსბ) სასაზღვრო ნაწილების მიერ. ადგილობრივი მოსახლეობის ძალით პასპორტიზაცია, ანუ მათთვის რუსული (შესაძლოა, დასაწყისისათვის აფხაზურიც) პასპორტების დარიგება კი საშუალებას მისცემს რუსულ მხარეს, მოახდინოს მათი ენგურს გამოღმა ანუ საკუთარ სამშობლოში გადაადგილების აკრძალვა.

„ამ შემთხვევაში – ამბობს ზურაბ ჯგუბურია, - რუსეთი უშუალ-

ოდ იმოქმედებს 2008 წლის 17 სექტემბრის რუსეთის ფედერაციასა და ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკას შორის გაფორმებული „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“ ხელშეკრულებაში ორმაგი მოქალაქეობისა და მათი ინტერესების დაცვის შესახებ (მე-7,8,9,10,11-ი მუხლები) ჩადებული დებულებებით.

რუსეთმა უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ აფხაზეთისა და საქართველოს ე.წ. საზღვარზე აშენებს რამდენიმე სასაზღვრო-გამშვებ პუნქტს. ამ ქმედებით ქართულ მხარეს აიძულებს, ან პირდაპირ განიროს და უარი თქვას საკუთარი, ძალით „გააფხაზებული“ მოსახლეობის თავისუფალ გადაადგილებაზე თავისსავე სამშობლოში, ან რუსული კანონმდებლობის საფუძველზე (აფხაზური გამორიცხვის პროცესი უკვე დაწყებულია) აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები საკუთარი მოქალაქეები მიიჩნიოს უცხო ქვეყნის მოქალაქეებად და გახსნას სასაზღვრო-საკონტროლო გამშვები პუნქტი მდ.ენგურზე, რაც ფაქტობრივად ნიშნავს აფხაზეთის, როგორც სახელმწიფოს, აღიარებას.

დიღემის წინაშე დგანან უშუალოდ გალის რაიონში მცხოვრები ქართველები – აიღონ რუსული პასპორტები და საბოლოოდ მიიკერონ მოღალატის იარაღი, თუ დაბრუნების მოლოდინით იმედგაცრუებულები აიყარონ მამა-პაპისეული მინა-წყლიდან და ენგურის გამოღმა გადმოხვნილ, უმწოდ დარჩენილ დევნილთა არმიას შემოუერთდნენ?!

უბედურება ისაა, რომ ამ ადამიანების ბედზე ფიქრი არ ეტყობათ იმ ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებიც წესით დღე და ღამე ამაზე უნდა ფიქრობდნენ. თუმცა ეს რა გასაკვირია იმ ქვეყანაში, სადაც ზოგიერთი ვაიჩინოვნიკის გაუაზრებელი გამოხტომებით და უადგილო სამხედრო რიტორიკით კოდორის ხეობა მტრის აშკარა სამიზნედ ვაქციეთ და მას გადავაყოლეთ.

რუსების მიერ გალის რაიონიდან აფხაზეთის გაძევებას სხვა პირდაპირი თუ ირიბი მიზნები აქვს. რუსეთი, როგორც ჩანს, ამ გზით აფხაზეთის გალის რაიონისა და კრასნოდარის მხარეს შორის მოქცევას და მოშობას ფიქრობს. მით უმეტეს, რომ ის ამ ხერხით საბოლოოდ ჩახერგავს ქართველებსა და აფხაზებს შორის დამაკავშირებელ გზასაც, მათ ურთიერთობას დაუდგება დარაჯად.

როგორც ზემოთ ზურაბ ჯგუბურიამ შენიშნა, მრავალთაგან კიდევ ერთი მომენტიცაა საგულისხმო: აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის არჩევნები კარსაა მომდგარი, თავის დროზე კი ბალაფშის არჩევნებში გამარჯვება სწორედ გალის რაიონის მოსახლეობის აქტიურობამ განსაზღვა. სხვა საკითხია, რომ ამაში ლომის წილი საქართველოს ხელისუფლებასაც მიუძღვის, რომელიც გალის რაიონის მოსახლეობას მოუწოდებდა ხმა მიეცათ „პროქართულად განწყობილი“

ბალაფშისთვის და „პრორუსულად განწყობილი“ ხაჯინბას წინააღმდეგ. ბალაფშის „პროქართულობა“ მალევე გაცხადდა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ის ბევრად უფრო „პროაფხაზურია“, ვიდრე მისი პოტენციური მეტოქე შამბა. ამდენად, მომავალი აფხაზეთის დე-ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებიდან გალელეების გამორიცხვა რუსებისთვის ზედმეტი თავის ტკივილისგან გათავისუფლებაც იქნება.

ზურაბ ჯგუბურიასავე თქმით, „ამას წინათ (15.10.2008.წ) გაზეთ „გარდიანში“ გამოქვეყნდა ჟურნალისტ ანა მატვეევას პრორუსული ხასიათის და ჩვენთვის მნიშვნელოვანი ქვეტექსტის შემცველი წერილი. კერძოდ, ის ურჩევს დასავლეთს, აღიაროს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა რუსეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის (მიტროვიცას ანუ სერბული ნაწილის გამოკლებით ?!) აღიარების სანაცვლოდ.

არაერთხელ გაცხადდა, რომ რუსული მასმედია შემთხვევით არაფერს წერს. ის ყოველთვის კარგად არის ინფორმირებული და საკუთარი ხელისუფლების პოლიტიკას ახმოვანებს. ასე იყო არც ისე შორეულ წარსულშიც, როცა გაზეთმა „კომერსანტმა“ აფხაზეთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადების ქართული ვერსია ვითომდაც მის „გავლენის სფეროებად“ დაყოფის მცდელობად გააცხადა.

იქნებ, არც მატვეევას წერილი იყოს შემთხვევითი და ერთგვარად მიანიშნებდეს, რომ საქართველო-რუსეთს შორისაც არსებობს ვაჭრობის საგანი წართმეული ტერიტორიების ერთ ნაწილთან, კერძოდ, გალისა და ახალგორის რაიონებთან მიმართებაში“.

შესაძლოა, ასეც იყოს, ოღონდ, ვფიქრობ, რუსეთისთვის ვაჭრობის საგანი არამც და არამც არ იქნება გალის რაიონი, რომლის სამხედრო-გამაგრებულ რაიონად გადაქცევა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი თუნდაც ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნებითაც არ შემოიფარგლება...

სადღეისოდ პრობლემებზე ლაპარაკი ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე მათი გადაწყვეტის გზებზე და გვერდაუქცეველ კითხვაზეც, არსებობს თუ არა ამ უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსავალი, ზურაბ ჯგუბურია პასუხობს:

„მიმაჩნია, რომ ჯერ კიდევ არსებობს გამოსავალი. ფაქტობრივად, საერთაშორისო პრაქტიკასთან თავსებადი და ექსპერტების მიერ მონონებული ცალკეული გეგმებიც შემუშავებულია, თუმცა, სამწუხაროდ, ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, აღმასრულებელი ხელისუფლების სამინისტროებისა და უწყებების მხრიდან მათ განსახორციელებლად აუცილებელი სისტემური და ეტაპობრივი მუშაობა დღემდე არ დაწყებულა. დაკონსერვებული ცალკეული ინიციატივები კი უიმედობის სინდრომს კიდევ უფრო განამტკიცებს და გადარჩენის ტოლფას მიზანს საბოლოოდ დაგვაშორებს“.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს  
დეპუტატის ზურაბ ჯგუჯერიას გერმანიის  
ფედერაციულ რესპუბლიკაში მივლინების მოკლე  
ანგარიში**

1. მივლინების თარიღი: 2013 წლის 15-17 ნოემბერი.
2. მივლინების ადგილი: შტუტგარტი (Stuttgart), საერთაშორისო საგამოფენო ცენტრი „შტუტგარტ-მესე“ (Stuttgart-Messe).
3. მივლინების მიზანი: აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების ჰუმანიტარული ასპექტის – „ქართული ისტორიულ-კულტურული ფასეულობები აფხაზეთში“ – განხილვა ევროკავშირის ქვეყნების დაინტერესებულ წრეებში.
4. მივლინების შედეგების მოკლე მიმოხილვა: მივლინების მიზანს წარმოადგენდა ევროგაერთიანების და მეგობარ ქვეყნებში (საფრანგეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკია, უნგრეთი, ბალტიის ქვეყნები, უკრაინა, ისრაელი) ქართველ სპეციალისტთა და პოლიტიკოსთა მიერ 2007 წლიდან წარმოებული „აფხაზეთში განთავსებული ქართული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენა-კონსერვაციის პრობლემების შესახებ“ კამპანიის მორიგი აქცია, სპეციალურად მიძღვნილი გერმანული და კერძოდ, ისტორიული ბადენ-ვიურტენბერგის (Baden-Wuerttemberg) მხარის, დაინტერესებული ჰუმანიტარული ორგანიზაციების და კერძო პირების (ძირითადად, რელიგიური, სხვადასხვა ქრისტიანული და თეოლოგიური, უმთავრესი ევროპული განსხვავებული კონფესიების) ჩართულობის მიზნით.
5. ადგილზე, საგამოფენო ცენტრის ერთ მცირე დარბაზში, მოეწყო ოთხენოვანი (ქართულ-რუსულ-ინგლისურ-ფრანგული) ნიგნის „ქართული ისტორიულ-კულტურული ფასეულობები აფხაზეთში“ (თბ., 2007წ., იდეისა და პროექტის ავტორი ზ.ჯგუჯერია) ნიგნის პრეზენტაცია. მონვეულ სპეციალისტებს (უმთავრესად ქრისტიანული ხუროთმოძღვრების სპეციალისტები – არქიტექტორები, თეოლოგები, „კონრად ადენაუერისა“ და „რიჰარდ ებერტის“ გერმანული საერთაშორისო ფონდების რეგიონალური წარმომადგენლები) გაეცნოთ აფხაზეთში პოსტკონფლიქტური და ოკუპაციის შემდგომი სიტუაციები და განსაკუთრებულად, არა

მარტო ქართული ეროვნული მნიშვნელობის, არამედ საერთაშორისო ქრისტიანული საგანძურების (ახალი ათონი, კომანი, ბედი და სხვ.) არსებობის სავალალო მდგომარეობა და მათი გადარჩენა-კონსერვაციისათვის აუცილებელი, გადაუდებელი საერთაშორისო ძალისხმევის მიზანშეწონილობა, რეალიზაციის მეთოდები და გზები. მონვეულ სტუმრებს (ინტერესების მიხედვით) დაურიგდათ ბეჭდური მცირედი ანოტაციები აღნიშნულ თემაზე, ასევე გადაეცათ სამახსოვროდ და სახელმძღვანელოდ ზემოთ აღნიშნული წიგნები.

